



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ პასუხისმგებელი პირების განცხადება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად ვადასტურებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომზადებული სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობითი ანგარიშგება, 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, არის სრული, სწორი და სამართლიანი.

ილია რეზია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2024 წლის 15 მაისი
თბილისი, საქართველო




ინტეგრირებული ანგარიში 2023

ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ („კრისტალი“) საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციაა. „კრისტალი“ მართავს 443.6 მილიონიან სასესხო და სალიზინგო პორტფელს. მის 49 ფილიალში დასაქმებული 985 თანამშრომელი ქვეყნის მასშტაბით 114 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალი“ ოპერირებს როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო და მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ (მათ შორის, სალიზინგო) პროდუქტებსა და არაფინანსურ (კონსულტაცია და ტექნოლოგიები) მომსახურებას აწვდის. „კრისტალი“ რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება (B- Positive) მიიღო. გარდა ამისა, 2021 წელს კომპანიამ გლობალური სარეიტინგო სააგენტოს Microfinanza-საგან სოციალური რეიტინგი „A-“ მიიღო.

ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული პროექტებისთვის 2021 წელს კრისტალს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მთავარი ჯილდო გადაეცა. საერთაშორისო მიკროსაფინანსო ასოციაციამ (MFC) კომპანიის „მწვანე მიმართულება“ (ენერგოეფექტური კრედიტები და განვადებები) მსოფლიოს მასშტაბით ხუთ საუკეთესო ინიციატივას შორის დაასახელა. საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსში BARTA „კრისტალი“ საქართველოში მეხუთედ გახდა ჯილდოს მფლობელი. ამგვარი აღიარება დამსახურებულად აყენებს „კრისტალს“ წარმატებული მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გვერდით და ცხადყოფს მის ინსპირაციას მისწრაფებას ბანკად ტრანსფორმირებისაკენ.

მეტი ინფორმაცია, ისე როგორც ანგარიშის ციფრული ვერსია შე-
გიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: <https://ir.crystal.ge/>



შინაარსი:

6 სტრატეგიული ანგარიში

8 მიმოხილვა

9 ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

10 თავმჯდომარის განცხადება

12 უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი

14 მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

19 კორპორაციული სტრატეგია

20 ბიზნესმოდელი

24 ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება

26 2023 წლის ტექნიკური დახმარება

26 რისკების მართვა 2023 წელს

31 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

35 ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

37 ოპერაციების მართვა

39 ინფორმაციული ტექნოლოგიები

42 მმართველობითი ანგარიში

44 სამეთვალყურეო საბჭო

44 თავმჯდომარე

45 საბჭოს შემადგენლობა

46 კორპორაციული მართვა

47 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

50 მმართველი გუნდი (დირექტორთა საბჭო)

52 კომიტეტების ანგარიშები

58 კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგებები დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

154 დანართები

სტრატეგიული ანგარიში



მიმოხილვა



„კრისტალის“ მისიაა
მენარმეების კაპიტალით,
ცოდნითა და უნარებით
გაძლიერება, რათა მათ
თავიანთი შესაძლებლობები
საყოველთაო კეთილდღეობად
გარდაქმნან.

კრისტალის ხედვაა გახდეს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მენარმეებს, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

„კრისტალის“ სტრატეგიაა, გამოიყენოს არსებული ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა და ფილიალების ვრცელი ინფრასტრუქტურა და ამავდროულად, მოახდინოს შეთავაზებული პროდუქტის დივერსიფიკაცია, რაც მოიცავს შემნახველ დეპოზიტების, ფულადი გზავნილების, ვალუტის კონვერტაციის, მობილური ბანკის, საკონსულტაციო და ტექნოლოგიურ მომსახურების როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის შეთავაზებას, აქცენტი სოფლის მეურნეობის, მიკრო და მცირე მენარმეების სეგმენტებზე.

„კრისტალი“ მართავს 443.6 მილიონიან სასესხო და სალიზინგო პორტფელს და 49 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით 985 თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 114 ათას უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. „კრისტალის“ ინსტიტუციური აქციონერები არიან Incofin IM და Developing World Markets. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა 25 პარტნიორთან, რომელთა შორისაც არიან საერთაშორისო საინვესტიციო ფონდები, ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები.

ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

Δ	2023	2022
წმინდა მოგება		
+ 81.1%	13,243	7,311
მთლიანი აქტივები		
+ 6.15%	480,524	452,692
სასესხო და სალიზინგო პორტფელი		
+ 11.58%	443,617	397,593
მთლიანი კაპიტალი		
+ 18.41%	78,755	66,509
ROA		
+ 1.18%	2.95%	1.77%
ROE		
+ 6.78%	18.44%	11.66%
უმოქმედო სესხები		
+ 0.16%	7.62%	7.46%
რისკის ხარჯი		
- 0.08%	1.66%	1.74%
ხარჯი შემოსავალთან მიმართებით		
-9.16%	68.45%	77.62%
ფილიალები		
-2.00%	49	50
მომხმარებლები		
- 4.23%	113,671	118,704
თანამშრომლები		
- 5.74%	985	1,045



თავმჯდომარის განცხადება

არჩილ ბაკურაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

„კრისტალის“ მიერ განვლილ გზას თუ გადავავლებთ თვალს, 2023 წელი მნიშვნელოვანი მოვლენით გამოირჩეოდა – „კრისტალმა“ 25 წლის იუბილე აღნიშნა. ამ მომენტმა კიდევ უფრო განამტკიცა კომპანიის თავდაჯერებულობა და ამავდროულად, გაზარდა პასუხისმგებლობის აღქმა პარტნიორებისთვის პატივ-საცემი და მომხმარებელთათვის ღირებული ორგანიზაციის ჩამოყალიბების გზაზე. თუმცა, ამ მომენტმა ასევე დაგვანახა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებების აუცილებლობა, რაზეც მეტყველებს „კრისტალის“ ახლად დამტკიცებული კორპორაციული სტრატეგია 2023-2025 წლებისთვის.

მიუხედავად რეგიონში არსებული პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობისა, საქართველოს ეკონომიკა საგრძნობი სტაბილურობით გამოირჩეოდა. მთლიანი შიდა პროდუქტი 7%-ით გაიზარდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა კი -4.05% შეადგინა. ამავდროულად, ლარი კვლავ სტაბილურობას ინარჩუნებდა – 2023 წელს ლარის კურსი 0.5%-ით გამყარდა.

ალბათ, „კრისტალისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება საბანკო ტრანსფორმაციისთვის მზადება იყო. ტრანსფორმაცია შეეხო კომპანიის საქმიანობის ყველა ასპექტს, კორპორაციული მმართველობიდან დაწყებული ტექნოლოგიებითა და ყოველდღიური პროცესებით დამთავრებული.

ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა რისკების მართვის მიმართულების გაძლიერება. ჩვენ მოვახდინეთ რისკების მართვის ცენტრალიზება, გააძლიერეთ კონტროლის ერთეულები და გავატარეთ თანმიმდევრული ზომები რისკების კომიტეტში, რამაც დახვეწა ანგარიშგების მექანიზმები და გააძლიერა რისკებთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი.

აღსანიშნავია აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის (ALCO) რეფორმა. საბანკო ლიცენზიის მიღების შემდეგ, ALCO გადავა დირექტორთა საბჭოს დაქვემდებარებაში და პასუხისმგებელი იქნება ფინანსური რისკების მართვაზე. შედეგად, „კრისტალის“ გაძლიერებული მონიტორინგის სისტემები ფინანსური რისკების უფრო ეფექტური მართვის შესაძლებლობას მოგვცემს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებთან თანხვედრის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრების ხელახალი დანიშვნა. აღნიშნულის ფარგლებში, გამოქვეყნდა ბანკი „კრისტალის“ განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც გაიწერა ფუნქციები, კვალიფიკაციები და შეფასების სქემები. ეს პროცესი, რომელსაც ზედამხედველობას ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი უწევდა, მენეჯმენტის განახლებული ხელშეკრულებების გაფორმებითა და საკომპენსაციო პაკეტის ფორმირებით დასრულდა.

ამასთან, აქციონერთა დასტურის საფუძველზე, განისაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო თავმჯდომარის ხელახალ დანიშვნას და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების რესტრუქტურისაგან. მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდეგ, „კრისტალში“ იქნება რისკების კომიტეტი, აუდიტის კომიტეტი და გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი.

მმართველობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისა და ხელმძღვანელობის მხრიდან სათანადო ტონის განსაზღვრის, ასევე მენეჯმენტისა და თანამშრომლების ძალისხმევით, 2023 წელს პორტფელი (სესხებს + ლიზინგი) 11%-ით გაიზარდა და 443.6 მილიონ

ლარს მიაღწია. ამავდროულად, უმოქმედო სესხების (NPL) წილი 7.62%-ზე შენარჩუნდა (2022 წელს არსებულ 7.46%-თან შედარებით). ასევე გაუმჯობესდა ხარჯისა და შემოსავლის კოეფიციენტი 68.45%-მდე (77.62%-დან 2022 წელს), უკუგებათა კაპიტალზე 18.44% შეადგინა (11.66% 2022 წელს), რაც მიუთითებს, რომ საბანკო ლიცენზიის მიღების შემთხვევაში, მზად ვართ გავცეთ დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე. ჩვენი მიზანია მომავალში დივიდენდის გაცემის კოეფიციენტი წმინდა მოგების დაახლოებით 25%-ის ფარგლებში შევინარჩუნოთ.

უცვლელი რჩება კომპანიის მისია ხელი შეუწყოს ფინანსურ ჩართულობას, რაც უფრო სამართლიანი და ინკლუზიური ეკონომიკის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი. ამ მიზნით, „კრისტალს“ მკაფიოდ აქვს განსაზღვრული სოციალური მიზნები და დანერგილი აქვს სოციალური შედეგების მართვის მძლავრი სისტემა. 2023 წლის ბოლოს, კომპანიამ სოციალური გავლენის ანგარიში გამოაქვეყნა.

„კრისტალმა“ დაიქირავა კომპანია 60_Decibels დამოუკიდებელი რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად, რამაც საშუალება მოგვცა კრისტალის შედეგების პოზიციონირება 120+ მიკროსაფინანსო ინსტიტუტთან მიმართებით გავგეგმეთ. მაღლობას ვუხდით ჩვენს გრძელვადიან პარტნიორს, Proparco-ს ამ მიმართულებით ფასდაუდებელი დახმარების განწვევით. სოციალური გავლენის ანგარიში ხელმისაწვდომია კომპანიის კორპორაციულ ვებგვერდზე.

2023 წელს მომდევნო სამი წლისთვის ახალი კორპორაციული სტრატეგიის განსაზღვრამ კომპანიის მისიის კიდევ უფრო გამყარება უზრუნველყო, რაც შემდგომში მდგომარეობს: „მენარმეების კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით გაძლიერება, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები საყოველთაო კეთილდღეობად გარდაქმნან“. ჩვენი ხედვაა გავხდეთ მიკრო მენარმეებისთვის პრემიუმ კლასის ბანკი, რომელიც საქმიანობას კომერციული, სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების საფუძველზე წარმართავს. ჩვენი სტრატეგიის ქვაკუთხედი გახდება სასურველი არჩევანი მიკრო კლიენტებისთვის, გავაუმჯობესოთ ფინანსური მაჩვენებლები და ეფექტურად ვმართოთ საბანკო ტრანსფორმაცია.

„კრისტალმა“ ნათლად განსაზღვრა თავისი მისწრაფება საქმიანობის დივერსიფიცირება მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მოახდინოს, ამავდროულად კი გარემოსდაცვითი და სოციალური მაჩვენებლები გააუმჯობესოს. ეს სტრატეგიული მიმართულება 2024 წლის განმავლობაში გაანალიზდება, დეტალური ინფორმაცია კი აქციონერებსა და პარტნიორებს მიენიჭება.

რაც შეეხება გეგმებს, ველით საბანკო ლიცენზიის მიღებას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს „კრისტალის“ პოზიციონირებას, რათა გავაგრძელოთ ჩვენი კლიენტებისთვის ფინანსური ჩართულობის სერვისების მიწოდება.

დაბოლოს, 16 ნოემბერს გამართულ ღონისძიებაზე, „კრისტალის“ მიერ განვლილი გზის აღსანიშნავად, ჩვენი საერთო მიზნები დროის კაფსულში მოვათავსეთ, რომელიც 2048 წელს გაიხსნება. ეს სიმბოლურად ასახავს ჩვენს ურყევ განზრახვას, დავრჩეთ მომხმარებელზე ორიენტირებულ კომპანიად, რომელიც არის მდგრადი განვითარებისა და მომხმარებელთა ეკონომიკური კეთილდღეობის მხარდამჭერი.

პატივისცემით,
არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი

ილია რევია

უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

2023 წელი კრისტალისთვის შედეგების გაუმჯობესების ზედიზედ მესამე წელიწადი იყო. გლობალური და რეგიონული არასტაბილურობის მიუხედავად, რაც გამოიხატა დაფინანსების მზარდი ხარჯებითა და რუსეთ-უკრაინის ომით, კომპანიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომგებიანობა და ამავდროულად, გააძლიერა ინსტიტუციური შესაძლებლობები, პროცესები და სისტემები.

"კრისტალის" მდგრადი წარმატება ყველაზე ნათლად ციფრებით გამოიხატება: წინა წლის მსგავსად, ამ წელსაც გაგაუმჯობესეთ ჩვენი შედეგები: სასესხო პორტფელმა 443.6 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო ჩვენი აქტიური მსესხებლების რაოდენობამ 114 ათასს მიაღწია. ჩვენი გუნდი ფოკუსირებული იყო **მომგებიანობის გაუმჯობესებაზე**, რაც **წარმატებით განხორციელდა** საქართველოში ბიზნესის წარმოების გაზრდილი ხარჯებისა და **ბანკად ტრანსფორმაციისთვის მზადების მიუხედავად**. შედეგად, კრისტალის **უკუგება** კაპიტალზე **18.44%-ს** მიაღწია, **2022 წელს 11.66%-იანი მაჩვენებლიდან**. **შემოსავალთან მიმართებით ხარჯის კოეფიციენტი 68.45%-მდე შემცირდა (წლის მიხედვით 9.16%-იანი გაუმჯობესება), ხოლო პორტფელი 11.58%-ით გაიზარდა**. ამავდროულად, საკრედიტო რისკის გონივრული მართვის წყალობით, შენარჩუნდა აქტივების მაღალი ხარისხი.

2023 წელს **მნიშვნელოვნად გაძლიერდა კომპანიის რისკების მართვის სისტემა**, რამაც უზრუნველყო სასესხო პორტფელის ხარისხის, საოპერაციო რისკების მართვის პროცესების, პორტფელის რისკების მართვის გაუმჯობესება, ასევე ანდერაიტინგისა და ამოღების პროცესების ცენტრალიზაცია.

ჩვენ განვაგრძეთ ინვესტიციების მოზიდვა ჩვენი დიდი ხნის, ასევე ახლად შეძენილი საერთაშორისო პარტნიორებისგან, რამაც კიდევ უფრო გაამყარა ჩვენი, როგორც საიმედო ფინანსური ინსტიტუტის იმიჯი. 2023 წელს, კომპანიამ 206 მილიონი ლარის ინვესტიცია მოიზიდა. გარდა ამისა, კრისტალმა გამოუშვა **პირველი რეგიონული სერტიფიცირებული გენდერული ობლიგაცია 25 მილიონი ლარის ოდენობით**. ჩვენი **კაპიტალის პოზიცია გამყარდა 3 მლნ ლარის სუბორდინირებული სესხის მიღებით**.

ამავდროულად, ჩვენ ვინარჩუნებდით ორიენტაციას მომავალზე და აქტიურად **განვაგრძობდით საბანკო ტრანსფორმაციის სტრატეგიული მიზნისაკენ სვლას**. ჩვენ განვახორციელეთ ფართომასშტაბიანი ცვლილებები ორგანიზაციული მართვის, რისკების მართვის სისტემის, კრისტალის პროდუქტებისა და პროცესების საბანკო სისტემასთან დაახლოების მიზნით. მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა ხელი მოაწერა კანონს მიკრობანკების შესახებ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ წელს დაასრულა შესაბამისი მარეგულირებელი ბაზის შემუშავება, **მმართველი გუნდის ძალისხმევა უმთავრესად მიმართული იყო აუცილებელი ორგანიზაციული ცვლილებების გატარებაზე** და შესაბამისი სალიცენზიო პაკეტის მომზადებაზე. აღნიშნული ფართომასშტაბიანი ცვლილებები შეეხო კომპანიის საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტს.

გაგრძელდა გაციფრულების პროცესი. ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად, კომპანიამ წარმატებით განახორციელა სხვადასხვა მასშტაბის და სირთულის 50-მდე საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტი. 2023 წელს დაიწყო მუშაობა **ახალ მასშტაბურ პროექტზე – სესხის გაცემის სისტემის დანერგვაზე**. პროექტი მიზნად ისახავს არსებული საკრედიტო მოდულების ჩანაცვლებას და კლიენტთა დაკრედიტების ყველა ასპექტის ერთიან სისტემაში მოქცევას. პროექტის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გამარტივდება დაკრედიტების პროცესი, კერძოდ, გაუმჯობესდება ხარისხი და შემცირდება მომსახურების დრო.

მჭიდროდ კოორდინირებული ძალისხმევის შედეგად, ეს **პროცესი წარმატებით დაგვირგვინდა 2023 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ბანკში მიკრობანკის სალიცენზიო პაკეტის წარდგენით**. დარწმუნებულნი ვართ, რომ მიკრობანკად ტრანსფორმაცია საშუალებას მოგვცემს გაგაუმჯობესოთ მომხმარებელთა შენარჩუნების მაჩვენებელი

ჩვენი გუნდი კრისტალის წარმატების საწინდარია!

და გავზარდოთ არასაკრედიტო შემოსავლები, ასევე ხელი შევუწყოთ საკრედიტო პორტფელის ზრდას, რაც შემდგომში მასშტაბის ეფექტიანობასაც გაზრდის. მკაცრად რეგულირებული საბანკო სექტორისთვის დამახასიათებელი დაბალი რისკებისა და საქართველოს სტაბილური მაკროპრუდენციული მაჩვენებლების ფონზე, ტრანსფორმაცია ასევე განამტკიცებს „კრისტალის“ პოზიციონირებას და გაზრდის კომპანიის ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ **2023 წლისთვის დაგეგმილი ყველა პრიორიტეტული მიმართულება – მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვება, ფინანსური შედეგების გაუმჯობესება, ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება** – წარმატებით განხორციელდა.

ჩვენს წარმატებულ საქმიანობას შემჩნეულად არ ჩაუვლია; „კრისტალმა“ რამოდენიმე მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა:

- ◀ სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა 2023 წელს კომპანია "კრისტალის" რეიტინგის პერსპექტივა „დადებითამდე“ გაზარდა, რაც გლობალური გამოწვევების ფონზე, მნიშვნელოვანი წარმატებაა.
- ◀ Scope რეიტინგმა კრისტალს მიანიჭა უმაღლესი ქულა სოციალურ ჩარჩოს ფარგლებში, რის შედეგადაც „კრისტალი“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამა საქართველოში“ გამარჯვებულად დასახელდა.
- ◀ ზედიზედ მეხუთედ მოვიპოვეთ "BARTA"-ს ჯილდო საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობისთვის, რაც ადასტურებს, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ორგანიზაციული ღირებულების – გამჭვირვალობის ერთგულნი ვართ.
- ◀ 2019 წლიდან, „კრისტალმა“ მესამედ მოიგო კორპორაციული მდგრადობის ჯილდო, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, ქალთა გაძლიერებისა და უთანასწორობის შემცირების მიმართულებით გაწეული ძალისხმევისთვის.

პერსპექტივა

საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლებისა და კრისტალის მძლავრი ბიზნეს მოდელის წყალობით, მომავალს მყარი პოზიციით ვხვდებით. არსებული გამოწვევების ფონზე, კრისტალის წარმატება დადებითად აისახება არა მხოლოდ ჩვენი კომპანიის მდგრად განვითარებაზე, არამედ მთლიანად საქართველოს მეწარმეობასა და ეკონომიკურ აღორძინებაზე. მჯერა, რომ 2024 წელსაც გავაგრძელებთ იმავე კურსით სვლას. ერთობლივი გუნდური ძალისხმევით, ჩვენ შევძლებთ „კრისტალი“ წარმატებულ და ძლიერ ბანკად ვაქციოთ. 2024 წლის ძირითადი პრიორიტეტები შემდეგია:

- | | | | |
|---|--|--|---|
| 1. მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვება და ტრანსფორმაციის დასრულება | 2. ფინანსური შედეგების შემდგომი გაუმჯობესება | 3. სესხის განაცხადების დამუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ავტომატიზაცია | 4. მომხმარებელთა დისტანციური მომსახურების არხების განვითარება (პირველ რიგში, მობილური ბანკინგის გზით) |
|---|--|--|---|

ჩვენი გუნდი

ამ ტიპის მასშტაბური პროექტების განხორციელება და ორგანიზაციული ცვლილებების გატარება საჭიროებს გულმოდგინე შრომას, თავდადებას, ურთიერთგაგებას, უწყვეტ ინდივიდუალურ და კოლექტიურ სწავლებას. **მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელი გამოირჩეოდა ბაზარზე მნიშვნელოვანი გაურკვევლობით, გუნდური მუშაობა და მენეჯერული გამჭრიახობა დაგვეხმარა მნიშვნელოვანი ცვლილებების წარმატებით მართვაში.**

აღბათ ვერ შევძლებ სრულად გამოვხატო ჩემი მადლიერება „კრისტალის“ უბადლო გუნდის, სამეთვალყურეო საბჭოს, ყველა დაინტერესებული მხარისა და პარტნიორის მიმართ გასული წლის განმავლობაში გამოვლენილი ერთგულებისა და გაწეული მხარდაჭერისთვის. მე გულწრფელად მადლობელი ვარ ჩვენი თანამშრომლების, საქმისადმი გამოხატული ერთგულებისთვის, ერთმანეთის მიმართ ზრუნვისთვის, მუდმივი სწრაფვისთვის დაუღალავად მოემსახურონ ჩვენს მომხმარებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, ის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მასშტაბით ჩვენი 1,000-მდე კვალიფიციური თანამშრომლის დამსახურებაა!

პატივისცემით,
ილია რევია

მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

მთლიანი შიდა პროდუქტი

2023 წელს ქვეყნის ეკონომიკა არაერთი გამოწვევით ხასიათდებოდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ზრდის ტემპი წინა წლებთან შედარებით უფრო დაბალი იყო, თუმცა მაკროპარამეტრები შედარებით გაუმჯობესდა. წლის მიხედვით რეალური მშპ-ს ზრდამ 7.5% შეადგინა, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 8,210 აშშ დოლარი იყო.


საერთო ჯამში, ეკონომიკური კლიმატი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა. პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე პერიოდის მოლოდინები პოზიტიურად შეფასდა და ეკონომიკაზე დადებითად აისახა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი მთელი წლის მანძილზე გაგრძელდა, რუსეთიდან მიგრანტების რიცხვი არათუ გაიზარდა, პირიქით, შემცირდა. ამასთანავე, შემცირდა ამ პროცესების გავლენა სავალუტო შემოღინებაზე. 2022 წელს გზავნილების შოკური ზრდა 2023 წელს შენედა, წლის ბოლოსთვის კი ომის ფაქტორი თითქმის სრულად განეიტრადა.

ჯამურად, 2023 წელს ფულადი გზავნილების მოცულობა წინა წელთან შედარებით 5.7%-ით შემცირდა და 4.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. კლების ძირითადი მიზეზი იყო რუსეთიდან გზავნილების შემცირება (26.2%). ამავდროულად, ემიგრაციის ზრდასთან ერთად, ევროკავშირიდან გზავნილების მოცულობამ 25.2%-ით მოიმატა.

ტურიზმიდან შემოსავალმა თითქმის 4.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 26.2%-ით აღემატება 2019 წლის პანდემიამდელ მაჩვენებელს და 17.3%-ით 2022 წლის მონაცემს.

რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში - %-ში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2020-2022 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხოდ დაწესებულმა შეზღუდვებმა გაზარდა სამეწარმეო ხარჯები. შესაბამისად, შეიქმნა ინფლაციის ზრდის რისკი, ამიტომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2020-2023 წლის განმავლობაში მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნა. აღნიშნულს დაემატა FED-ისა და ECB-ის განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უკრაინა-რუსეთის ომის პირველადი პანიკური შოკის გადავლა, მიწოდების ჯაჭვის აღდგენა, ნავთობის და სურსათის ფასების დასტაბილურება და კლება. შედეგად, საშუალო წლიური ინფლაცია 2022 წელთან შედარებით 11.5 პპ-ით შემცირდა და 0.4% შეადგინა. ეროვნული ბანკისა და ანალიტიკოსების პროგნოზით, მომდევნო 3 წლის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელი 3%-ის ფარგლებში შენარჩუნდება.

ინფლაციის კლებასთან ერთად, ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის მეორე ნახევრიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შერბილება დაიწყო; კერძოდ, 2022 წელთან შედარებით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა 1.5 პპ-ით დაიკლო და 9.5% შეადგინა. შერბილებული მონეტარული პოლიტიკა კიდევ უფრო გააქტიურებს დაკრედიტების ბაზარს და ხელს შეუწყობს მშპ-ს ზრდას. მომდევნო 3 წლის განმავლობაში დაგეგმილია MPR-ის 7%-იან ნიშნულთან შენარჩუნება.

ინფლაცია და MPR საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ეროვნული ბანკი

დასაქმება და უმუშევრობა

2020 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განაახლა დასაქმებისა და უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგია. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, თვითდასაქმებულად აღარ ჩაითვლება საკუთარ საოჯახო მეურნეობაში მომუშავე პირი, რომელიც პროდუქციის უმეტეს ნაწილს (50%-ზე მეტს) პირადი მოხმარებისთვის აწარმოებს. ასეთი პირები გადანაწილდებიან უმუშევართა ან მოსახლეობის იმ კატეგორიაში, რომელიც სამუშაო ძალად არ მოიაზრება. ახალი სტანდარტის დანერგვის გამო, აუცილებელი გახდა ისტორიული მონაცემების გადაანგარიშება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უზრუნველყო 2010 წლიდან არსებული მონაცემების განახლება.

2022 წელთან შედარებით, 2023 წელს უმუშევრობის დონე 2.0 საპროცენტო პუნქტით შემცირდა და 15.3% შეადგინა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო მთავრობის და ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილებით, მომატებული მოთხოვნით რუსეთ-უკრაინიდან მიგრაციის გამო და საქართველოდან უმუშევარი ხალხის გადინებით. უმუშევრობის დონის კლებამ გამოიწვია შრომით ბაზარზე ანაზღაურების მკვეთრი ზრდა და დეფიციტი. მომდევნო 3 წლის განმავლობაში, მოსალოდნელია უმუშევრობის დონის 12%-იან ნიშნულამდე კლება.

უმუშევრობის დონე



Source: National Bank of Georgia

ექსპორტი და იმპორტი

ბოლო 3 წლის მანძილზე ეკონომიკის ზრდის, ტურიზმის აღდგენის, გზავნილების მკვეთრი მატებისა და მიგრაციის ფონზე, გაიზარდა როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი. ამასთან, იმპორტის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებამ.


2023 წელს საქონლის ექსპორტმა 6.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ექსპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებსა (66%) და ევროკავშირზე (11.5%).

2023 წელს საქონლის იმპორტმა 15.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 14.9%-ით მეტია. იმპორტის ძირითადი ნაწილი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე (21.2%), ევროკავშირსა (24.5%) და თურქეთზე (16.5%).

ტურიზმი

2022-2023 წლისთვის ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა პანდემიამდე პერიოდს (2019 წელი). ასევე საგრძნობი გაუმჯობესება დაფიქსირდა წლიდან წლამდეც. კერძოდ, 2022 წელთან შედარებით, ტურიზმიდან შემოსავლები 2023 წელს 16.6%-ით გაიზარდა და 4,100 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საქართველოში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2023 წელს ფულადი გზავნილების შემოდინება წლიურად 5.7%-ით შემცირდა და 4,123 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ბოლო 2 წლის საშუალო ზრდის მთავარი კონტრიბუტორი რუსეთიდან გზავნილებია.

ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წილი – 37%, რუსეთზე მოდიოდა (1,526 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წლის წლიურად 10.3 პპ-ით შემცირებას), მეორე ადგილი 12.6%-ით ეჭირა იტალიას (519 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წლის წლიურად 2.7 პპ-ით ზრდას), რომელსაც 11.1%-ით მოსდევდა აშშ (456 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წლის წლიურად 3.6 პპ-ით ზრდას) და საბერძნეთი 5.9%-ით (242 მლნ აშშ დოლარი, რაც გულისხმობს წლის წლიურად 0.8 პპ-ით ზრდას).

ფულადი გზავნილების შემოდინება საქართველოში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ 1,595 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24%-ით ნაკლებია 2022 წლის დაზუსტებულ მონაცემებთან შედარებით.

ამავე მონაცემებით 2023 წელს განხორციელებული FDI-ის ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ფინანსურ სექტორზე – 39.5%, რომელსაც მოსდევდა დამამუშავებელი მრეწველობა 18.3%-ით, ტრანსპორტირება 8.7%-ით, ვაჭრობა 7.3%-ით.

FDI საქართველოში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიმდინარე ანგარიში

2022-2023 წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ისტორიულ მინიმუმზე იყო, რაც გამოიწვია საგრძნობლად გაზრდილმა გზავნილებმა, ექსპორტმა, უცხოურმა ინვესტიციებმა, ტურიზმიდან შემოსავლებმა, ვალუტის გამყარებამ და ეკონომიკის გახსნამ. ამ ყოველივემ დადებითი გავლენა იქონია მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე.

CA დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით საქართველოში (%)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის რეგულირება

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 3.03%-ით, ევროსთან მიმართებით 13.3%-ით გაუფასურდა, ხოლო რუსულ რუბლთან მიმართებით 44%-ით და თურქული ლირის მიმართ 36.6%-ით გამყარდა.

ლარის გაცვლითი კურსის გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის, წლიდან წლამდე, შესაბამისად, 3.1%-ითა და 6%-ით კლებაში აისახა. 2023 წლის უცხოური ვალუტის რეგულირების მოცულობამ 5,010 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბიუჯეტის დეფიციტი და სამთავრობო ვალი მშპ-ის მიმართ

გაზრდილი ეკონომიკური აქტივობისა და პოზიტიური მაკროგარემოს ფონზე, ბიუჯეტის დეფიციტი ბოლო 3 წლის განმავლობაში კლებადაც ტენდენციით გამოირჩეოდა. კერძოდ, 2020 წელს დეფიციტი 9.3% იყო, 2023 წელს კი – 2.4%.

წინასწარი მონაცემებით, 2023 წელს სამთავრობო ვალის მშპ-სთან შეფარდება 38.2%, შეადგინა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 39.5 პპ-ით ნაკლებია. მთავარი ხელშემწყობი ფაქტორები იყო ბიუჯეტის მცირე დეფიციტი, გაცვლითი კურსი და ეკონომიკური ზრდა.

საკრედიტო ბაზარი

საკრედიტო ბაზარი განისაზღვრება როგორც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოს რეზიდენტ შინამეურნეობებზე 100 ათასი ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 5 წლის დაფარვის ვადით გაცემული სესხების პორტფელი და ხელშეკრულებები.

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, კომერციული ბანკების პორტფელი 13.7%-ით (1,162 მლნ ლარი) გაიზარდა და 9,640 მლნ ლარი შეადგინა. ანალოგიურ პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი 8.22%-ით (129 მლნ ლარი) გაიზარდა და 1,703 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საკრედიტო ბაზრის ჯამური ზომა 12.85%-ით (1,292 მლნ ლარი) გაიზარდა და 11,343 მლნ ლარი შეადგინა.

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, სასესხო კონტრაქტების ბაზარი 5.27%-ით (181 ათასი) გაიზარდა და 3.61 მლნ კონტრაქტი შეადგინა. კომერციული ბანკების კონტრაქტები 6.05%-ით (157 ათასი) გაიზარდა და 2.76 მლნ კონტრაქტი შეადგინა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო კონტრაქტები კი 2.83%-ით (23.4 ათასი) გაიზარდა და 850.5 ათასი სასესხო კონტრაქტი შეადგინა..

კორპორაციული სტრატეგია

მიკრობანკის მოახლოებული ლიცენზირების და მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გაჩენის ფონზე, ჩვენ ახლებურად შევხედეთ ჩვენს მისიას, ხედვასა და სტრატეგიას, ამავედროულად, განვაახლეთ ჩვენი ბრენდის დაპირება, ჩამოვაყალიბეთ ახლებური ხედვა მომხმარებელთა სეგმენტის, პროდუქტებისა და იმ სერვისების მიმართ, რომელთა შეთავაზებასაც ვგეგმავთ.

„კრისტალის“ განახლებული მისიაა **გააძლიეროს მენარმეები კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით**, რაც მათ შესაძლებლობების კეთილდღეობად გარდაქმნის საშუალებას მისცემს. ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების, ცოდნის, ტექნოლოგიებისა და უნარების გაზრდილი ხელმისაწვდომობის წყალობით, კრისტალი საშუალებას მისცემს ქართველ მენარმეებსა და ფიზიკურ პირებს შექმნან სამუშაო ადგილები ეკონომიკაში, გაზარდონ აქტივები და გააუმჯობესონ ცხოვრების დონე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

განახლებული ხედვის მიხედვით, „კრისტალი“ უნდა იყოს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მენარმეების სეგმენტებს, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/ გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

„კრისტალის“, როგორც **ბრენდის დაპირებაა, საქმიანობა წარმართოს როგორც სანდო პარტნიორმა**, უზრუნველყოს ბიზნესი თუ ინდივიდუალურ მომხმარებელი შესაძლებლობით დაიწყოს ახალი ან განავითაროს არსებული საქმიანობა, გააუმჯობესოს საარსებო წყარო და ააშენოს უკეთესი მომავალი საკუთარი ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

„კრისტალის“ **სტრატეგიაა, გამოიყენოს არსებული ბრენდი, მომხმარებელთა ბაზა და ფილიალების ვრცელი ინფრასტრუქტურა და, ამავედროულად, მოახდინოს შეთავაზებული პროდუქტის დივერსიფიკაცია**, რაც მოიცავს შემნახველ დეპოზიტებს, ფულად გზავნილებს, ვალუტის კონვერტაციას, მობილურ ბანკს, საკონსულტაციო და ტექნოლოგიურ მომსახურებას როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლისათვის, აქცენტით **სოფლის მეურნეობის, მიკრო და მცირე მენარმეების სეგმენტებზე**. მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, „კრისტალი“ გააგრძელებს მომხმარებელთა იმავე სეგმენტის მომსახურებას, თანდათანობით მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტს ბევრად უფრო მძლავრი ფინანსური და ინსტიტუციური პლატფორმის გამოყენებით და შექმნის მეტ ღირებულებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საშუალოვადიანი პერიოდისთვის, სტრატეგიული ამოცანები შემდეგია:

1. წამყვანი პოზიციის მოპოვება ბაზრის მიკროსაფინანსო სეგმენტში და გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლების მიღწევა.
2. ძირითად (მიკრო) მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში ბიზნესის წილის თანმიმდევრული ზრდა.
3. შემნახველი პროდუქტების დანერგვა, ფოკუსირება ძირითად მომხმარებლებზე ან იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც აშუამად მცირე თანხა აქვთ დასაზოგი, მაგრამ არ აქვთ ბანკებთან ურთიერთობის გამოცდილება, ასევე მაღალი შემოსავლის მქონე პირებზე და კორპორაციებზე.
4. არსებული საკრედიტო პროდუქტების (სესხები, ლიზინგი და ა.შ.) შემდგომი განვითარება.
5. არასაკრედიტო პროდუქტების შემუშავება.
6. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების შესაძლებლობებისა და ოპერაციული პროცედურების განახლება ტრანსფორმირებული ინსტიტუტის საჭიროებების მხარდასაჭერად.
7. ძირითადი ბიზნესპროცესების გაციფრულება და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

ბიზნესმოდელი



„კრისტალი“ არის წამყვანი ქართული ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელს მრავალფეროვან ფინანსურ და არაფინანსურ მომსახურებას სთავაზობს.

ჩვენ ფოკუსირებული ვართ მიკროსაფინანსო მომხმარებლისათვის საუკეთესო და პერსონალიზებული გამოცდილების შეთავაზებაზე ფილიალებისა და ციფრული არხების გამოყენებით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს „კრისტალის“ ბიზნესმოდელს:

პროდუქტები		არხები	სემანტები			
მიკროსესხები	განვადებები	ფილიალები	მცირე ფერმერები			
SME სესხი	EE&RE	პირდაპირი	მიკრო მეწარმეები			
ლიზინგი	ფაქტორინგი*	მობილური	მცირე და საშუალო მეწარმეები			
		ონლაინ	საცალო კლიენტები			
გადახდები	კონსალტინგი	ქოლ-ცენტრი	სპეციალური ჯგუფები			
ვალუტა	ტექნოლოგია	გარე გაყიდვები	ახალგაზრდები	ქალები	დიასპორა*	იძულებით გადაადგილებული პირები
დაზღვევა	ელ. კომერცია	მერჩანტები				

* სამომავლო პროდუქტები და სემენტები

კრისტალის საკრედიტო მიმართულება საცალო და ბიზნეს მომხმარებლებს პროდუქტების ფართო არჩევანს სთავაზობს, ხოლო კომფორტული და ინოვაციური მიკროსაფინანსო გადაწყვეტილებები, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებით გათვალისწინებულ პერსონალიზებულ კონსულტაციებთან და განვითარებაზე მიმართულ სერვისებთან ერთად მომხმარებელთათვის განსაკუთრებული გამოცდილების შექმნას უზრუნველყოფს.

არასაკრედიტო მიმართულება მომხმარებლებს ტრანზაქციული პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს, როგორიცაა გადახდები, ფულადი გზავნილები, ვალუტის კონვერტაცია, დაზღვევა და მასთან დაკავშირებული მომსახურება.

„კრისტალის“ დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია და მიღებულია უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან, თუმცა დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს ასევე ადგილობრივი კომერციული ბანკები წარმოადგენს. გარდა ამისა, „კრისტალმა“ შეიმუშავა დაფინანსების ალტერნატიული წყარო, როგორიცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და განთავსება.

ბიზნესის მნიშვნელოვანი სიახლეები

კრისტალის მრავალწლიან ისტორიაში, 2023 წელი ბიზნეს შედეგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და გამოწვევების დაძლევის წელიწადი იყო. ბიზნესის მიმართულებით მიღებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილება, საფუძველი ჩაეყარა ახალ პროდუქტებსა და პროდუქტებს. აღნიშნულის შედეგად, გარკვეული პროდუქტების მიმართულებით რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა.

2023 წელს კრისტალის საკრედიტო და სალიზინგო პორტფელი 11.58%-ით გაიზარდა და 443.6 მლნ ლარი შეადგინა. წლის განმავლობაში, კომპანია 114,000-ზე მეტ კლიენტს მოემსახურა.

ჯამურად, 527 მილიონი ლარის სესხები გაიცა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.5%-ით აღემატება. აქტიური საკრედიტო კლიენტების რაოდენობამ 113,500 შეადგინა.

2023 წელს მეორე ფილიალი გაიხსნა ქალაქ ბათუმში, რის შედეგადაც აჭარის რეგიონში მაცხოვრებლების მომსახურება უფრო ხელმისაწვდომი და კომფორტული გახდა.

კრისტალი აქტიურად განაგრძობს აგრო მიმართულების გაძლიერებას. აგრო პორტფელის მოცულობამ 102 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 22.2%-ით მეტია.

2023 წელს „კრისტალს“, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა“ და „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა. შედეგად, კრისტალმა მიიღო წვდომა „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა“ ერთიან ბაზაზე, სადაც შესაძლებელია პოტენციური კლიენტების მონაცემების გადამოწმება. დაიხვეწა და განახლდა აგრო ტექნოლოგიური ბარათები.

ცვლილებები განხორციელდა ავტოპროდუქტის მიმართულებით. განახლდა პროდუქტის პირობები და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს მოერგო. გაფართოვდა პროდუქტის გაყიდვის არხი და დაინერგა ავტომატური სერვისები. შედეგად, 2023 წლის ბოლოსთვის, ავტოპროდუქტის პორტფელი 114%-ით გაიზარდა და 31 მლნ ლარს გადასცდა.

2023 წელს შემუშავდა და დაინერგა ვიდეო ვიზიტით ფინანსური ანალიზის ჩატარების პროცესი, რამაც ხელი შეუწყო კლიენტთა მომსახურების პროცესის დაჩქარებას.

შეიცვალა ქსელის მართვის სტრუქტურა; ქსელის მასშტაბით 6 რეგიონი გამოიყო; განვადების პროდუქტის უფრო ეფექტურად კოორდინაციის მიზნით, 4 დამატებითი კოორდინატორი განისაზღვრა. რეგიონული მართვა მომსახურებაზე უფრო მეტად ფოკუსირებული გახდა, რაც ხარისხის გაუმჯობესების საწინდარია.

2023 წლის პირველ ნახევარში, კრისტალმა აქტიურად ითანამშრომლა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „Enrian“-თან საფილიალო ქსელის ეფექტურობის გაუმჯობესების მიმართულებით. განხორციელდა გაყიდვების პროცესის სრული ანალიზი, რის საფუძველზეც მომზადდა რეკომენდაციები და დაინერგა ცვლილებები.

კომპანია წარმატებით განაგრძობს DFC/USAID/SIDA საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში სესხების გაცემას. გარანტიით გაცემულია 8000-ზე მეტი სესხი, 34 მლნ ლარის ოდენობით, რაც წინა წლის მაჩვენებელს მოცულობის მიხედვით 15%-ით, რაოდენობის მიხედვით კი – 13%-ით აღემატება. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ საგარანტიო მექანიზმით 100-მდე პრობლემური სესხის ანაზღაურება შეძლო, რომელთა საწყისი მოცულობა 200,000 ლარზე მეტია.

უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული პირების მხარდასაჭერად, 2023 წელს IFC-ისა და კრისტალის ერთობლივი პროექტი დაიწყო. მხარეებს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას.

2023 წელს კრისტალმა პარტნიორ კომპანია „ალტა“-სთან ერთად ახალ მასშტაბურ პროექტზე – Loan Origination-ის მოდულის დანარგვავზე დაიწყო მუშაობა. პროექტი მიზნად ისახავს არსებული საკრედიტო მოდულების ჩანაცვლებას და კლიენტის დაკრედიტების სრული ციკლის ერთ არხში მოქცევას. პროექტის დასრულების შემდეგ საგრძნობლად გამარტივდება დაკრედიტების პროცესი, გაუმჯობესდება ხარისხი და შემცირდება მომსახურების დრო.

2023 წელს კლიენტთა ციფრული ონბორდინგი დაიწყო, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დისტანციურად, მარტივად და სწრაფად მიიღონ გარკვეული სერვისები.

გაორმაგდა ერთეული საკრედიტო ექსპერტის პორტფელის ზრდის მაჩვენებელი, რამაც რაოდენობის მიხედვით 26 სესხი, მოცულობის მიხედვით კი – 145,000 ლარი შეადგინა.

კრისტალი აქტიურად განაგრძობს მწვანე მიმართულების განვითარებას. 2023 წელს მწვანე მიზნობრიობის დაფინანსებით გაცემულმა თანხამ 26 მილიონზე მეტი შეადგინა, რაც 18%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2023 წელს კომპანიამ მომხმარებლებს ენერგოეფექტური შეშის ღუმელების შესაძენად სპეციალური 0%-იანი „მწვანე განვადება“ შესთავაზა. პროდუქტი შეიქმნა საქართველოს სატყეო რეფორმის პროექტის, Eco Georgia-ს ფარგლებში, რომელშიც „კრისტალი“ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2021 წლიდან არის ჩართული და ხელს უწყობს სატყეო რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტის – ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის ბაზრის განვითარებას.

2023 წელს სადაზღვევო პროდუქტების მიმართულებით კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა:

- ავტო სესხების დაზღვევას სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტი დაემატა.
- დაინერგა ახალი სადაზღვევო პროდუქტები, როგორიცაა მესამე პირის პასუხისმგებლობის და ქონების დაზღვევა.
- განხორციელდა სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტის ოპტიმიზაცია სადაზღვევო რისკების ანაზღაურების კუთხით, რაც მოიაზრებს 3,000 ლარამდე განვადების უპირობო ანაზღაურებას..

აღნიშნულმა ცვლილებებმა საშუალება მოგვცა დამატებითი დოკუმენტაციის და განხილვის გარეშე მოგვეხდინა დამდგარი ზარალის ანაზღაურება, რამაც 2023 წლის მდგომარეობით 435, 000 ლარი შეადგინა.

2023 წელს სიცოცხლის დაზღვევის პორტფელი 85 მლნ ლარით გაიზარდა; აღნიშნული პროდუქტით მომხმარებლების 90%-ზე მეტი სარგებლობს.

2023 წელს ფულადი გზავნილების განვითარების მიმართულებითაც არაერთი ღონისძიება განხორციელდა. კერძოდ, დაინერგა სავალუტო გაცვლის კურსის ავტომატიზაცია;

კომპანიამ გზავნილების მომხმარებლებს შეღავათიანი კურსით სარგებლობა შესთავაზა, რითაც აღნიშნული პროდუქტი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. განხორციელებული ტექნიკური სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვნად დაიხვეწა პროცესი და შემცირდა მომსახურების დრო (დაინერგა ინფორმაციის საკრედიტო ბიუროში გადაცემის სერვისი). ჯამურად, 2023 წელს კომპანიამ ფულადი გზავნილებიდან 550,000 ლარამდე შემოსავალი მიიღო და 48,000 კლიენტს მოემსახურა.

2023 წელს აქტიურად დაიწყო მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) მომსახურება. 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სერვისით 50,000-მდე კლიენტი ისარგებლა.


არასაკრედიტო პროდუქტების განვითარება კვლავ რჩება კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. ამ კუთხით, კომპანიაში მნიშვნელოვანი ტექნიკური და მეთოდოლოგიური სამუშაოები ჩატარდა. მოხდა არასაკრედიტო გუნდის ფორმირება, აქტიურად დაიწყო საინვესტიციო პროდუქტ „მონეტა“-ზე მუშაობა. 2023 წელს ჯამურად მოზიდულმა სახსრებმა 1 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ლიზინგი

2020 წლიდან კომპანიამ ალტერნატიულ ფინანსურ პროდუქტზე – ფიქსირებული აქტივების ლიზინგზე დაიწყო მუშაობა, რათა განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ზომის მეწარმეებისთვის განსხვავებული ფინანსური პროდუქტი შეეთავაზებინა. მას შემდეგ, ლიზინგის მიმართულება 500-ზე მეტ მეწარმეს მოემსახურა და 1,000-ზე მეტი მოწყობილობისა და ინდუსტრიული ტექნიკის შეძენა დააფინანსა.

2023 წლის ბოლოსთვის, ლიზინგის ჯამური პორტფელი 12.419 მლნ ლარს შეადგენს და 321 უნიკალურ მომხმარებელს მოიცავს. ლიზინგის ბაზარზე, რომლის მთლიანი მოცულობა 494 მილიონი ლარია, კრისტალი 3%-იანი წილით არის წარმოდგენილი.

2023 წელს პორტფელის ზრდამ 24% შეადგინა. ძირითადად, ზრდა ტრანსპორტის, მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებზე მოდის. სექტორების მიხედვით, პორტფელის გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



2023 წელს, ლიზინგის პორტფელის ამონაგებმა (yield) 27.10% შეადგინა.

2023 წელს გაუმჯობესდა მნიშვნელოვანი საოპერაციო ფუნქციები და რგოლები, როგორებიცაა აქტივების ინსპექტირება და მონიტორინგი; შეწყვეტების დასაკუთრება და მართვა სწორი ლოგისტიკური მხარდაჭერის მექანიზმებით; სადაზღვევო პროცედურები/სადაზღვევო შემთხვევების მართვა. გაუმჯობესდა GPS tracking სისტემაზე მონიტორინგის პროცესი.

რისკების ანდერაიტინგის ნაწილი სესხების ანდერაიტინგთან გაერთიანდა. შედეგად, ლიზინგის ანდერაიტინგი ცენტრალიზებული რისკების ქოლგის ქვეშ მოექცა და ერთიანი საკრედიტო პოლიტიკის ნაწილად იქცა.

ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება



კომპანიის ფინანსური რესურსებით ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს ფონდების მოძიებისა და ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ბიზნესისა და ფინანსების დირექტორატთან სრულ კოორდინაციაში მუშაობდა. შედეგად, მაკროეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების მიუხედავად, კომპანიამ წელი წარმატებით დაასრულა და დასახულ სტრატეგიულ ამოცანებს მიაღწია.

2023 წელი დაფინანსების ხარჯის შემცირებით გამოირჩეოდა, რამაც დამატებითი სტიმული მისცა კომპანიის ფინანსურ გაჯანსაღებას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ფონდების შემცირებული ლიკვიდობის მიუხედავად, დაფინანსების სათანადოდ დივერსიფიცირებული სტრუქტურის წყალობით, კომპანიამ კვლავინდებური წარმატებით შეძლო ფინანსური რესურსების საჭირო მოცულობითა და სამიზნე განაკვეთებში მიღება.

2023 წელს ფონდების მოძიებისა და ინვესტორებთან ურთიერთობის მიმართულებას ახალი ფუნქცია დაემატა, რაც მიზნად ისახავდა კომპანიის მიერ კოვენანტების ფარგლებში არსებული მოთხოვნების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფას. ფინანსური პარამეტრების გაუმჯობესებული მართვის შედეგად, 2023 წლის აგვისტოდან ადგილი არ ჰქონია კოვენანტის არც ერთ დარღვევას რაც მიუთითებს კომპანიის მართვის მაღალ ხარისხზე და დამატებით ზრდის დამფინანსებლების მხრიდან ნდობას.

საბანკო ტრანსფორმაციის პარალელურად, კომპანიამ ეფექტურად მართა კაპიტალი და მასთან დაკავშირებული კოვენანტი. კაპიტალის პოზიციის გასამყარებლად, 2023 წლის ივნისში კრისტალმა ASN Microkredietfonds-ისგან 3,000,000 ლარის მოცულობის სუბორდინირებული სესხი მიიღო.


2023 წელს შესრულდა 21 ტრანზაქცია, ჯამში 206 მილიონი ლარის მოცულობით. აქედან,

8 საერთაშორისო პარტნიორთან (84 მილიონი ლარი).

13 ადგილობრივ ბანკთან (122 მილიონი ლარი).

ვალუტების თანაფარდობამ კი 75% ლარი და 25% აშშ დოლარი შეადგინა.

დაფინანსების შედეგები თვეების მიხედვით, ლარში



ისტორიულად, კრისტალის დაფინანსების სტრუქტურაში საერთაშორისო პარტნიორების წილი 80%-ს შეადგენდა, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს 68.1% იყო. ამგვარი შემცირება განპირობებული იყო გაზრდილი ინფლაციით და შესაბამისად, აშშ-ის ფედერალური რეზერვების მომატებული განაკვეთით, რაც პარალელურად 6-თვიან SOFR ინდიკატორს ზრდიდა. ეს კი უარყოფითად მოქმედებდა კრისტალის დაფინანსების სტრუქტურაზე, ზრდიდა რა დანახარჯებს დოლარში. არსებული რეალობის გათვალისწინებით, მენეჯმენტმა აქცენტი ადგილობრივ დაფინანსებაზე გადაიტანა და ბანკებთან თანამშრომლობის განვითარება დაიწყო. შედეგად, 2023 წლის ბოლოსთვის, ბანკებთან კონტრაქტების მოცულობამ 117 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი დაფინანსების 31.5%-ია. 2022 წლიდან, კომპანიამ დაფინანსების ახალი არხი შექმნა თამასუქის სახით, რომლის მეშვეობით 1.3 მილიონი ლარის (მთლიანი დაფინანსების 0.4%) მოზიდვა შეძლო.

უცხოური დაფინანსება, მეტწილად, ვალუტაში განხორციელდა, რამაც ჰეჯირების ინსტრუმენტის საჭიროება გაზარდა. შედეგად, სვოპის ნაწილში ადგილობრივ ბანკებთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა, რასაც ხელი მაკროეკონომიკაზე შეუწყო. კერძოდ, ჰეჯირების ხარჯი 9.00%-დან 4.65%-მდე შემცირდა. ვინაიდან 2023 წლის ბოლოსთვის კრისტალს 61 მილიონი აშშ დოლარი ჰქონდა ჰეჯირებული, ამ მხრივ კომპანიამ ხარჯები მნიშვნელოვნად დაზოგა.

პარალელურად, „კრისტალს“ არ შეუწყვეტია დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება და კაპიტალის ბაზარზე აქტიურად მუშაობა. საბროკერო სააგენტო Galt & Taggart-თან თანამშრომლობით, კომპანიამ 25 მლნ ლარის მოცულობის ტრანზაქცია განახორციელა. აღნიშნული ტრანზაქცია „კრისტალისათვის“ რიგით მე-3 გარიგება იყო, რამაც მას ადგილობრივ ბაზარზე სანდოობა შემატა და კომპანიის მიმართ ინტერესი გაზარდა. შეთანხმება აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს ბანკს შორის შედგა, რომელთა თანამონაწილეობა, შესაბამისად, 75%-ითა და 25%-ით განისაზღვრა. აღნიშნული რესურსი მნიშვნელოვანია მისი სპეციალური დანიშნულებიდან გამომდინარე, ისახავს რა მიზნად ქალი მეწარმეების ფინანსურ გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას.

სარეიტინგო კომპანია Scope-მა კრისტალის სოციალურ ჩარჩოს უმაღლესი შეფასება მიანიჭა, რის შედეგადაც საქართველოში, EBRD-ისა და ვეროკავშირის მიერ მხარდაჭერილი კაპიტალის ბაზრის განვითარების პროგრამის ფარგლებში, კრისტალი ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა.

გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგზეც დადებითად აისახა: FITCH RATINGS-მა სტაბილური მოლოდინი პოზიტიურით შეცვალა, რის შედეგადაც 2023 წელი კომპანიამ B- „Positive Outlook“-ით დაასრულა.

2023 წელს განხორციელებული ტრანზაქციები:

Triodos Investment Management



2023 წლის ტექნიკური დახმარება

დაფინანსების პროცესის პარალელურად, გუნდმა ტექნიკური დახმარების მიმართულებითაც ინტენსიურად იმუშავა. წლის დასაწყისიდან მთავარი აქცენტი საბანკო ტრანსფორმაციის პროექტის მხარდაჭერაზე გაკეთდა. საგრანტო პროგრამების მიზნობრიობაც სწორედ საბანკო საჭიროებებით, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხებით განისაზღვრა. ჯამში კომპანიამ 4 პროექტი განახორციელა, 340,000 აშშ დოლარის მოცულობით.

კრისტალის მიზანია შეინარჩუნოს მყარი, ნდობაზე დაფუძნებული და გამჭვირვალე პარტნიორული ურთიერთობები, რაც კომპანიის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების გარანტია.

რისკების მართვა 2023 წელს



რისკების მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე იქნება დაფუძნებული, კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. რისკების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით 2023 წელს კომპანიამ შემდეგი ნაბიჯები გადადგა:

საკრედიტო რისკის მართვა

- კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკის მართვის გამართული სისტემა.
- 2023 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა კომპანიის რისკის მადა, რაც საკრედიტო პორფელის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.
- 2023 წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ანდერაიტინგის მიმართულება მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილების ინსტრუმენტების დანერგვის შედეგად. აღნიშნული ინსტრუმენტები ემყარება როგორც ექსპერტულ ცოდნას, ისე მონაცემებს, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია.
- 2023 წლის ბოლოს დაიწყო ანდერაიტინგის ცენტრალიზაცია, რაც 2024 წლის თებერვალში დასრულდება.
- 2023 წლის ბოლოს დაინერგა სტატისტიკური მოდელი, რამაც კომპანიას სესხის განაცხადის ავტომატური განხილვის პროცესის დაწყების საშუალება მისცა. შედეგად, განაცხადზე პასუხის გაცემა 3-5 წუთის შუალედში გახდა შესაძლებელი.
- მნიშვნელოვნად გაძლიერდა პორტფელური რისკების მიმართულება. გაიზარდა ფოკუსი მონაცემებსა და სტატისტიკურ ანალიზზე დამყარებულ გადაწყვეტილებებზე. მნიშვნელოვნად განახლდა პორტფელის ანალიზის პროცესი და გაცილებით უფრო ინფორმაციული გახდა, ეს კი ხელს უწყობს რისკების უკეთ იდენტიფიცირებას.
- განახლდა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების დათვლის მოდელი, რომელიც სრულად შეესაბამება IFRS-9 მოთხოვნებს. მოდელი კომპანიას საშუალებას აძლევს გაცილებით უფრო მაღალი სიზუსტით დათვალოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და უზრუნველყოს მისი პრევენცია.
- 2023 წელს განახლდა კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც კონტრაგენტის რისკის შეფასებას, მონიტორინგსა და შესაბამისი ლიმიტების მართვას უზრუნველყოფს.

საოპერაციო რისკის მართვა

- 2023 წელს კომპანიაში რისკის თვითშეფასების ინსტრუმენტი (RSA) დაინერგა. აღნიშნული ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს კომპანიას შეაფასოს ყველა კრიტიკულ ბიზნესპროცესში არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტურობა და გამოავლინოს სისუსტეები.
- ასევე დაინერგა მნიშვნელოვანი რისკების ინდიკატორები (KRI), რომლებიც საშუალებას აძლევს კომპანიას ადრეულ ეტაპზე მოახდინოს მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება და დაგეგმოს მათი პრევენცია.
- დაინერგა ახალი რისკების მართვის პროცესი (NRA), რომელიც ხელს უწყობს ახალ პროდუქტებთან, არხებთან თუ პროცესებთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების წინასწარ ინდენტიფიცირებას და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვას.

- 2023 წელს განახლდა უკვე დამდგარი რისკების მონაცემების ბაზა (RED), რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს დამატებით გაანალიზოს, თუ რა სისუსტეებია ბიზნესს პროცესებში არსებულ კონტროლის მექანიზმებში. შეგროვილი მონაცემები გაცილებით უფრო ინფორმაციული გახდა.
- 2023 წელს ასევე განახლდა ბიზნესუწყვეტობის გეგმა, რომელმაც კომპანიაში არსებული ყველა კრიტიკული ბიზნესპროცესი მოიცვა. ბიზნესუწყვეტობის გეგმა არსებითი ინსტრუმენტია კრიტიკულ სიტუაციაში ბიზნეს პროცესების უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

შესაბამისობის რისკის მართვა

- 2023 წელს განახლდა შესაბამისობის რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს ხედვის დანერგვას კომპანიის მასშტაბით და ქმნის შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩოს.
- შესაბამისობის რისკის მართვაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფულის გათვთრების და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რეგულაციასთან შესაბამისობას. 2022-2023 წლებში კომპანიამ მნიშვნელოვნად დახვეწა აღნიშნული პროცესი, გაითვალისწინა რა რეგულატორის რეკომენდაციები. განახლდა პროცედურები, დაიხვეწა პროცესები და გაუმჯობესდა პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.
- შესაბამისობის შესახებ ყოველკვარტალური ანგარიში სისტემატურად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ლიკვიდობის რისკის მართვა

- 2023 წელს განახლდა ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა, სადაც მკაფიოდ გაიწერა ყველა შესაძლო ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ლიკვიდობაზე, ასევე განისაზღვრა პრევენციის მექანიზმები.
- კომპანია რეგულარულად ამზადებს სტრეს-ტესტებს და გეგმავს შესაბამის ქმედებებს.
- ერთ წყაროზე დამოკიდებულების თავიდან ასარიდებლად, კომპანიას დადგენილი აქვს დაფინანსების წყაროს კონცენტრაციის ლიმიტი, რომელიც მთლიანი ვალდებულების 20%-ს შეადგენს.

სავალუტო რისკის მართვა

- დამტკიცდა ღია პოზიციის +-10%-იანი ლიმიტი, რაც უზრუნველყოფს რისკის შემლუდვას; მიუხედავად რეგულაციით გათვალისწინებულ შესაძლებლობისა, პოზიცია იყოს +-20%-იანი ლიმიტის ფარგლებში, კომპანია ინარჩუნებს კონსერვატიულ მიდგომას.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

- კომპანია იღებს სათანადო ზომებს, რათა ვადებულებებისა და აქტივების ვადი-ანობის თაფარდობა ისე იყოს დაცული ბალანსში, რომ დროულად შეძლოს ბაზარზე საფასო ცვლილებების მის აქტივებზე ასახვა.
- 2023 წელს კომპანიამ განაახლა საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პო-ლიტიკა და მოდელი.

კაპიტალის ადეკვატურობის რისკის მართვა

- 2023 წელს კომპანიამ განაახლა კაპიტალის ადეკვატურობის მართვის პოლიტი-კა; განისაზღვრა შესაბამისი უფლებამოსილებები და პასუხისმგებელი მიმართუ-ლებები.
- შეიქმნა ICAAP მოდელი, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს გაზომოს ყვე-ლა პოტენციური რისკის კაპიტალით დაფარვადობა.
- 2023 წელს კომპანიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განხორ-ციელდა: რისკების დირექტორატში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთე-ული, რომელიც ლიკვიდობის, სავალუტო, საპროცენტო და კაპიტალის ადეკვატუ-რობის რისკის მართვის პროცესში დაცვის მეორე ხაზს წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილებით, მენეჯმენტმა რისკის მართვის ყველა ზემოხსენებულ პროცესში სამი დონის დაცვის მექანიზმი დანერგა.
- ფინანსური რისკების მართვის ეფექტიანი ორგანოა ALCO-ს კომიტეტი. 2023 წელს ALCO-ს კომიტეტის ახალი დებულება შემუშავდა, რომელიც მენეჯმენტის დონეზე კომიტეტის ფუნქციის გაძლიერებასა და რისკების მართვაზე მეტ ფოკუსს უზრუნ-ველყოფს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა



2023 წლის განმავლობაში განხორციელე-ბული მნიშვნელოვანი პროექტები:

კრისტალი „გაეროს გლობალური შეთანხმება – საქართვე-ლს“ კორპორაციული მდგრადობის ჰილდოს კონკურსის გამარჯვებულია.

„კრისტალის“ პროექტი – „ქალთა გაძლიერება უთანასწორობის შესამცირებლად“ გა-ეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებული კორ-პორაციული მდგრადობის კონკურსის გამარჯვებულია. კომპანიამ ჯილდო მდგრადი განვითარების #10 მიზნის (შემცირებული უთანასწორობა) ნომინაციაში, მსხვილი ბიზ-ნესის კატეგორიაში მიიღო. კრისტალის მიერ წარდგენილი პროექტი ასახავდა კომპა-ნიის სტრატეგიას, შიდა მიდგომებს ქალთა გასაძლიერებლად და რეგიონებში მენარმე ქალთა მხარდასაჭერად განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებს.

კრისტალის სოციალური გავლენის კვლევა 2023

კრისტალის კლიენტებს შორის სოციალური გავლენის კვლევა ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავდა მომხმარებელთა ბიზნესსა და ცხოვრების ხარისხზე კრისტალის პროდუქტების გავლენის შესწავლას. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, 2023 წელს კრისტალის მომხმარებლების ფინანსური შესაძლებლობები გაუმჯობესდა:



კრისტალის სესხმა მნიშვნელოვნად დადებითი ზეგავლენა მოახდინა მომხმარებელთა თვითაღქმაზე – **78%-ს** მიზნის მიღწევის შესაძლებლობა გაეზარდა;



გენდერული ბონდი

„კრისტალმა“ 25 მილიონი ლარის მოცულობის 2-წლიანი სერტიფიცირებული გენდერული ობლიგაციები გამოუშვა. ტრანზაქცია მეწარმე ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, მათი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების დაფინანსებას, საქართველოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მწვანე მიმართულება ბის განვითარება

კომპანია აქტიურად განაგრძობს მწვანე მიმართულების განვითარებას. 2023 წლის განმავლობაში:

დაზოგილ იქნა
4,473,500
კვტ/სთ ენერგია

გარემოსთვის
არიდებულ იქნა
691,000
კგ. CO2



კრისტალის მომხმარებელთა **59%** ქალია, მათი პორტფელი ჯამური პორტფელის **49%-ს** შეადგენს.



ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდა **86%-ისთვის**;

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა **31%-ისთვის**;



მომხმარებელთა **70%-ს** მოგება გაეზარდა;

საქართველოში მყოფი უკრაინელებისთვის 2022 წელს სპეციალურად შექმნილი ბიზნესპროდუქტის, ფარგლებში, კრისტალმა უკრაინის 25 მოქალაქე დააფინანსა, მათ შორის, 70% ქალი. 2022-2023 წლების ქრილში, დაფინანსებული სტარტაპების საჭიროებების წლიური მოცულობა 247,500 ლარს შეადგენს.



აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით (ADB), ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში დაწყებულია სამუშაო შეხვედრები გენდერული სამომემდო გეგმის (GAP), გენდერული და ESG ტრენინგ მოდულების დახვეწასა და შექმნაზე.

ქალთა გაძლიერება და ახალგაზრდა მენარმეების მხარდაჭერა

- „კრისტალის“ მიერ 2020 წელს USAID Georgia-სთან პარტნიორობითა და ჰოლანდიელებთან ერთად წამოწყებული საქართველოს ქალთა გაძლიერების მისიის (Buzz Georgia) ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე 4,006-მა ქალმა გაიარა ტრენინგი. მათი პიროვნული და სამეწარმეო უნარების გაზრდითა და მოტივაციით, გაძლიერდა მათი ოჯახების 4,000-ზე მეტი წევრი ქვეყნის მასშტაბით 30-მდე სოფელსა და ქალაქში. ამით, კრისტალმა ხელი შეუწყო საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი დოვლათის შექმნასა და ზრდას.
- ჩატარდა 200-ზე მეტი სატრენინგო შეხვედრა როგორც ფიზიკური დასწრებით, ისე ონლაინ რეჟიმში. საქართველოს მასშტაბით, მისიამ 30-ზე მეტი მუნიციპალიტეტი მოიცვა; რეგიონებში 350-ზე მეტი გამორჩეული მონაწილე და ლიდერი ქალი გამოვლინდა.
- კრისტალის „ახალგაზრდა მენარმეთა სკოლაში“, რომელიც პროგრამა USAID YES-GEORGIA-ს „ახალგაზრდების და ქალთა მენარმეობის მხარდაჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება, 6,344 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა (მათ შორის, 4,606 გოგონამ და 1,738 ბიჭმა). კრისტალმა 114 ახალგაზრდა მენარმე დააფინანსა (64% – ქალი). 72 საწარმო წარმატებულად განაგრძობს საქმიანობას. კრისტალის მიერ საწარმოების დასაფინანსებლად გამოყოფილი ჯამური თანხა 654,672 ლარს შეადგენს.

მომხმარებელთა ფინანსური ცნობიერების ამაღლება

- მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება კრისტალისთვის, როგორც პასუხისმგებელი ფინანსური ორგანიზაციისთვის, პრიორიტეტული მიმართულებაა. ამისთვის, კომპანია აქტიურად არის ჩართული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ ფინანსური ცნობიერების ამაღლების ინიციატივებში (FinEdu).
- კრისტალი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ კამპანიას – ფულის გლობალურ კვირეულს შეუერთდა.
- 2023 წელს, გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ პოსტერებისა და სლოგანების კონკურსში, კრისტალი ჟიურის ერთ-ერთი წევრი კომპანია იყო და გამარჯვებულ კონკურსანტს ფულადი პრიზი გადასცა.
- 2023 წელს კრისტალი ასევე საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინედუს ერთ-ერთი პარტნიორი კომპანია იყო მეორე პროექტის – „ფინანსური განათლება მხატვრულად“ ფარგლებში.

ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

2023 წელი კომპანიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტალანტების განვითარებისა და მართვის მიმართულებით.

თანამშრომელთა მოტივაციის ასამაღლებლად წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის აღსანიშნავია 2023 წლის თებერვალში გამართული „კრისტალის“ ოლიმპიადა და ბავშვთა დაცვის დღის აღსანიშნავად თანამშრომელთა შვილებისთვის ორგანიზებული ღონისძიება. კომპანიის შიდა ტრენინგებისა და მენტორების კლუბის წევრებისთვის პიროვნული საგანმავითარებლო ტრენინგები ჩატარდა; გამორჩეულ თანამშრომლებს მადლობის სიგელები გადაეცათ, რამდენიმე თანამშრომელს კი „მაგისტრი ტრენერისა“ და „მაგისტრი მენტორის“ სტატუსი მიენიჭა.

მიმდინარე საბანკო ტრანსფორმაციისა და სხვადასხვა პროცესის ცენტრალიზაციის ფარგლებში, კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა;

მთელი წლის განმავლობაში, HR მიმართულება აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტებთან და ქვეყნის მასშტაბით რეგიონებში გამართულ ფორუმებს ესწრებოდა. ასევე, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის „სკოლა-ბიზნეს ფორუმის“ ფარგლებში, კრისტალი პარტნიორის სახით იყო წარმოდგენილი.



ჯამურად, წლის განმავლობაში კომპანიამ 270 ახალი თანამშრომელი აიყვანა; სტაჟირების პროგრამა 133 პირმა გაიარა. წლის განმავლობაში 81 თანამშრომელი დაწინაურდა, მათ შორის 24 თანამშრომელი სათავო ოფისში, 57 კი – საფილიალო ქსელში;

კომპანიამ განაახლა საბონუსე სქემა 6 პოზიციისთვის (პრობლემური ქოლ ცენტრი, ფილიალის მმართველი, გუნდის ლიდერი, საკრედიტო ოფიცერი, უნივერსალური მოლარე, თამასუქის საბონუსე); 3 პოზიციისთვის კი ახალი სახელფასო და საბონუსე სისტემა შექმნა (ანდერაიტინგი, პრობლემური ქოლ-ცენტრი და განვადების ცენტრი);



ქუთაისის სათავო ოფისის თანამშრომლების სამოტივაციოდ, ოფისის ტერიტორიაზე მოსასვენებელი და გასართობი სივრცე მოეწყო;

განახლდა მიზნების დასახვისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა. ამ მიმართულებით კომპეტენციების განვითარების მიზნით, განხორციელდა უფროსი ოფიცრებისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელების გადამზადება; ჯამში სწავლება 33-მა თანამშრომელმა გაიარა;



შეიქმნა საფილიალო ქსელში ახალმიღებულ მენეჯერთა პროფესიული მომზადების კურსი.



განახლდა საერთო ავტორიზაციის უფლებების დოკუმენტი, შემუშავდა საზღვარგარეთ მივლინების წესი/ პროცესი; განახლდა ზეგანაკვეთური ანაზღაურების, დისციპლინარული ვალდებულების, შვებულების პროცესი. წესები და პროცედურები რეალური პრაქტიკის შესაბამისად დაკორექტირდა;

განხორციელდა თანამშრომელთა პროფესიული საკვალიფიკაციო შეფასება, რომლის ფარგლებში შეფასება ფილიალის მმართველებმა, გუნდის ლიდერებმა, საკრედიტო ოფიცრებმა და სალაროს მიმართულების თანამშრომლებმა გაიარეს – სულ 462 თანამშრომელმა;

ცვლილება შევიდა ახლად აყვანილი საკრედიტო ოფიცრების საბაზისო მომზადების პროგრამაში: დაემატა აუდიტორული სწავლების კომპონენტი, რაც დადებითად აისახა სწავლების შედეგებზე. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 7%-ით შემცირდა გამოცდაზე ჩაჭრილთა რაოდენობა, ხოლო გამოცდის საშუალო ქულა მონაწილეებში 4 ერთეულით გაიზარდა;



რისკების მიმართულებით სათავო ოფისის მენეჯერების ცნობიერების ასამაღლებლად შეიქმნა სასწავლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სწავლება 62 მენეჯერმა გაიარა;

ჩატარდა მარეგულირებლის მოთხოვნებთან დაკავშირებული სასერტიფიკატო სწავლებები; განხორციელდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, ასევე მოძრავი/უძრავი ქონების შემფასებელთა სერტიფიცირება;



შეიქმნა ფილიალის ფინანსური ეფექტიანობის შეფასების სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც 49 ფილიალის მმართველი გადამზადდა;

Agile პრინციპით მართვაში თანამშრომელთა უნარების ასამაღლებლად, განხორციელდა ბიზნესის მიმართულების თანამშრომელთა მომზადება (8 პროდუქტის ოუნერი); თემაზე “Agile-ი ტექნოლოგიურ გუნდებში” კი სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების 16-მა თანამშრომელმა გაიარა;



2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის სწავლება განხორციელდა, მათ შორის: საადაპტაციო სწავლება, ახალმიღებულთა პროფესიული საბაზისო მომზადება, პროფესიული გადამზადება (ტრენინგი/ვორქშოფი) და მენეჯერთა განვითარება.

ოპერაციების მართვა



2023 წლის მეორე ნახევარში, „კრისტალის“ ორგანიზაციულ სტრუქტურას ცალკე მიმართულება დაემატა, რომელსაც სათავეში უფროსი ოპერაციული ოფიცერი ჩაუდგა. ფართომასშტაბიანი ორგანიზაციული ცვლილება განპირობებული იყო საჭიროებით კომპანიის სტრუქტურა, პროცესები და პროდუქტები საბანკო რეალობას მაქსიმალურად მიახლოებოდა.

„კრისტალის“ მიზნის გათვალისწინებით, გახდეს წამყვანი ბანკი და მოემსახუროს მიკრო და მცირე მეწარმეების სეგმენტებს, ოპერაციული მიმართულების განვითარება და ოპერაციული მართვის გაძლიერება არსებითად მნიშვნელოვანია. ახლად შექმნილი ოპერაციული მიმართულების მიზანია „კრისტალის“ პროცესების და სამუშაო ნაკადების ეფექტურობის გაზრდა, ოპტიმიზაციისა და ავტომატიზაციის შესაძლებლობების მუდმივი ძიება, ცვლილებების მართვა, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდგომ ოპერაციული ინფრასტრუქტურის მზადების უზრუნველყოფა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

კრისტალის ოპერაციული მიმართულება შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს აერთიანებს:

- < ცენტრალიზებული ბექ-ოფისი
- < ნაღდი ფულის მართვის განყოფილება
- < ადმინისტრაციული დეპარტამენტი
- < შესყიდვების დეპარტამენტი.

შექმნისთანავე, ოპერაციული მიმართულება აქტიურად ჩაერთო მიკრობანკის ლიცენზიის პროექტით გათვალისწინებული სტრატეგიული ამოცანებისა და ქვეპროექტების მხარდაჭერაში, ბანკად ოპერირებისთვის სავალდებულო და მნიშვნელოვანი სერვისების აწყოების მიზნით პარტნიორებთან კომუნიკაციასა და საკითხების იდენტიფიცირებაში. ოპერაციული მიმართულების სრული მხარდაჭერითა და მფლობელობით, კომპანიაში შემდეგი პროექტები მიმდინარეობს:

- < შემოსავლების სამსახურთან ინტეგრაცია, რაც გულისხმობს ბანკად ოპერირების დაწყების შემდეგ ინკასო/ყადაღების მიღებას და შესრულებას, ანგარიშების გახსნა/დახურვაზე ინფორმაციის მიმოცვლას;
- < აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ინტეგრაცია, რაც გულისხმობს ბანკად ოპერირების დაწყების შემდეგ ინკასო/ყადაღების მიღებას და შესრულებას; მოვალეთა რეესტრთან ინფორმაციის მიმოცვლას;
- < სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კავშირის აწყობა, რაც გულისხმობს სააგენტოს ერთიანი მონაცემთა ბაზიდან მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა ინფორმაციის მიღებას;
- < უნაღდო ანგარიშსწორების შესაბამისი ოპერაციების იდენტიფიცირება, „SWIFT“-ის სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების დაინიცირება, მათ შორის GFTC LLC – “სვიფტის სერვის ბიუროსთან” თანამშრომლობის მიზნით პროცესების დაგეგმვა და ტექნიკური ანალიზი.

2023 წლის მეორე ნახევარში, ოპერაციული მიმართულების შექმნისთანავე, ცენტრალიზებული ბექ-ოფისი ჩამოყალიბდა, რომელიც აერთიანებს საკრედიტო და არასაკრედიტო ოპერაციებს, საკრედიტო ადმინისტრირების მიმართულებასა და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებს. განისაზღვრა ძირითადი ფუნქციონალური მიმართულებები, განხორციელდა ბექ-ოფისის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსებით შევსება.

ცენტრალიზებული ბექ-ოფისის მხარდაჭერით დაიწყო საკრედიტო დოკუმენტაციის ცენტრალიზებული მართვის პროექტი, რაც გულისხმობს ყველა ფილიალის საკრედიტო დოკუმენტაციის ცენტრალიზებულად მართვას და დაარქივებას. 2023 წლის ბოლომდე ახალ პროექტში 14 ფილიალი ჩაერთო.

ასევე განხორციელდა ბექ-ოფისური ოპერაციების იდენტიფიცირება, დაიგეგმა სხვადასხვა მიმართულებიდან ოპერაციების კონსოლიდაცია, ეფექტიანობის კუთხით ანალიზი და ცვლილების დაინიცირება.

ნაღდი ფულის მართვის განყოფილების თაოსნობით განხორციელდა გაბანკების შემდგომ ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების მართვის პროცესთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი; განისაზღვრა 2024 წლის შიდა ინკასაციის განვითარების სტრატეგია და საკასო ცენტრების მოწყობის გეგმა.

ორგანიზაციულ განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა თბილისში დამატებით „კრისტალის“ მეორე სათავო ოფისის მოწყობა. აღნიშნული პროექტი ადმინისტრაციული დეპარტამენტის ჩართულობითა და მხარდაჭერით განხორციელდა.

ინფორმაციული ტექნოლოგიები



კომპანიას სტრატეგიულ მიზნად მიკრობანკად ტრანსფორმაცია აქვს დასახული. შესაბამისად, 2023 წელს „კრისტალმა“ განაგრძო აღნიშნული მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა: ძირითადი ოპერაციული და საკრედიტო სისტემის განვითარება, ახალი სერვისების, პროგრამული უზრუნველყოფისა და პროდუქტების დანერგვა. განახლდა ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგია, განისაზღვრა ბრძელვადიანი გეგმა, შეთანხმდა ციფრული ტრანსფორმაციისათვის საჭირო ყველა პროექტი და პროცესი. რეგულარულად ხდებოდა ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის განახლება და ახალ რეგულაციებთან მორგება. განხორციელდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირეული ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია. წარმატებით განხორციელდა კრიტიკული სისტემების ბიზნეს უწყვეტობის პროცესის შემუშავება და ტესტირება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების მიმართულება

2023 წელს კომპანიაში ცვლილებების მართვის სისტემა დაინერგა, რომელიც სრულად შეესაბამება ცვლილებების მართვის საერთაშორისო სტანდარტს. აღნიშნული სტანდარტის დანერგვა მიზნად ისახავდა საინფორმაციო სისტემებში ცვლილებების პროცესის გაუმჯობესებას და შესაბამისად, მათგან გამომწვეული რისკების შემცირებას.

2023 წლის მეორე ნახევარში, კომპანიის ბიზნესუწყვეტობის გაუმჯობესების მიზნით, ძირითად და სარეზერვო დატაცენტრებს შორის მონაცემთა გაცვლის ოპტიკური ბოჭკოვანი არხი ამოქმედდა. შესაძლებელი გახდა დატაცენტრებს შორის დიდი მოცულობის მონაცემთა გადაცემა, კომპანიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების სარეზერვო ასლების სარეზერვო დატაცენტრში შენახვა.

2023 წელს ასევე საფუძველი ჩაეყარა ისეთ ახალ მიდგომას, როგორიც არის DevOps-ი. ეს არის თანამედროვე მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს პროგრამული სისტემების შექმნისა და დანერგვის პროცესის დაჩქარებას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას. DevOps-ის დანერგვა საშუალებას მისცემს კომპანიას მზარდ ბიზნეს საჭიროებებზე სწრაფი რეაგირება მოახდინოს.

პროექტების მართვისა და ბიზნეს ანალიზის მიმართულება

2023 წელს კომპანიაში წარმატებით განხორციელდა 50 სხვადასხვა სირთულისა და მასშტაბის პროექტი, მათ შორის ისეთი პროექტები, როგორებიცაა Western Union გზავნილების სისტემის ინტეგრაცია, კლიენტებისათვის შესაბამისი AML რისკის მინიჭება, Rubyx სისტემა მომხმარებელთათვის სასესიო შეთავაზების გასაკეთებლად, საკრედიტო სქორინგ მოდულის დახვეწა, SMS ქვითრის დანერგვა, გზავნილების შესახებ ინფორმაციის მიღება-გაგზავნა კრედიტ ინფოში, გზავნილების კურსის ავტომატიზაცია, კომპანიაში არსებული პროცესების შესწავლა/ანალიზი და განახლება, სასესიო განაცხადების რეგისტრაციის მოდულის პირველადი ვერსიის შემუშავება და სხვა.

აღსანიშნავია არსებული ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციის კუთხით გადადგმული ნაბიჯები. ყოველივე აღნიშნულის პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა მთავარი მიზნისთვის – მიკრობანკად ტრანსფორმაციისთვის აუცილებელ პროექტებზე.

ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების მიმართულება

2023 წელს ორგანიზაციაში პრივილეგირებული მომხმარებლების მართვის სისტემა (PAM) დაინერგა, რაც უზრუნველყოფს პრივილეგირებული მომხმარებლების უფრო ეფექტურ მონიტორინგს და ორგანიზაციის სისტემებზე მათ უსაფრთხო დაშვებას.

დაიწყო SIEM (ინფორმაციული უსაფრთხოების და ივენთ მენეჯმენტის) სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ორგანიზაციის მზაობას კიბერ უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების კუთხით.

ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის. ცნობიერების ამაღლების კუთხით, ასევე მოეწყო სატესტო კიბერ შეტევები და ორგანიზაციის თანამშრომლების ტესტირება.

გაიზარდა ყოველწლიური კიბერ უსაფრთხოების რისკების შეფასების არეალი და მოიცვა როგორც ღრუბლოვანი სერვისების რისკების შეფასება, ისე DevOps პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვა. რისკების შეფასების ფარგლებში მომზადდა რისკების მართვის სამოქმედო გეგმები.

2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა Microsoft Secure Score-ის დონე და 60%-ს მიაღწია (2022 წელს მაჩვენებელი დაახლოებით 45% იყო), რაც გაცილებით მოქნილს ხდის ორგანიზაციას კიბერშეტევების პრევენციისა და დეტექციის კუთხით.

2023 წელს განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების არსებული დოკუმენტები; შემუშავდა და დამტკიცდა ახალი ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგია და თანმდევი პოლიტიკები/პროცედურები.

პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მიმართულება

2023 წლის განმავლობაში IT განვითარების დეპარტამენტში შემუშავდა კომპანიისთვის მნიშვნელოვანი არაერთი პროგრამული უზრუნველყოფა. მათ შორის აღსანიშნავია საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასესიო განაცხადების ავტომატურ რეჟიმში დამუშავებას. სისტემამ საშუალება მისცა კომპანიას მნიშვნელოვნად დაზოგოს პროცესებში მანუალური ჩართულობის აუცილებლობა, გააუმჯობესოს განაცხადის დამუშავების დრო და ხარისხი.

შემუშავდა 170-მდე ახალი ანგარიში, დაინერგა საკრედიტო ფაილების ადმინისტრირების სისტემა, შემუშავდა კრედიტ ინფოს ბაზიდან კლიენტთა გზავნილებზე ინფორმაციის გამოთხოვნის მოდული. დაინერგა კლიენტთან დისტანციურად ინტერვიუს ჩატარების პლატფორმა, რომელიც კომპანიას აძლევს შესაძლებლობას ოპტიმალურ დროში დაამუშაოს განაცხადი და მნიშვნელოვნად დაზოგოს საოპერაციო ხარჯები.

პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის მიმართულება

2023 წელს განხორციელდა კომპანიაში დანერგილი საოპერაციო და საკრედიტო სისტემის სრული ტესტირების მრავალჯერადი იტერაცია.

მუდევად მიმდინარეობდა კომპანიაში არსებული ქორ სისტემებისა და ახალი მოდულების ხარისხის შეფასება, ასევე პროდუქტების ხარისხის მონიტორინგი.

პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის მართვის კუთხით მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ტესტირების ავტომატიზაციის პროცესის დაწყება.

უკვე არსებულ და ახალ პროდუქტებზე მუშაობის პარალელურად, წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მიკრობანკად ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი პროდუქტების და პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება.

მმართველობითი ანგარიში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ამ წლიური ანგარიშის წარდგენა და აქციონერებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიწოდება. მიგვაჩნია, რომ წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიში, მთლიანობაში, არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები. იგი აქციონერებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციას კომპანიის პოზიციისა და საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

ეს ანგარიში შედგენილია გულაღტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მმართველობის კოდექსის გამჟღავნების სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად (იხილეთ დანართი N 1).

განცხადება მმართველობის საკითხებზე წინამდებარე ანგარიშის განუყოფელი ნაწილია. მასში აღწერილია კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტები, მიმოხილულია მთავარი მიღწევები და გეგმები.

სამეთვალყურეო საბჭო

„კრისტალს“ ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის ბრძელობა-დიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან, მათ შორის არის ოთხი დამოუკიდებელი წევრი და ინვესტორის სამი წარმომადგენელი. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მდიდარი გამოცდილება.



თავმჯდომარე

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამიჯნულია მმართველი გუნდის პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობასა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, არჩილ ბაკურაძის (საქართველო) მოვალეობები არსებითად არ შეცვლილა. იგი ფინანსისტი, მეწარმე და „კრისტალის“ დამფუძნებელია. იგი ფონდ „კრისტალის“ გამგეობისა და მიკროსაფინანსო ცენტრის საბჭოს თავმჯდომარეა, ამავედროულად ჩართულია რამდენიმე არასამეწარმეო ორგანიზაციის მართვაში. ფონდ კრისტალში არჩილ ბაკურაძის ჩართულობა შემცირდა პროგრამების კლების, ასევე მისი ახალი როლის ფონზე სს Lotus Impact Finance-ში – საინვესტიციო პლატფორმაში, რომელიც ხელს უწყობს მიკროსაფინანსო ინსტიტუტის განვითარებას უზბეკეთში. თავმჯდომარე საკუთარი დროის ნახევარზე მეტს „კრისტალს“ უთმობს. მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკით. თავმჯდომარეს ირჩევენ აქციონერები და იგი ანგარიშვალდებულია მათ მამართ. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, აფასებენ კომპანიის აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით, აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

საბჭოს შემადგენლობა

„კრისტალი“ იყენებს სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოს ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, არეგულირებს მის საქმიანობას. იგი ადგენს პროცედურებს, კომუნიკაციის წესებს, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვას, განსაზღვრავს საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების წესებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან (ანბანური თანამიმდევრობით): გიორგი არველაძე (საქართველო), დამოუკიდებელი წევრი და უფროსი დამოუკიდებელი დირექტორი; ლილიტ გარაიანი (სომხეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს აუდიტის კომიტეტს; მატანგი გოვრიშანკარი (ინდოეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს; იან დე-ვინგაერტი (ბელგია), დანიშნული Incofin IM-ის მიერ; რობერტ სკოტ კოსმანი (აშშ), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს რისკების კომიტეტს; ალექს რემტულა (აშშ), დანიშნული DWM-ის მიერ, ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს; სუმა სვამინათანი (აშშ), ალტერნატიული წევრი DWM-იდან.

სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა

2023 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭომ გამართა 12 შეხვედრა: 1 უშუალო და 11 ვირტუალური. 2023 წელს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტი შეიკრიბა:

- ◀ აუდიტის კომიტეტი – 5-ჯერ;
- ◀ აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO) – 9-ჯერ;
- ◀ რისკების კომიტეტი – 4-ჯერ;
- ◀ გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი – 1-ხელ;
- ◀ ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი – 2-ჯერ.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშს კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საბალანსო უწყისს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშს რისკების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ეცნობიან დეტალურ ანგარიშებს და განიხილავენ საკითხებს თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, საბჭოს დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს, უფროსი ოფიცრების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, აქციონერებისათვის ისეთი სამოქმედო გეგმის შეთავაზებას, როგორებიცაა: დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

საბჭოს მხარდაჭერა

სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას უწევს კორპორაციული მდივანი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის სხვადასხვა მმართველი ორგანოს, მათ შორის აქციონერების, სამეთვალყურეო საბჭოს, საბჭოს კომიტეტებისა და მმართველი გუნდის ზედამხედველობაში. კორპორაციული მდივანი უზრუნველყოფს სხდომების გამართულად ჩატარებას, ზუსტი ჩანაწერების წარმოებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის კოორდინაციას. გარდა ამისა, კორპორაციული მდივანი მონაწილეობს კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავებაში და ხელს უწყობს შიდა თუ გარე მხარეებთან კომუნიკაციას. კორპორაციული მდივანი მხარდაჭერას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს კორპორაციული მართვისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებაში, საჭიროებისამებრ აწვდის კონსტრუქციულ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მონაწილეობს შეფასების პროცესში და ეხმარება ახალ წევრებს ონბორდინგში. კორპორაციული მდივანი ასევე უზრუნველყოფს სხდომების დღის წესრიგისა და დოკუმენტების მომზადებას საბჭოს ინსტრუქციების შესაბამისად, კონფიდენციალურობის დაცვას, თავმჯდომარის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და უფროსი აღმასრულებლების მიერ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დავალებების დროულ შესრულებას.

კორპორაციული მართვა



კრისტალის კორპორაციული მართვა განასახიერებს კომპანიის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეთიკური ქცევის უმაღლეს სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენს სტრატეგიულ ხედვასა და გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას.

2023 წელს, საბანკო ტრანზფორმაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი გუნდის წევრების ხელახალი დანიშვნა განხორციელდა, მიკრობანკების ნორმატიული ბაზით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაფერისობის უზრუნველყოფის მიზნით. კორპორაციული მართვის სტანდარტები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან სრულ თანხვედრაში მოვიდა. ამ დროისთვის, კრისტალი ადასტურებს მის შესაბამისობას გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან, რომლის დეტალური ანგარიში მოცემულია N1 დანართში.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

არჩილ ბაკურაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – სამეთვალყურეო საბჭოს, აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის თავმჯდომარე. გახლდათ მიკროსაფინანსო ცენტრის თავმჯდომარე. არჩილ ბაკურაძე არის ფონდ „კრისტალის“ გამგეობის თავმჯდომარე და მოღვაწეობს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაციის მმართველობაში. იგი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2004), არის ჯონ სმიტის ფონდის (2000) სტიპენდიადი და ჰოლანდიის დევნილთა ფონდის (Stichting Vluchteling) Van HeuvenGoedhart-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003).



გიორგი არველაძე

უფროსი დამოუკიდებელი წევრი – სს „მისო კრისტალში“ უკავია სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრის პოზიცია; გიორგი არველაძე ქართველი ბიზნესმენია, რომელსაც საბანკო სფეროში საქმიანობის 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. უძრავი ქონების, ტრანსპორტირებისა და ენერგეტიკის სექტორში სამეწარმეო საქმიანობის დაწყებამდე, იგი საქართველოს უმსხვილესი ბანკის – „თიბისი ბანკის“ მმართველი დირექტორი და არასაპროცენტო შემოსავლების, კვლევებისა და საბროკერო საქმიანობის მიმართულებას ხელმძღვანელობდა. მანამდე კი „ლიბერთი ბანკის“ – საქართველოში სიდიდით მე-3 ბანკის (650 ფილიალითა და 5,300-ზე მეტი თანამშრომლით) გენერალური დირექტორი იყო. მისი დირექტორობის პერიოდში ბანკმა შთაბეჭდავ შედეგებს მიაღწია და 2 წელიწადში წმინდა მოგების წლიურმა ზრდამ დაახლოებით 200% შეადგინა. გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე მას იმავე ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილის პოსტი ეკავა და სტრატეგიული პროექტების, საზინისა და კერძო ბანკინგის მიმართულებას ხელმძღვანელობდა (2009-2011); მოგვიანებით ასევე ეკავა საოპერაციო დირექტორის პოზიცია (2011-2013). 2009 წელს საქართველოში დაბრუნებამდე, იგი მუშაობდა ლონდონში, BNP Paribas-ში, სტრუქტურირებული პროდუქტების გუნდში, მანამდე კი საქართველოს ეროვნულ ბანკში. გიორგი არველაძე ლონდონის ბიზნესსკოლის მაგისტრის ხარისხს ფლობს.



მატანგი გოვრიშანკარი

დამოუკიდებელი წევრი – 40 წელია საქმიანობს მმართველ პოზიციებზე ბიზნესისა და ადამიანური რესურსების მიმართულებებით როგორც ინდოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამჟამად „კრისტალის“ ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტს ხელმძღვანელობს. აქვს სხვადასხვა დარგში მოქმედ ნამყვან კორპორაციებთან, მათ შორის, Standard Chartered Bank-თან, Reebok-თან, GE-სა და Cummins Inc-თან მუშაობის გამოცდილება. ბოლო დროს ის დასაქმებული იყო BP plc-ში, სადაც გლობალური შესაძლებლობების განვითარების ხელმძღვანელისა და გლობალური ლიდერობის აკადემიის დირექტორის პოზიცია ეკავა. იგი მდიდარი გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი დირექტორია; ამჟამად არის ინდოეთში მოქმედი არაერთი საბჭოს წევრი ისეთ მრავალფეროვან დარგებში, როგორებიც არის ფინანსური სერვისები, IT და წარმოება. როგორც ბიზნესისა და ადამიანური რესურსების პროფესიონალი, მატანგი ასევე ეწევა დამოუკიდებელ საკონსულტაციო პრაქტიკას აღმასრულებელი რგოლის ქოუჩინგსა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე. მას აქვს ბიზნესპროცესების, ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა. ფლობს ბაკალავრის ხარისხს სოციოლოგიაში, ასევე ინდოეთის წამყვანი ბიზნესსკოლის (XLRI, Jamshedpur) მაგისტრის ხარისხს მენეჯმენტსა და სამრეწველო ურთიერთობებში. მისი მიზანია ეფექტიანი გუნდების ფორმირება. რამდენიმე ორგანიზაციაში აქტიურად არის ჩართული ხელმძღვანელი პირების მენტორინგისა და სწავლების პროცესში.



იან დევინგაერტი

წევრი – იან დევინგაერტი Incofin IM-ის კერძო ინვესტირების ფონდის დირექტორი და agRIF-ის ფონდის მენეჯერია. სამეთვალყურეო საბჭოში agRIF-ის ფონდს 2016 წლიდან წარმოადგენს. მას აქვს კაპიტალის ბაზარზე სააქციო კაპიტალის შეძენის, მართვისა და რეალიზების მიმართულებით მდიდარი გამოცდილება. განხორციელებული აქვს ევროპასა და აზიაში 70-ზე მეტი საინვესტიციო ტრანზაქცია; იყო არაერთი კერძო ფონდის მმართველი პარტნიორი, მმართველი დირექტორი და საინვესტიციო კომიტეტის წევრი. ბათონ დევინგაერტს საბჭოს შემადგენლობაში საქმიანობის მდიდარი გამოცდილება აქვს, მრავალ ქვეყანასა და სექტორში. ამჟამად, კრისტალის საბჭოში მოღვაწეობის გარდა, ის ბანკების – Lovcen-ის (მონტენეგრო) და Arvand-ის (ტაჯიკეთი) საბჭოს წევრია; ასევე არის წყლის რესურსების მართვის ფონდის საინვესტიციო კომიტეტის წევრი.

რობერტ კოსმანი

დამოუკიდებელი წევრი – რობერტ კოსმანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბანკირია. 33 წელია, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 13 სხვადასხვა ქვეყანაში საცალო, მცირე და საშუალო საბანკო მომსახურების სფეროში მუშაობს. ამჟამად ხელმძღვანელობს „კრისტალის“ რისკების კომიტეტს. 2004-2020 წლებში მას Raiffeisen Bank International-ში, უკრაინის ოფისში საცალო/SME ბანკინგის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა; ხელმძღვანელობდა SME რისკებს ავსტრიაში, 3 წლის მანძილზე ეკავა CIO-სა და COO-ს თანამდებობები. მანამდე კი განვითარების უფროსი ბანკირის რანგში EBRD-თან, მსოფლიო ბანკთან, აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და USAID-თან მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების რესტრუქტურის კუთხით თანამშრომლობდა. ამჟამად იგი აქტიურად საქმიანობს როგორც Fintech Angel ინვესტორი, ასევე არის მრავალი სტარტაპის მრჩეველი/მენტორი უკრაინაში.

ლილიტ გარაიანი

დამოუკიდებელი წევრი – ფინანსისტი, „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის ივლისიდან. ამჟამად არის „კრისტალის“ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვის და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA ფინანსების სპეციალიზაციით, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის პროკრედიტის კორპორაციის მართვის აკადემიის კურსდამთავრებული და ACCA-ს წევრი.



ალექს რემბულა

წევრი – პარტნიორი და DWM-ის კერძო ინვესტიციათა გუნდის ხელმძღვანელი. ალექს რემბულა 2011 წლიდან არის საბჭოს წევრი, DWM-ის წარმომადგენელი. ის ამჟამად ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს. მისი კარიერა საინვესტიციო-საბანკო სფეროში JP Morgan-ში დაიწყო და აქვს 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება გლობალურად, როგორც სამეწარმეო კაპიტალის, ასევე ვენჩურული კაპიტალის საშუალებით მიზნობრივი ინვესტირების კუთხით. მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი ჰარვარდის ბიზნესსკოლაში, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების დარგის ბაკალავრის ხარისხი პრინსტონის უნივერსიტეტში.

სუმა სვამინათანი

/დატოვა საბჭოს შემადგენლობა 2024 წლის 15 მარტიდან/

ალტერნატიული წევრი – DWM-ის კერძო ინვესტიციების ვიცე-პრეზიდენტი. სუმა სვამინათანი 2020 წლიდან არის „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს ალტერნატიული წევრი, DWM-ის წარმომადგენელი. DWM-ში მუშაობის დაწყებამდე იყო კონსულტანტინიუ-ორკის საკონსულტაციო კომპანია Empire Valuation Consultant-ში. მას აქვს საჯარო და კერძო კომპანიების კაპიტალის, ვალდებულებისა და აქტივების/ფასიანი ქაღალდების შეფასების გამოცდილება პოტენციური ინვესტიციების, ფინანსური ანგარიშგებისა და კორპორაციული გარიგებების დაგეგმვის მიზნებისათვის. ასევე Infosys Technologies-ის მხრიდან მუშაობდა ტექნოლოგიად Capital One AutoFinance-ში. ფლობს NYU's Stern ბიზნესსკოლის MBA ხარისხს, სადაც, ინდოეთის ქსოვის ინდუსტრიაში კოოპერაციულ საზოგადოებებთან მუშაობის შედეგად, გახდა ფაკულტეტის სტიპენდიატი სოციალური მენარმეობის მიმართულებით. ფლობს ოსმანიის უნივერსიტეტის (ჰიდერაბადი, ინდოეთი) ელექტროინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს.

ნინო მეტრეველი

კორპორაციული მდივანი – „კრისტალის“ გუნდს 2018 წელს შემოუერთდა თავმჯდომარის აღმასრულებელი თანაშემწის რანგში. სწავლებისა და თარგმნის გამოცდილებასთან ერთად, აქვს სხვადასხვა სფეროში 20 წლამდე მუშაობის გამოცდილება, აქედან, 18 წელია ფინანსურ ინსტიტუტებში მოღვაწეობს. 2019 წლიდან არის პროგრამის ოფიცერი ფონდ კრისტალში, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის YES-Georgia-ს ფარგლებში. მას აქვს მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლების, ადმინისტრაციული ერთეულების მართვის, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან დაკავშირებული კომიტეტების საქმიანობისა და პროექტების მართვის კუთხით. 2008-2015 წლებში იყო „ბანკ კონსტანტას“ სამდივნოს უფროსი და კორპორაციული მდივანი. 2015-2018 წლებში მუშაობდა „თიბისი ბანკის“ მარკეტინგის დეპარტამენტში, სადაც მჭიდრო კვება ჰქონდა PR-ისა და MSME-ის მიმართულებებთან. არის ფილოლოგი (ინგლისური ენა), გავლილი აქვს სპეციალიზაცია PR-სა და კომუნიკაციებში.



მმართველი გუნდი (დირექტორთა საბჭო)

ილია რევიკა

უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი – იგი გახლავთ წარმატებული მენეჯერი, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და საფინანსო სექტორში ტრანსფორმაციისა და ცვლილებების მართვის მდიდარი გამოცდილებით. კარიერა 1998 წელს დაიწყო, როგორც ვებდეველოპერმა. 2001-2006 წლებში მუშაობდა IT პროექტების მართვის მიმართულებით აშშ-ის იურიდიულ კომპანიაში, 2007-2009 წლებში კი დასაქმებული იყო თიბისი ბანკში. 2009 წელს ილია რევიკა საქართველოს ბანკს შეუერთდა, სადაც მოგვიანებით უფროსი საინფორმაციო ოფიცრის მოადგილედ დაინიშნა და სათავეში კომპანიის არაერთ სტრატეგიულ, კომპლექსურ პროექტს ჩაუდგა, მათ შორის, „პრივატბანკ საქართველოს“ შექმნას და Agile-ტრანსფორმაციას. კრისტალის გუნდს 2019 წლის მეორე ნახევრიდან შეუერთდა და მას შემდეგ, კომპანიის ხედვის ჩამოყალიბებას, ზრდასა და ტრანსფორმაციას უძღვება. ილია არის სერტიფიცირებული პროფესიონალი პროექტების მართვაში (PMP), ფლობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს პროექტების მართვაში და შვედეთის იონჩეპინგის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ბიზნესინოვაციებში. ასევე მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.

დავით ბენდელიანი

უფროსი ფინანსური ოფიცერი – 2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდ „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „ახეზებში“. იგი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს სერტიფიკატი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტების განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.

მელანია კუჭუხიძე

უფროსი ბიზნესოფიცერი – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ უფროსი ბიზნესოფიცერი. იგი გახლავთ მენეჯმენტის ექსპერტი, ფინანსურ სექტორში 15-წლიანი მენეჯერული გამოცდილებით. 2006-2010 წლებში მუშაობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საცალო და მცირე ბიზნესის განვითარების უფროსად. 2010-2015 წლებში გახლდათ „ბანკი კონსტანტას“ ქსელის მართვის დეპარტამენტის უფროსი, შემდგომ, 2016 წლამდე მუშაობდა „თიბისი ბანკის“ მიკრობიზნესის მართვის გუნდში. 2018 წელს შეუერთდა „კრისტალს“ ქსელის მართვის უფროსის პოზიციაზე, მანამდე 2 წლის განმავლობაში გახლდათ „მწვანე ლისის“ ურბანული განვითარების პროექტის კომერციული დირექტორი. 2019 წელს დაინიშნა „კრისტალის“ უფროსი ბიზნესოფიცრის მოადგილედ, ხოლო 2020 წლის მაისიდან არის უფროსი ბიზნესოფიცერი. იგი არის „ვითიბი ბანკის“ კორპორაციული უნივერსიტეტის მაგისტრანტი მენეჯმენტში. მიღებული აქვს ეკონომიკისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხი საქართველოს სუბტროპიკული ბიზნესის უნივერსიტეტში.



გიორგი (გიგა) მეგენიშვილი

რისკების უფროსი ოფიცერი – გიორგი (გიგა) მეგენიშვილი სს „მისო კრისტალის“ რისკების უფროსი ოფიცერია. მას 2005 წლიდან სხვადასხვა თანამდებობა ეკავა და განვითარების საინტერესო გზა განვლო. რისკების მართვის კლასიკური მიდგომების დანერგვით მან კომპანიის განვითარებაში ღირებული წვლილი შეიტანა. არის რისკების სერტიფიცირებული მენეჯერი. მას ასევე მიღებული აქვს მიკროფინანსების მართვის საერთაშორისო სერტიფიკატი (ფინანსებისა და მენეჯმენტის ფრანკფურტის სკოლა). გავლილი აქვს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ნინო ფანჯიკიძე

უფროსი ოპერაციული ოფიცერი – ნინო ფანჯიკიძე კრისტალის უფროსი ოპერაციული ოფიცრის პოზიციაზე 2023 წლის ივნისში დაინიშნა. მას აქვს საბანკო სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. პროკრედიტში თავისი კარიერის მანძილზე არაერთი მენეჯერული პოზიცია ეკავა და ხელმძღვანელობდა ოპერაციების, საცალო კონტროლის, ცენტრალიზებული ოფისის და პროდუქტების განვითარების მიმართულებებს. ფინკა ბანკში გადასვლის შემდეგ, იგი სათავეში ჩაუდგა საბანკო მომსახურებისა და მხარდაჭერის მიმართულებას, მათ შორის ოპერაციებს, უნაღდო გადახდებსა და საბანკო ბარათებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში, იგი იყო ოპერაციების მენეჯერი არასაბანკო სექტორში. ნინოს აქვს სერტიფიცირებული ფინანსური მენეჯერის კვალიფიკაცია თავისუფალი უნივერსიტეტიდან. მან გაიარა კავკასიის უნივერსიტეტში ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. ფლობს კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მიმართულებით. ნინომ ასევე წარმატებით დაასრულა იელის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსური ბაზრების შემსწავლელი სრული კურსი.

კახა გაბესკირია

ლიზინგის უფროსი ოფიცერი – კახა გაბესკირიამ კრისტალში ლიზინგის უფროსი ოფიცრის თანამდებობა 2023 წელს დაიკავა, 2009 წლიდან მოყოლებული კრისტალში წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ. ამ დროის მანძილზე, მას ეკავა სხვადასხვა აღმასრულებელი პოზიცია, როგორებიცაა უფროსი საკრედიტო ოფიცერი, უფროსი ოპერაციების ოფიცერი და უფროსი ბიზნესოფიცერი. 2020 წლიდან, იგი დაინიშნა „მისო კრისტალის“ შვილობილი კომპანიის „კრისტალ ლიზინგის“ უფროს აღმასრულებელ ოფიცრად. ბატონ გაბესკირიას „პროკრედიტ ბანკში“, MSME სექტორში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მიღებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი. გარდა ამისა, სერტიფიცირებულია პროექტების მართვაში, ბიზნესის ანალიზში, ადამიანური რესურსების მართვაში, პროდუქტის განვითარებაში, საკრედიტო პორტფელის დაგეგმვასა და მენეჯმენტში, საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვაში.

გიორგი ჭანელიძე

შპს „კრისტალ კონსალტინგის“ უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი – გიორგი ჭანელიძე „კრისტალ კონსალტინგის“ უფროსი აღმასრულებელი ოფიცერია. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, მას მისო „კრისტალში“ სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, ამჟამად კი არის აღმასრულებელი ბიზნესკონსალტინგის მიმართულებით. 2008 წლიდან მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორში. მას აქვს მიკროფინანსების, მარკეტინგის, IT, პროექტების მართვისა და MSE მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ამასთანავე, მისი მხარდაჭერით, არაერთი სტარტაპი ბიზნეს იდეიდან საბოლოო წარმატებულ პროდუქტად იქცა. არის IT სპეციალისტი, სერტიფიცირებული პროექტის მენეჯერი და ციფრული მარკეტოლოგი. ფლობს მაგისტრის ხარისხს IT და ეკონომიკის მიმართულებით. ამჟამად სწავლობს დოქტორანტურაში.



კომიტეტების ანგარიშები



აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO)

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად თავმჯდომარის (ALCO-ს თავმჯდომარე), სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის (CEO), უფროსი ფინანსური ოფიცრისა (CFO) და უფროსი ბიზნესოფიცრის (CBO) შემადგენლობით. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ზედამხედველობა, რაც მოიცავს: ბალანსისა და მოგება-ზარალის მონიტორინგს, ლიკვიდობის დაგეგმვას, დაფინანსების წყაროების მიმოხილვას, უცხოურ ვალუტებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენას, საპროცენტო განაკვეთის, კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდობის რისკების მართვას. სამეთვალყურეო საბჭო ასევე განიხილავს ისეთ ანგარიშებს, როგორებიცაა: მაკროეკონომიკური ინდიკატორები, საბაზრო წილის ანალიზი და ანგარიში ბიზნესგეგმის განხორციელების შესახებ. ALCO მონიტორინგს უწევს წლიური ბიუჯეტის ინდიკატორების შესრულებას, საჭიროების შემთხვევაში კი, მათ განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო.

2023 წელს ჩატარებული სხდომები: 9

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- < ფინანსური შედეგები;
- < ფინანსური გეგმა;
- < ბიუჯეტის პარამეტრები;
- < პორტფელის ხარისხი;
- < საკრედიტო რესურსები და დაფინანსება.

გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტი



კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო, მოხარულნი ვართ გაცნობოთ, რომ 2023 წელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წელი იყო „კრისტალისათვის“, კერძოდ კი, „კრისტალის“ გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) კომიტეტისთვის. კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მაია ქობალიას კომპეტენტური ხელმძღვანელობით, „კრისტალი“ განაგრძობდა ქართველ მენარმეთა მხარდაჭერას. კომპანიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია განხორციელებული ღონისძიებების გავლენის შეფასებისა და ანგარიშგების მიმართულებით. წლის განმავლობაში „კრისტალს“ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა ჰქონდა, კერძოდ:

- < კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) სახელმძღვანელო მითითებებით, კომპანიამ რეგიონში პირველი გენდერული ობლიგაცია გამოუშვა. ADB-ისა და EBRD-ის მხარდაჭერით „კრისტალის“ მიერ გადადგმული ეს პიონერული ნაბიჯი ხელს შეუწყობს საქართველოს კაპიტალის ბაზრის გაძლიერებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიზნობრივი ობლიგაციების შესახებ ცნობიერების ამაღლებით და ამავედროულად, გაზრდის დაფინანსების ხელმისაწვდომობას მენარმე ქალებისთვის.
- < თავისი საქმიანობის მანძილზე პირველად, „კრისტალმა“ დაიქირავა გარე კომპანია, 60_Decibels დამოუკიდებელი რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად, რათა შეეფასებინა სხვა კომპანიებთან მიმართებით კლიენტებზე გავლენის კუთხით საკუთარი პოზიციონირება. Proparco-ს მხარდაჭერით 60_Db-ის მიერ საქართველოში განხორციელებული ამ შეფასების მიხედვით, „კრისტალი“ მსოფლიოს საუკეთესო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ბანკებს შორის არის მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ცხოვრების ხარისხისა და კლიენტების ბიზნესშემოსავლის გაუმჯობესების თვალსაზრისით.
- < 2019 წლის შემდეგ „კრისტალი“ მესამედ გახდა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კორპორაციული მდგრადობის კონკურსის გამარჯვებული ქალთა გაძლიერებისა და უთანასწორობის შემცირების მიმართულებით გაწეული ძალისხმევით.
- < „კრისტალი“ ზედიზედ მეხუთედ გახდა საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს (BARTA) მფლობელი საქართველოში, რაც ცხადყოფს მის ერთგულებას გამჭვირვალე ანგარიშგების პრინციპებისადმი.

ყველა ზემოხსენებული ძალისხმევის შემდეგ, 2023 წლის დასასრულს „კრისტალმა“ მიკრობანკის ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკში შეიტანა განაცხადი. ჩვენ ოპტიმიზმით შევყურებთ მომავალს და ვფიქრობთ, რომ საბანკო ლიცენზიის მოპოვება საშუალებას მოგვცემს უკეთ დავაკმაყოფილოთ ჩვენი კლიენტების ფინანსური ჩართულობის საჭიროებები, გადავდგათ აუცილებელი ნაბიჯები პროდუქტების დივერსიფიკაციისა და დისტრიბუციის არხების გაფართოების მიმართულებით, რათა მოვემსახუროთ კლიენტებს მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებული აქცენტით სოფლის მეურნეობასა და SME სექტორზე.

პატივისცემით,
ალექსანდრე რემტულა

კომიტეტის მიზანია კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელების ზედამხედველობა. კომიტეტის ამოცანაა კომპანიის კორპორაციული, გარემოსდაცვითი, სოციალური პასუხისმგებლობის, მომხმარებელთა დაცვისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების განსაზღვრა, ასევე მათი განხორციელების მონიტორინგი. ამრიგად, კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინონ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებზე.

2023 წელს ჩატარებული სხდომები: 1

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- < მიმდინარე პროექტები და საქმიანობა;
- < გარემოსდაცვითი გავლენის შეფასება;
- < ESG რისკების მართვა;
- < გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა და რეკომენდაციები.

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარის წერილი



ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

მოხარულნი ვართ, გაცნობოთ გასული ფისკალური წლის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა მიმართულებით მიღწეული წინსვლა. ადამიანური რესურსების კომიტეტისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა თანამშრომელთა შენარჩუნების მხრივ მიღწეული პოზიტიური შედეგების გაზიარება.

თანამშრომელთა გადინების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 18.18 %-მდე შემცირდა გასული წლის 27.12 %-იან ნიშნულთან შედარებით. აღნიშნული მიღწევა ადასტურებს ჩვენს მიზანს, შევქმნათ ხელშემწყობი და საინტერესო სამუშაო გარემო. ამასთან, სიამაყით აღვნიშნავთ ჩვენი ხელმძღვანელი გუნდის სტაბილურობას და ვაღიარებთ მის უმნიშვნელოვანეს როლს ორგანიზაციის განვითარების საქმეში.

დავადგენთ რა საბანკო ლიცენზიის მოპოვების გზას, გამოვყავით დამატებითი რესურსები სასწავლო პროგრამების მხარდასაჭერად. ამ ინვესტიციის მიზანია აღჭურვოს თანამშრომლები აუცილებელი უნარ-ჩვევებით, რათა მათ წარმატებით შეძლონ ცვალებად გარემო პირობებში საქმიანობა.

ამასთან, ურყევი რჩება ჩვენი მხარდაჭერა ანაზღაურების სამართლიანობის პრინციპის მიმართ. ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ ბაზრის შედარებით კვლევებში, რათა გავაკეთოთ ჩვენი საკომპენსაციო პაკეტების შედარებითი ანალიზი და მოვახდინოთ მათი კორექტირება კონკურენტულობისა და სამართლიანობის შესანარჩუნებლად.

სამომავლოდ, ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ორგანიზაციის გაძლიერებაზე ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა შემკვიდრებლობის დაგეგმვა, შედეგების მართვა და ნიჭიერ თანამშრომელთა განვითარება. აღნიშნული ძალისხმევა უმნიშვნელოვანესია ბაზარზე ჩვენი პოზიციის გასამყარებლად და გრძელვადიანი ზრდის შესანარჩუნებლად.

მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს უწყვეტი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის, ერთად ვიკვლევთ რა გზას ამ საინტერესო შესაძლებლობებისა და გამოწვევების ფონზე.

პატივისცემით,
მატანგი გოვრიშანკარი

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით კომპანიის ზოგადი სტრატეგიის განსაზღვრასა და კონტროლზე ისე, რომ ხელი შეუწყოს ბიზნესის უწყვეტობას ადამიანების მეშვეობით. გარდა ამისა, კომიტეტის ფოკუსირების საგანს წარმოადგენს უფროსი ოფიცრების შრომის ანაზღაურება და საქმიანობის შეფასება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნახალისების სამართლიანი და შესატყვისი მექანიზმები. კომიტეტის ყურადღება ასევე მიმართულია მენეჯმენტის მხარდაჭერაზე დანერგოს შემკვიდრებლობის პროცესი, რომელსაც კომიტეტის წევრები და შემდგომ სამეთვალყურეო საბჭო წელიწადში სულ მცირე ორჯერ განიხილავენ. კომიტეტის პასუხისმგებლობა ასევე სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების შერჩევის პროცესის განსაზღვრა, შერჩევის განხორციელება სამართლიანად, წესდებისა და აქციონერთა ხელშეკრულების შესაბამისად. კომიტეტი პასუხისმგებელია შეაფასოს სამეთვალყურეო საბჭოს გამართული ფუნქციონირება, საჭიროების შემთხვევაში კი, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები პროცესების გასაუმჯობესებლად.

2023 წელს ჩატარებული სხდომები: 2

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- < ეფექტურობის მართვის პროცესის განსაზღვრა;
- < ბაზარზე ანაზღაურების კვლევის დეტალური ანალიზი;
- < რეკომენდაციები ანაზღაურების გადახედვის შესახებ – ბიუჯეტის მოთხოვნები;
- < გაყიდვების ძალის ეფექტურობის პროექტის შედეგად სიახლეების დანერგვა;
- < ფილიალის მენეჯერის შეფასება;
- < სტანდარტული ანალიზი, რაც მოიცავს თანამშრომლების მთლიან რაოდენობას, გადინებას და ძირითად HR მაჩვენებლებს;
- < განხორციელებული ქმედებების შესახებ ანგარიში;
- < ადამიანური რესურსების დემოგრაფიის/გადინების და მოზიდვის ანალიზი;
- < ანაზღაურების ნიშნული და სანჯისი რეკომენდაციები;
- < მაღალი დონის რეკომენდაციები ეფექტურობის მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის;
- < სწავლებისა და განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის განხილვა.

აუდიტის კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარის წერილი



ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

2023 წლის განმავლობაში, აუდიტის კომიტეტი შიდა აუდიტის მიმართულებასთან ერთად რეგულარულად განიხილავდა ზოგადი აუდიტის საკითხებს, აუდიტის განსაზღვრულ მიზნებს, აუდიტორული შემოწმების მიგნებებს და აუდიტის მიგნებების საპასუხოდ გადადგმულ ნაბიჯებს.

კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში ცენტრალური საკითხი იყო შიდა აუდიტის კრიტიკულ მიგნებებზე მენეჯმენტის მიერ გატარებული ზომების რეგულარული მონიტორინგი, რის შედეგადაც კრიტიკული მიგნებების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

2023 წლის განმავლობაში, კომიტეტი რეგულარულად მუშაობდა „კრისტალის“ კონტროლის ფუნქციების ეფექტურობის გაძლიერებასა და მონიტორინგზე.

კიდევ უფრო გააქტიურდა აუდიტის კომიტეტსა და სხვა კომიტეტებს (მაგ. რისკების კომიტეტი) შორის თანამშრომლობა.

გარდა ამისა, 2023 წელს აუდიტის კომიტეტი მუშაობდა შიდა კონტროლის ფუნქციების და კერძოდ, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიური ჩარჩოს გაძლიერებაზე, 2024 წელს მიკრობანკის ლიცენზიის მიღების დროისთვის საბანკო სარეგულაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან სრული თანხვედრის უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,
ლილიტ გარაიანი

აუდიტის კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს სტრუქტურირებული, სისტემატური ზედამხედველობა ორგანიზაციული მართვის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის საკითხებზე. კომიტეტი საბჭოსა და მენეჯმენტს ეხმარება რჩევებითა და მითითებებით ინიციატივების ადეკვატურობის შესახებ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

1. ღირებულებები და ეთიკა;
2. მმართველობითი სტრუქტურა;
3. შიდა კონტროლის სტრუქტურა;
4. ზედამხედველობა შიდა აუდიტის საქმიანობაზე, გარე აუდიტორებსა და რწმუნების გამცემ სხვა მხარეებზე;
5. ფინანსური და საჯარო ანგარიშგება.

ზოგადად, აუდიტის კომიტეტი განიხილავს ზემოთ აღნიშნულ თითოეულ პუნქტს და აძლევს საბჭოს დამოუკიდებელ რჩევებსა და მითითებებს მენეჯმენტის მიერ გამოყენებული პრაქტიკის ადეკვატურობასა და ეფექტიანობაზე, ასევე ამ პრაქტიკის პოტენციური გაუმჯობესების გზებზე.

2023 წელს ჩატარებული სხდომები: 5

ძირითადი განხილული და გადაწყვეტილი საკითხები:

- < აუდიტის შედეგები;
- < განახლებული ანგარიში აუდიტის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ;
- < შიდა აუდიტის წლიური გეგმა;
- < აუდიტის პოლიტიკისა და პროცედურების განხილვა და დამტკიცება;
- < გარე აუდიტორის შერჩევა.

რისკების კომიტეტი

კომიტეტის თავმჯდომარის წერილი



ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

მოხარულნი ვართ, წარმოგიდგინოთ რისკების კომიტეტის გასული წლის საქმიანობის მიმოხილვა და ყურადღება გაავამახვილოთ მნიშვნელოვან მიღწევებსა და ძირითად საყურადღებო საკითხებზე.

გასული 12 თვის განმავლობაში, რისკების კომიტეტმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია რისკების მართვის სხვადასხვა ასპექტში. ეფექტურობისა და სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენ გულდასმით განვიხილეთ და დავხვეწეთ პოლიტიკა, პროცედურები, მოდელები და ანგარიშების მექანიზმები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც დავდექით, არის მონაცემთა სიმრავლე და ამ მონაცემების ინფორმირებულ გადაწყვეტილებებსა და პრობლემების გადაჭრის სტრატეგიებში ასახვის აუცილებლობა. ამ საკითხის გადასაწყვეტად, ვიკვლევთ მონაცემთა ანალიზისა და ტექნოლოგიების გამოყენების ინოვაციურ მიდგომებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასაუმჯობესებლად.

„კრისტალის“ რისკის მართვის ჩარჩოს უმნიშვნელოვანესი ასპექტია რისკისა და სარგებელს შორის თანაფარდობის მუდმივად კვლევა. ჩვენი მიზანია დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი მოდელები ზუსტად ასახავს ბაზრის დინამიკას და საკმარისად მედეგია სტრესული სცენარების მიმართ.

საკრედიტო რისკის ცენტრალიზებული მართვა კვლავ პრიორიტეტად რჩება; მიმდინარეობს მუშაობა ამ ინიციატივის საბოლოოდ განსახორციელებლად. ვაცნობიერებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოქნილობა ჩვენი მოდელის ბაზრის ცვალებად პირობებთან ადაპტირების პროცესში, ამიტომ, აქტიურად ვაფასებთ მათ მედეგობასა და მოქნილობას.

ამასთან, უმნიშვნელოვანესია დიდი მოცულობით მონაცემების დამუშავების შესაძლებლობა, რაც გავლენას ახდენს ჩვენს მოდელზე. ჩვენ ვახორციელებთ ინვესტიციას მონაცემთა დამუშავების მოწინავე ინსტრუმენტებში, რათა გავზარდოთ ეფექტიანობა და რისკების შეფასების სიზუსტე.

რისკის მართვასთან ერთად, არსებითად მნიშვნელოვანია შესაბამისობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) მიმართულებით მუშაობა. ჩვენ ვიყენებთ ტექნოლოგიებს, რათა ეფექტურად გავუმკლავდეთ მზარდ მასშტაბებს და გავაძლიეროთ შესაძლებლობები ამ მიმართულებით.

დაბოლოს, ჩვენი ამოცანაა პრობლემური სესხების ამოღების ეფექტიანობა და პროდუქტიულობა უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ. პროცესების ოპტიმიზაციითა და ტექნოლოგიების გამოყენებით, ჩვენი მიზანია საკრედიტო რისკის მართვა უფრო ეფექტური გავხადოთ.

მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს უწყვეტი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის დღევანდელ დინამიურ გარემოში რისკის მართვის სირთულეებთან გამკლავების გზაზე.

პატივისცემით,
რობერტ კოსმანი

კომიტეტის მთავარი მიზანია უზრუნველყოს რისკის ყველა კატეგორიის ობიექტური შეფასება და კონტროლი, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა და რისკების მართვის შესაბამისი სისტემის შექმნა. კერძოდ, კომიტეტი მხარდაჭერას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კონტროლში და შეთანხმებულად მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა კომიტეტებთან, რომლებიც გარკვეული ტიპის რისკებს ზედამხედველობენ. კომიტეტის მმართველობის გაძლიერების მიზნით, იგი შედგება 3 დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორისაგან, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ. კომიტეტი შეიქმნა იმისთვის, რომ დაეხმაროს სამეთვალყურეო საბჭოს მის პასუხისმგებლობაში შემავალი რიგი საკითხების შეფასებასა და ზედამხედველობაში, როგორც არის:

- < ჯგუფზე ზემოქმედების მქონე რისკების კონტროლი და მართვა;
- < რისკის მართვის ყოვლისმომცველი ჩარჩოსა და რისკის მართვის მიდგომის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება;
- < რისკის დასაშვები დონის მონიტორინგი, ჯგუფის რისკის საერთო პროფილისა და მატერიალური რისკის ტიპების შეფასება;
- < შესაბამისობის მართვის სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგი, რომელიც გავლენას ახდენს მატერიალური რისკის ტიპებზე; და
- < რისკის კულტურა და ქცევები.

სექტემბერში, ახალი დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი რისკების კომიტეტის ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა, დეკემბერში კი საბჭომ რისკების კომიტეტის ახალი წესდება დაამტკიცა.

რისკების ახალი კომიტეტის პირველ შეხვედრაზე მენეჯმენტმა წარმოადგინა რისკის მართვის ახალი სტრუქტურა, საკრედიტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები, შესაბამისობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა (AML & Compliance), საოპერაციო რისკების მართვის პრინციპები, რისკების მართვის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი (KPI) და რისკის დასაშვები ლიმიტები. 2023 წელს ორგანიზაციის მხარდასაჭერად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პრობლემური სესხების ამოღების შესახებ ახალი პროექტის დასაწყებად და საკრედიტო პოლიტიკისა და რისკის დასაშვები დონის დოკუმენტების განსახლებლად.

ი. ლევინა

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

ა. ბეჟინაძე

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
2024 წლის 15 მაისი

2023 წელს ჩატარებული
სხდომები: 4

ძირითადი განხილული და
გადაწყვეტილი საკითხები:

- < რისკების მართვის მაჩვენებლების მიმოხილვა და ტრიგერების მონიტორინგი;
- < 2024 წლის რისკების სტრატეგიის განახლება, CRO-ს განცხადება არსებული და სამომავლო რისკის მადის შესახებ;
- < რისკის დოკუმენტების, მათ შორის საკრედიტო პოლიტიკის, რისკის მადის პოლიტიკის, რისკის მართვის ჩარჩოს დამტკიცება;
- < ცენტრალიზაციის პროექტის განხილვა;
- < კონტროლინგის დეპარტამენტის მიგნებები;
- < ALCO-ს განვითარების გეგმის მართვა (მოიცავს IRR მოდელს);
- < ფარული მხილების მექანიზმი და განხორციელებული ქმედებები;
- < IAD კვარტალური ანგარიშები;
- < რისკის მართვის ჩარჩოსა და რისკის მადისთან შესაბამისობა;
- < რისკის სტრატეგია 2023-2024 წწ.
- < ამოღების სტრატეგია;
- < IRR რისკის ანალიზი და წინადადებები;
- < პორტფელის ხარისხი და კონცენტრირებული საკრედიტო რისკი
- < საკრედიტო სქორინგის განახლება და ანდერაიტინგის პროცესის განვითარების სამოქმედო გეგმა;
- < შესაბამისობა, AML, ფინანსური დანაშაული (მათ შორის, AML-ის მატერიალური დარღვევები, მექრთამეობა და კორუფცია) და თაღლითობა (შიდა და გარე);
- < ამოღების პროცესის განხილვის შესახებ ინფორმაციის განახლება (ტენდერის შედეგები და სხვა საკითხები);
- < 2023 წლის გეგმები;
- < CAR-ის დარღვევა და სამოქმედო გეგმა.

ფინანსური ანგარიში

კონსოლიდირებული და
ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგებები დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

განცხადება კონსოლ იდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაებისა და მმართველობის ანგარიშგებაის მომზადებასა და დამტკიცებაზე ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებენ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე, რომლებიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში „კომპანია“) დამისიშვილობილი საწარმოს – შპს „კრისტალ კონსალტინგის“ (შემდგომში, ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი ოპერაციების შედეგებს, ფულად ნაკადებს და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხს აგებენ მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებენ შემდეგზე:

- < სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევა და გამოყენება;
- < ინფორმაციის წარმოდგენა, სააღრიცხვო პოლიტიკასთან ერთად, იმგვარად, რომ ასახული იყოს რელევანტური, შესაძარისი და გასაგები მონაცემები;
- < დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა, როდესაც ფასს (IFRS) სტანდარტების სპეციფიურ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ აძლევს მომხმარებლებს კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე გავლენის გაგების შესაძლებლობას;
- < ჯგუფის უნარის შეფასება, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- < მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ფორმით;
- < მმართველობის ანგარიშგების მომზადება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხს აგებენ შემდეგზე:

- < ჯგუფში შიდა კონტროლის ეფექტური და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- < ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც აჩვენებს და განმარტავს ჯგუფის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით იძლევა ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე საშუალებას აძლევს მათ უზრუნველყონ ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების ფასს (IFRS) სტანდარტებთან შესაბამისობა;
- < საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება;
- < ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომია ჯგუფის აქტივების დასაცავად; და
- < თაღლითობის და სხვა დარღვევების ფაქტების აღკვეთა და დაფიქსირება.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობის ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 15 მაისს კომპანიის დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ი. ლევინა

ილია რევია, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2024 წლის 15 მაისი

ა. ბაკრაძე

არჩილ ბაკრაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კ. აფხაზის 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street Tbilisi, 0105,
Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგებების, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებების და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტრითა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია საქართველოში კონსოლიდირებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტისთვის და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორმა ჩატარა, რომელმაც 2023 წლის 25 მაისს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგებებზე.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტორული პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტის ძირითადი საკითხი

როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში

მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) მოთხოვნების შესაბამისად მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხელმძღვანელობის განსჯის მნიშვნელოვანი საგანია.

ჩვენ შევისწავლეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცესი და, ჩვენი სპეციალისტების დახმარებით, შევაფასეთ კომპანიის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე მეტწილად მოქმედებს შემდეგი:

აუდიტის პროცესში ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების მოდელის აგებისთვის გამოყენებული დაშვებების მოდელირება.
- ▶ მომხმარებლებზე გაცემული სესხების გადანაწილება 1-ელ, მე-2 ან მე-3 სტადიებზე, ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებით.
- ▶ რამდენიმე ეკონომიკური სცენარის გავლენის შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და დაშვებები.
- ▶ დეფოლტის ალბათობის (PD), დეფოლტის შემთხვევაში ზარალის (LGD) და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების (EAD) შეფასება.

- ▶ საკრედიტო რისკის მოდელის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი პარამეტრების შეფასებაში გამოყენებული დაშვებების შეფასება პორტფელის დონეზე. ჩვენი სპეციალისტების დახმარებით შევაფასეთ გამოყენებული საბაზისო სტატისტიკური მოდელები, არსებითი ძირითადი მონაცემები და დაშვებები, განვსაზღვრეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში საპროგნოზო ინფორმაციის მონაწილეობის ხარისხი და შევამოწმეთ ხელმძღვანელობის მიერ გაუფასურების დაანგარიშების სისწორე.
- ▶ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების სტადიებზე გადანაწილებისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული კრიტერიუმების შეფასება და აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სესხებისთვის სტადიების ხელახლა მინიჭება.
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის ისეთი არსებითი ამოსავალი მონაცემების ტესტირება შემთხვევითობის პრინციპით შერჩევის საფუძველზე, როგორცაა დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები.

სხვადასხვა მოდელის და დაშვების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვნად განსხვავებული შეფასება. კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულების მნიშვნელობიდან, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების კომპლექსურობიდან და მასში განსჯის კომპონენტის მონაწილეობიდან გამომდინარე, ამ სფეროს აუდიტის ერთ-ერთ ძირითად საკითხად მივიჩნევთ.

აუდიტის ძირითადი საკითხი	როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება	
ფასს (IFRS) 9 ანგარიშვალდებული საწარმოსგან მოითხოვს დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარდგენას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებული პოლიტიკის და პროცედურების შესახებ.	ფინანსურ ანგარიშგებაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შეფასება.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მე-14 და 30-ე შენიშვნებში.	

საპროცენტო შემოსავლის აღიარება	
საპროცენტო შემოსავალი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე წარმოადგენს კომპანიის ამონაგების ძირითად წყაროს. კომპანიის მიერ ამონაგების მიღების პროცესები ეფუძნება როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების, ისე ხელით შესრულებულ ამოსავალ მონაცემებს და კონტროლის მექანიზმებს.	ჩვენ გავაანალიზეთ ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რა დროსაც ყურადღება გავამახვილეთ საკრედიტო რისკით გაუფასურებულ, აღდგენილ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალზე, მოდიფიცირებულ აქტივებსა და გარიგების დანახარჯებზე.
ამონაგების ამ წყაროს მნიშვნელობა და არსებითი უზუსტობის რისკები, რომლებიც წარმოიშობა ადამიანური შეცდომებით ან საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარვეზებით ან მანიპულაციით ამონაგების აღიარების შესაბამის პროცესებში, საპროცენტო შემოსავლის აღიარებას აუდიტის ერთ-ერთ ძირითად საკითხად აქცევს.	შევაფასეთ საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშებისა და აღიარებისთვის განკუთვნილი შიდა კონტროლის მექანიზმების დიზაინი და განხორციელება და შევამოწმეთ მათი საოპერაციო ეფექტურობა.
ამონაგების აღიარების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მე-2 და მე-6 შენიშვნებში.	შევამოწმეთ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა სესხების ყოველთვიურ მთლიან საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საპროცენტო განაკვეთებზე დაყრდნობით და შევადარეთ ის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სააღრიცხვო დოკუმენტებში აღიარებულ საპროცენტო შემოსავალს.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება	
	ჩვენ გადავიანგარიშეთ გარიგების დანახარჯების გადავადების კორექტირებები, რომლებსაც კომპანია ხელით ანგარიშობს.
	ჩვენ გადავითვალეთ მოდიფიცირების ეფექტი სამართალწარმოების შედეგად რესტრუქტურირებულ სასესხო პორტფელთან დაკავშირებით.
	ასევე შევაფასეთ კომპანიის განმარტებითი შენიშვნები საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებით.

კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს წლიურ ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ინდივიდუალური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ჩვენ გადავიანგარიშეთ გარიგების დანახარჯების გადავადების კორექტირებები, რომლებსაც კომპანია ხელით ანგარიშობს.

ჩვენ გადავითვალეთ მოდიფიცირების ეფექტი სამართალწარმოების შედეგად რესტრუქტურირებულ სასესხო პორტფელთან დაკავშირებით.

ასევე შევაფასეთ კომპანიის განმარტებითი შენიშვნები საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებით.

კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს წლიურ ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ინდივიდუალური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომლებიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს კომპანიაში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ გავლენას ახდენს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, ასევე გამოყენებული საფრთხის აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებების ან დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტში და, მასადაამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- წლიურ ანგარიშში ასახული იმავი ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილი აუდიტის პარტნიორია რუსლან ხოროშვილი



რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2024 წლის 15 მაისი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული მოგება-გარალის და სხვა სრული შემოსავლის

ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
		(გადაანგარიშებული)*	
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	6	120,501	105,910
სხვა საპროცენტო შემოსავალი	6	5,021	3,626
საპროცენტო ხარჯი	6	(42,558)	(36,288)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განევამდე		82,964	73,248
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	14,15	(9,388)	(7,699)
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე		(124)	(274)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		73,452	65,275
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	(10,030)	(17,389)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	7	5,184	5,547
საკომისიო შემოსავალი	8	1,182	930
საკომისიო ხარჯი		(240)	(374)
სხვა შემოსავალი	9	1,092	356
წმინდა ხარჯები პროცენტის გათვალისწინების გარეშე		(2,812)	(10,930)
საოპერაციო შემოსავალი		70,640	54,345
თანამშრომლებზე განეული ხარჯები		(34,259)	(29,780)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	16,17,18	(6,802)	(6,850)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(12,301)	(10,636)
მოგება დაბეგვრამდე		17,278	7,079
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	11	(4,035)	232
წლის წმინდა მოგება		13,243	7,311
სხვა სრული შემოსავალი		—	—
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		13,243	7,311

ი. ლევინა

ა. ზაცურაძე

ილია რევია, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2024 წლის 15 მაისი

არჩილ ბაკურაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესადარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

ინდივიდუალური მოგება-გარალის და სხვა სრული შემოსავლის

ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
		(გადაანგარიშებული)*	
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	6	120,501	105,910
სხვა საპროცენტო შემოსავალი	6	5,021	3,626
საპროცენტო ხარჯი	6	(42,558)	(36,288)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განევამდე		82,964	73,248
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	14,15	(9,388)	(7,699)
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე		(124)	(274)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		73,452	65,275
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	(10,030)	(17,389)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	7	5,186	5,549
საკომისიო შემოსავალი	8	1,183	930
საკომისიო ხარჯი		(240)	(374)
სხვა შემოსავალი	9	553	121
წმინდა ხარჯები პროცენტის გათვალისწინების გარეშე		(3,348)	(11,163)
საოპერაციო შემოსავალი		70,104	54,112
თანამშრომლებზე განეული ხარჯები		(33,815)	(29,491)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	16,17,18	(6,779)	(6,796)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(12,117)	(10,612)
მოგება დაბეგვრამდე		17,393	7,213
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	11	(4,035)	232
წლის წმინდა მოგება		13,358	7,445
სხვა სრული შემოსავალი		—	—
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		13,358	7,445

ი. ლევინა

ა. ზაცურაძე

ილია რევია, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2024 წლის 15 მაისი

არჩილ ბაკურაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესადარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში)

შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
(გადაანგარიშებული)*		
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	8,253
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	816
გასაყიდად გამიზნული აქტივები		14
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	14	431,198
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	15	12,419
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	11	—
აქტივების გამოყენების უფლება	16	9,481
ძირითადი საშუალებები	17	3,987
არამატერიალური აქტივები	18	4,263
გადავადებული საგადასახადო აქტივები	11	1,164
სხვა აქტივები	19	8,929
სულ აქტივები	480,524	452,692

ვალდებულებები

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	—	8,032
გადასახდელი დივიდენდები	25	997	997
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	11	495	—
საიჯარო ვალდებულება	16	9,689	8,121
თამასუქები	20	1,330	—
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	21	26,406	—
ნასესხები სახსრები	22	332,303	342,923
სუბორდინირებული ვალი	23	16,867	13,576
სხვა ვალდებულებები	24	13,682	12,534
სულ ვალდებულებები	401,769	386,183	

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი	25	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	25	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		53,010	40,764
სულ საკუთარი კაპიტალი		78,755	66,509
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		480,524	452,692

ი. ლევია

ა. ბაკურაძე

ილია რევია, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

არჩილ ბაკურაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2024 წლის 15 მაისი

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესაძარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში)

შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
(გადაანგარიშებული)*		
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	8,244
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	816
გასაყიდად გამიზნული აქტივები		14
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	14	431,198
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	15	12,419
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	11	—
აქტივების გამოყენების უფლება	16	9,481
ძირითადი საშუალებები	17	3,980
არამატერიალური აქტივები	18	4,173
გადავადებული საგადასახადო აქტივები	11	1,164
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	19	472
სხვა აქტივები		8,889
სულ აქტივები	480,850	452,889

ვალდებულებები

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	13	—	8,032
გადასახდელი დივიდენდები	25	997	997
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	11	495	—
საიჯარო ვალდებულება	16	9,689	8,121
თამასუქები	20	1,330	—
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	21	26,406	—
ნასესხები სახსრები	22	332,303	342,923
სუბორდინირებული ვალი	23	16,867	13,576
სხვა ვალდებულებები	24	13,682	12,520
სულ ვალდებულებები	401,769	387,166	

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი	25	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	25	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება		53,336	40,975
სულ საკუთარი კაპიტალი		79,081	66,720
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		480,850	452,889

ი. ლევია

ა. ბაკურაძე

ილია რევია, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

არჩილ ბაკურაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2024 წლის 15 მაისი

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესაძარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი		3,635	22,110	34,450	60,195
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)*		—	—	7,311	7,311
გამოცხადებული დივიდენდები	25	—	—	(997)	(997)
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)*		3,635	22,110	40,764	66,509
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		—	—	13,243	13,243
გამოცხადებული დივიდენდები	25	—	—	(997)	(997)
2023 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	53,010	78,755

ი. ლევინა

ი. ლევინა

ილია რევია, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2024 წლის 15 მაისი

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესადარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი		3,635	22,110	34,527	60,272
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)*		—	—	7,445	7,445
გამოცხადებული დივიდენდები	25	—	—	(997)	(997)
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)*		3,635	22,110	40,975	66,720
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		—	—	13,358	13,358
გამოცხადებული დივიდენდები	25	—	—	(997)	(997)
2023 წლის 31 დეკემბერი		3,635	22,110	53,336	79,081

ი. ლევინა

ი. ლევინა

ილია რევია, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2024 წლის 15 მაისი

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესადარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
		(გადაანგარიშებული)*	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		17,278	7,079
მოგება დაბეგვრამდე			
კორექტირებები:			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სა-	13	10,030	17,389
მართლიანი ღირებულებით			
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯები	16,17,18	6,802	6,850
საპროცენტო შემოსავალი	6	(120,501)	(105,910)
სხვა საპროცენტო შემოსავალი	6	(5,021)	(3,626)
საპროცენტო ხარჯები	6	42,558	36,288
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	14,15	9,388	7,699
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე		124	274
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	7	(3,814)	(20,846)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		2	17
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	16	—	(5)
საოპერაციო საქმიანობებიდან ფულადი სახსრების გასვლა სა-		(43,154)	(54,791)
ოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
მოგება ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული			
ფინანსური აქტივების წმინდა (ზრდა)/ფინანსური		(16,170)	(8,905)
ვალდებულებების წმინდა (შემცირება)		(52,148)	(45,782)
ზრდა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში		(2,016)	(4,309)
იჯარებში ინვესტიციების ზრდა		183	(197)
შემცირება/(ზრდა) გასაყიდად გამიზნულ აქტივებში		(2,245)	(2,720)
ზრდა სხვა აქტივებში		1,168	2,345
ზრდა სხვა ვალდებულებებში		(71,228)	(59,568)
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		120,055	104,237
მიღებული პროცენტი		4,213	3,626
სხვა მიღებული პროცენტი		(41,290)	(34,823)
გადახდილი პროცენტი		(700)	(3,197)
გადახდილი მოგების გადასახადი		(32,104)	(44,516)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	17	(1,638)	(1,739)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	18	(1,563)	(955)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	17	—	142
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(3,201)	(2,552)
სახსრები			
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა თამასუქებიდან	20	1,313	—
შემოსულობა გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	21	25,000	—
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	22	166,927	238,304
შემოსულობა სუბორდინირებული ვალიდან	23	3,146	—
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(176,620)	(175,210)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(3,392)	(3,560)
გადახდილი დივიდენდები	25	(1,005)	(996)
საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		15,369	58,538
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა		(19,936)	11,470
(შემცირება)/ზრდა			
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი		377	(2,785)
ფულადი სახსრების ნაშთზე			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის	12	27,812	19,127
მდგომარეობით			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	8,253	27,812

ი. სვინა

ილია რევიკა, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2024 წლის 15 მაისი

ა. ბაკურაძე

არჩილ ბაკურაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესაღარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
		(გადაანგარიშებული)*	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		17,393	7,213
მოგება დაბეგვრამდე			
კორექტირებები:			
წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სა-	13	10,030	17,389
მართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით			
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯები	16,17,18	6,779	6,796
საპროცენტო შემოსავალი	6	(120,501)	(105,910)
სხვა საპროცენტო შემოსავალი	6	(5,021)	(3,626)
საპროცენტო ხარჯები	6	42,558	36,288
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	14,15	9,388	7,699
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე		124	274
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	7	(3,816)	(20,848)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		2	17
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	16	—	(5)
საოპერაციო საქმიანობებიდან ფულადი სახსრების გასვლა სა-		(43,064)	(54,713)
ოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
მოგება ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფი-			
ნანსური აქტივების წმინდა (ზრდა)/ფინანსური ვალდებულებების		(16,170)	(8,905)
წმინდა (შემცირება)		(52,148)	(45,782)
ზრდა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში		(2,016)	(4,309)
იჯარებში ინვესტიციების ზრდა		183	(197)
შემცირება/(ზრდა) გასაყიდად გამიზნულ აქტივებში		(2,205)	(2,720)
ზრდა სხვა აქტივებში		1,182	2,359
ზრდა სხვა ვალდებულებებში		(71,174)	(59,554)
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		120,055	104,237
მიღებული პროცენტი		4,213	3,626
სხვა მიღებული პროცენტი		(41,290)	(34,823)
გადახდილი პროცენტი		(700)	(3,197)
გადახდილი მოგების გადასახადი		(31,960)	(44,424)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		(132)	(68)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	17	(1,633)	(1,741)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	18	(1,563)	(979)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	17	—	142
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		(3,328)	(2,646)
სახსრები			
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა თამასუქებიდან	20	1,313	—
შემოსულობა გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	21	25,000	—
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	22	166,927	238,304
შემოსულობა სუბორდინირებული ვალიდან	23	3,146	—
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(176,620)	(175,210)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	16	(3,392)	(3,560)
გადახდილი დივიდენდები	25	(1,005)	(996)
საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი		15,369	58,538
სახსრები			
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა		(19,919)	11,468
(შემცირება)/ზრდა			
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი		378	(2,785)
ფულადი სახსრების ნაშთზე			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის	12	27,785	19,102
მდგომარეობით			
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა	12	8,244	27,785
(შემცირება)/ზრდა			

ი. სვინა

ილია რევიკა, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი
2024 წლის 15 მაისი

ა. ბაკურაძე

არჩილ ბაკურაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

78-153 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

* წინა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების ჩასწორება/რეკლასიფიკაცია ასახულია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შესაღარის პერიოდებში, მე-4 შენიშვნის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“ (შემდგომში „კომპანია“) 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა „ფონდი კრისტალის“ გადაწყვეტილების (საბჭოს გადაწყვეტილება №20, 2007 წლის 21 აგვისტო) საფუძველზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ 2006 წლის 18 ივლისით დათარიღებული საქართველოს კანონის შესაბამისად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი საწარმო – შპს „კრისტალ კონსალტინგი“. შვილობილი საწარმო თანდათანობით იწყებს ოპერირებას და მისი მთავარი საქმიანობები იქნება ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება, ორგანიზაციული განვითარება, მართვა, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაცია და მიკრო და მცირე საწარმოების მომსახურების უზრუნველყოფა.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ და შპს „კრისტალ კონსალტინგის“ („ჯგუფი“) იურიდიული მისამართია: ნიკეას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო.

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო.

ჯგუფის მიზანია საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და განვითარება, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის მისაღები ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტები მოიცავს შემდეგს: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, სასოფლო-სამეურნეო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, სესხები უძრავი ქონების შესაძენად და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით ორ-მოცდაცხრა ფილიალი (2022 წ.: ორმოცდაათი ფილიალი) და სათავო ოფისი აქვს თბილისსა და ქუთაისში.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელობის სტრუქტურა 25-ე შენიშვნაშია განსაზღვრული.

ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობაზე – წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდაციის საფუძველი – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების (შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც: ა) კომპანიას აქვს უფლებამოსილება თავის ინვესტირების ობიექტებზე; ბ) კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და გ) კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ამ ძალაუფლებით მის უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება იწყება მაშინ, როდესაც კომპანია იღებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს

კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კონკრეტულად, წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები შესულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში კომპანიის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიას უწყდება კონტროლი შვილობილ საწარმოზე. მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი ეკუთვნის კომპანიის მფლობელებს და არამაკონტროლებელ წილებს. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება კორექტირდება, სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ჯგუფს შიდა ყველა აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც უკავშირდება ოპერაციებს ჯგუფის წევრებს შორის, სრულად ელიმინირდება კონსოლიდირების პროცესში.

ფუნქციონირებადი საწარმო – წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

პირვანდელი ღირებულების წესი – წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულების წესის მიხედვით, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა მოგებაში ან ზარალში ასახვით. პირვანდელი ღირებულება ჩვეულებრივ საქონელსა და მომსახურებებში გადახდილი საფასურის სამართლიან ღირებულებას ეფუძნება.

სამართლიანი ღირებულება – სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომლის მიღებაც მოხდებოდა აქტივის გასაყიდად ან ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში ვალდებულების გადასაცემად, მიუხედავად იმისა, ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს აქტივების და ვალდებულებების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოების განხორციელებისას ამ მახასიათებლებს გაითვალისწინებენ შეფასების თარიღში. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ლ, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ამოსავალი მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის. აღნიშნული დონეები განიმარტება შემდეგი სახით: 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებს (დაუკორექტირებელი), რომლებზეც საწარმოს წვდომა აქვს შეფასების თარიღში; მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები არის 1-ლ დონეში შესული კოტირებული ფასებისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის; მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები არის აქტივების ან ვალდებულებების არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა – კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ფუნქციონირებს კომპანია და მისი შვილობილი საწარმო (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). მათი სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (შემდგომში „ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების წარსადგენი ვალუტაა ლარი. ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ურთიერთგადაფარვა – ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ასევე არსებობს

სურვილი განხორციელდეს გადახდა წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებო მითითება არსებობს ჯგუფის სა-აღრიცხვო პოლიტიკაში.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები – განმარტებითი შენიშვნები მოცემულია მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ციფრებს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

ანგარიშგება სეგმენტის შესახებ

საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო ჯგუფს აფასებს, როგორც ცალკე საოპერაციო სეგმენტს, გაცხადებული ფასს (IFRS) შედეგების საფუძველზე. ჯგუფის შემოსავლის და აქტივების უმრავლესობა საქართველოშია განთავსებული. მას არ ჰყავს გარე კონტრაქტები, რომელმაც 2023 ან 2022 წლებში ჯგუფის ამონაგების 10% ზე მეტი შეადგინა.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საზღაურს და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება დანაშაულისა და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო ამონაგები თუ ხარჯი. შემოსავალი ჯარიმიდან შესულია საპროცენტო შემოსავალში, საკრედიტო რისკის ანაზღაურების გათვალისწინებით.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ჯგუფი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივი გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ჯგუფი დაუბრუნდება საპროცენტო ამონაგების მთლიან საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების შესყიდვისას ან წარმოქმნისას (POCI), ჯგუფი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს საკრედიტო რისკის მიხედვით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებით და ამ მაჩვენებელს იყენებს აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. საკრედიტო რისკის მიხედვით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საწყისი აღიარებისას ახდენს შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

აღიარებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება დანაშაულისა და ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), საწყისი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება დანაშაულისა და ფინანსური აქტივების ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენასა თუ გამოშვებასთან, სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება საწყისი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, ჯგუფი ამგვარ სხვაობებს შემდეგი სახით აღრიცხავს:

- ◀ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც იყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ სხვაობა საწყისი აღიარებისას აღირიცხება მოგებაში ან ზარალში (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- ◀ ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება შეიცვლება გარიგების ფასის შესაბამისად (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება მისი აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეტანის გზით).

საწყისი აღიარების შემდეგ გადავადებული შემოსულობა ან ზარალი გადავა მოგებაში ან ზარალში ლოგიკურ საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიშობა ფაქტორში (მათ შორის დროში) ცვლილებიდან, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებსა და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, საოპერაციო დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფმა მოახდინა თავისი ყველა ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აქტივების მართვის ბიზნესმოდელის საფუძველზე, ხოლო აქტივების სახელშეკრულებო პირობები შეფასდა ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთით:

- ◀ ამორტიზებული ღირებულებით;
- ◀ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI);
- ◀ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა, ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ან – სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, როცა არიან სავაჭროდ გამიზნულნი, წარმოებული ინსტრუმენტები ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის ოფცია.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, წარმოებული ინსტრუმენტების გამოკლებით, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფის შეფასების კატეგორიების მიხედვით კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

ფინანსური აქტივები	ბიზნესმოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა (SPPI)	შეფასების კატეგორია
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	სხვა ბიზნესმოდელი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	FVTPL
ფულადი ნაშთები ბანკებში	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა მოთხოვნები	ამოსაღებად გამიზნული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

რეპლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები განმეორებით არ კლასიფიცირდება საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა პერიოდისა, მას შემდეგ, როდესაც ჯგუფი შეიცვლის ბიზნესმოდელს ფინანსური აქტივების სამართავად. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღიდან, ბიზნესმოდელის ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს ჯგუფის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, არ მომხდარა ცვლილება იმ ბიზნესმოდელში, რომელშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინებულია ქვემოთ აღწერილ ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და შეუზღუდავ ნაშთებს ბანკებში, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 90 დღე ან მასზე ნაკლებია და ისინი თავისუფალია სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ სხვა აქტივებში შესული მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული არანარმოებული ფინანსური აქტივებია. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, კორექტირდება საოპერაციო დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ზღვრული და პირდაპირ მიკუთვნებადია ფინანსური აქტივის გაცემასთან და მიღებული საზღაურებისთვის, რადგან ისინი შემდგომში შესულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებაში. შემდგომში მომხმარებლებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებში შესული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტებსა და სავალუტო სვოპებს.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება იმ თარიღში, როდესაც წარმოებული ხელშეკრულებები შედის ძალაში და შემდგომ გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აისახება, როგორც ფინანსური აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

ცვლილება წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შვილობილი საწარმო არის კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

წმინდა ინვესტიცია იჯარაში

იჯარის დაწყებისას, მეიჯარე მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნას იჯარაში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის ოდენობით. იჯარაში წმინდა ინვესტიცია წარმოადგენს შემდეგი მუხლების თანხას, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით:

- 1. ფინანსური იჯარის ფარგლებში მეიჯარის მიერ მისაღები საიჯარო გადახდები; და
- 2. ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება, რომელიც ერიცხება მეიჯარეს.

ძირი თანხის, პროცენტის, გაცემის საფასურისა და სიცოცხლის დაზღვევის გარდა, სა-
იჯარო გადახდები ასევე მოიცავს შემდეგი ტიპის ხარჯების დაფარვისთვის საჭირო თან-
ხებს: ქონების გადასახადი, ინსპექტირების გადასახადი, მონიტორინგის გადასახადი
და GPS კონტროლი.

იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთი წარმოადგენს მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკ-
რულებაში განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს. ეს არის განაკვეთი, რომლითაც
საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება და არაგარანტირებული ნარჩენი
ღირებულება საიჯარო აქტივის სამართლიანი ღირებულების და მეიჯარის ნებისმიერი
თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების თანხას უტოლდება.

თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები წარმოადგენს იჯარის მიღების დამატებით
დანახარჯებს, რომელთა გაწევაც არ მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იჯარა არ გაფორმ-
დებოდა.

თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარაში წმინდა ინვესტირების საწყის
შეფასებაში და ის ამცირებს იჯარის ვადაზე აღიარებული შემოსავლის თანხას.

მეიჯარე ამცირებს წმინდა ინვესტიციას იჯარაში, მიღებულ გადახდებზე. მეიჯარემ უნდა
აღიაროს ფინანსური შემოსავალი იჯარის ვადაზე, იჯარაში მეიჯარის მიერ განხორ-
ციელებულ წმინდა ინვესტიციაზე პერიოდული მუდმივი უკუგების განაკვეთის ამსახ-
ველი შაბლონის საფუძველზე. მეიჯარის მიზანია ფინანსური შემოსავლის განაწილება
იჯარის ვადაზე, სისტემატიურ და რაციონალურ საფუძველზე. მეიჯარემ უნდა გამოიყენოს
პერიოდთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები იჯარაში განხორციელებულ მთლიან
ინვესტიციასთან მიმართებით, ძირითადი და გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის
შემცირების მიზნით.

გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს ბარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ბარალისთვის ფინან-
სურ აქტივებზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან
ბარალში ასახვით. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქ-
ტივების გარდა, მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი უნდა შეფასდეს ბარალის რეზერვ-
ში, ქვემოთ მოცემული ოდენობით:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი, ე.ი. არსებობის მანძილზე მოსა-
ლოდნელი საკრედიტო ბარალი, რომელიც გამოწვეულია ფინანსურ ინსტრუმენტ-
ზე დეფოლტის იმ შემთხვევებით, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო
თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (შეესაბამება 1-ლ სტადიას); ან
- არსებობის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი, ე.ი. არსებო-
ბის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი, რომელიც გამოწვეულია ფი-
ნანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის იმ შემთხვევებით, რომლებიც შესაძლოა
დადგეს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (შეესა-
ბამება მე-2 და მე-3 სტადიებს).

ბარალის რეზერვი არსებობის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის-
თვის საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, თუ ამგვარი ინსტრუმენტის საკრედიტო
რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური
ინსტრუმენტისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი ფასდება 12-თვიანი მოსა-
ლოდნელი საკრედიტო ბარალის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი წარმოადგენს საკრედიტო ბარალის დღევანდე-
ლი ღირებულების ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას. ის ფასდება ხელშეკრულების
საფუძველზე ჯგუფის მიმართ არსებული დავალიანების ფულად ნაკადებსა და იმ ფულად
ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულებით, რომლის მიღებასაც ჯგუფი
მოელის სხვადასხვა მომავალი ეკონომიკური სცენარის შეწონვის განხორციელების და
აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების გზით.

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს აფასებს კოლექტიურ საფუძველზე, სესხების
იმ პორტფელებისთვის, რომლებსაც ეკონომიკური რისკის მსგავსი მახასიათებლები
აქვთ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის შეფასების შესახებ
მოცემულია 30-ე შენიშვნაში, მათ შორის ინფორმაცია კოლექტიურ საფუძველზე ინსტ-
რუმენტების შეფასებისას მათი დაჯგუფების შესახებ.

გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ‘გაუფასურებულია’, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა,
რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების შეფასებულ
მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებული ფინანსური აქტივები მე-3 სტადიის აქტი-
ვებად განისაზღვრება. გაუფასურების მტკიცებულება მოიცავს ემპირიულ მონაცემებს
შემდეგი შემთხვევების შესახებ:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადა-
ცილების გზით;
- მსესხებლის ფინანსური სირთულეებით გამოწვეული ეკონომიკური ან სახელშეკ-
რულებო მიზეზების გამო, კრედიტორმა მსესხებელს შესთავაზა დათმობა, რო-
მელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ მოიაზრებდა;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების
გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რომელიც ასახავს გაწეულ
საკრედიტო ბარალს.

შესაძლოა არ იყოს შესაძლებელი ერთი კონკრეტული მოვლენის იდენტიფიცირება – ფი-
ნანსური აქტივების გაუფასურება შესაძლოა გამოეწვიოს რამდენიმე მოვლენის ერთობ-
ლიობას.

სესხი გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც მსესხებელს მიენიჭება დათმობა მისი
ფინანსური პირობების გაუარესების გამო, სანამ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცე-
ბულება იმისა, რომ დათმობის მინიჭების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკა-
დების ამოუღებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ნიშნე-
ბი არ არსებობს. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც შესაძლოა
გაიყვას, მაგრამ არ გაცემულა დათმობები, აქტივი გაუფასურებულად ითვლება მაშინ,
როდესაც არსებობს გაუფასურების ემპირიული მტკიცებულება, მათ შორის დეფოლტის
განმარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები განსხვავებუ-
ლად მუშავდება, რადგან აქტივი საწყისი აღიარებისას არის გაუფასურებული. ამგვარი
აქტივებისთვის ჯგუფი ყველა ცვლილებას საწყისი აღიარების შემდეგ აქტივის არსებო-
ბის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ბარალში აღიარებს როგორც ბარალის
რეზერვს, მოგებაში ან ბარალში აღიარებული ნებისმიერი ცვლილებით. ამგვარი აქტი-
ვების ხელსაყრელი ცვლილება წარმოქმნის გაუფასურების შემოსულობას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგი სახით:

- ◀ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და იჯარებში წმინდა ინვესტიციებისთვის: აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით;
- ◀ სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტებისთვის: კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის რეზერვი არ აღიარდება, რადგან საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებას არის გატოლებული.
- ◀ სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის: ანარიცხის სახით; და
- ◀ როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი მოიცავს გამოყენებულ და გამოყენებულ კომპონენტს, ჯგუფს არ შეუძლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცალკე განსაზღვრა სასესხო ვალდებულების კომპონენტზე, გამოყენებული კომპონენტებისგან განცალკევებით: ჯგუფი წარმოადგენს ზარალის კომბინირებულ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. კომბინირებული თანხა წარდგენილია, როგორც დაქვითვა შედგენილი კომპონენტის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ინფორმაცია დეფოლტის განმარტების, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის და საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენების შესახებ მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივის მოდიფიცირება ხდება ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მმართველი სახელშეკრულებო პირობების გადახედვის ან სხვაგვარად ცვლილების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის თავდაპირველ აღიარებასა და დაფარვის ვადას შორის პერიოდში. მოდიფიცირება მოქმედებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თანხაზე და/ან ვადებზე, მაშინვე ან მომავალ პერიოდებში.

ჯგუფი ახდენს ფინანსური სირთულის მქონე მომხმარებლებზე გაცემული სესხების რესტრუქტურირებას, სესხის დაბრუნების შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. სესხის პირობების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ყველა გონივრულ მცდელობას განახორციელებს საწყისი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე გადახდის შესასრულებლად, არსებობს დეფოლტის წარმოშობის მაღალი რისკი ან დეფოლტი უკვე წარმოიშვა და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შესძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას. უმეტეს შემთხვევაში შეცვლილი პირობები მოიცავს სესხის ვადის გახანგრძლივებას, სესხის ფულადი ნაკადების (ძირი თანხის და პროცენტის დაფარვა) ვადების ცვლას, ვადადამდგარი ფულადი ნაკადების თანხის (ძირი თანხის და პროცენტის პატიება) შემცირება და სხვა პირობების ცვლილება.

ფინანსური აქტივის ცვლილებისას, ჯგუფი აფასებს ხომ არ უნდა მოხდეს ამგვარი მოდიფიცირებული შედეგების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად, მოდიფიცირება იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც ის არსებითად განსხვავებულ პირობებს წარმოქმნის. იმის განსასაზღვრად, მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებისგან, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- ◀ რაოდენობრივი შეფასება ტარდება საწყისი პირობებით დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეცვლილი პირობებით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან შედარების მიზნით, ორივე თანხის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებით. თუ სხვაობა დღევანდელ ღირებულებაში არსებითად მიიჩნევა, ჯგუფი წყვეტს აღიარებას.

- ◀ როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას/ზარალს ანგარიშობს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ მთლიანი საბალანსო ღირებულების შედარების გზით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით) და აღრიცხავს მას საპროცენტო შემოსავალში. შემდეგ ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს მოდიფიცირებული აქტივისთვის, სადაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შესულია საწყისი აქტივიდან წარმოშობილი ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტის დაანგარიშებაში.

აღიარების შეწყვეტა და ჩამოწმვა

ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვადა გაუვა სახელშეკრულებო უფლებას აქტივის ფულად ნაკადებზე (მოდიფიცირებიდან წარმოშობილი ვადის გასვლა არსებითად განსხვავებული პირობებით), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი სხვა საწარმოს გადაეცემა. თუ ჯგუფი არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აქტივში და დაკავშირებულ ვალდებულებაში შენარჩუნებულ პროცენტს აღიარებს იმ თანხის ოდენობით, რომლის გადახდაც შეუძლია. თუ ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული აქტივის საკუთრების არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ჯგუფი განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას.

სესხების ჩამოწმვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივის (მთლიანად ან ნაწილობრივ) ამოღების გონივრული მოლოდინი. ამ დროს ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწმას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ჩამოწმვა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების ღონისძიებები ჩამოწმარი ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით. ჯგუფის მიერ გატარებული აღსრულების ღონისძიებებით ამოღებული თანხები გაუფასურების შემოსულობას გამოიწვევს.

ფინანსური ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც საკუთარი კაპიტალი, სახელშეკრულებო შეთანხმების არსის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მისაწოდებლად ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გასაცვლელად სხვა საწარმოსთან ისეთ პირობებში, რომლებიც არსებითად არახელსაყრელია ჯგუფისთვის ან ხელშეკრულებით, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით ან არის არანაწარმოებული ხელშეკრულება, რომლისთვისაც ჯგუფი ვალდებულია ან შესაძლოა ვალდებული იყოს წარმოადგინოს მისი ცვლადი რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტები ან განსხვავებული ხელშეკრულება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ფიქსირებული რაოდენობის ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) გაცვლის გარეშე ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობისთვის.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული შემოსულობის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი. დამატებითი დანახარჯები პირდაპირ მიკუთვნებადია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და წილობრივი ოფციონები აღიარდება საკუთარი კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი დაბეგვრის შედეგის გამოკლებით.

პრივილეგირებული აქციები

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. პრივილეგირებული აქციები საკუთარი კაპიტალის სახით არის კლასიფიცირებული, რადგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება ბათილია და ეფუძნება წლის მოგებას და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

საემისიო შემოსავალი

სააქციო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ რაოდენობასა და ფაქტობრივად მიღებული გადახდების სამართლიან ღირებულებას შორის საემისიო შემოსავალის სახით აღიარდება..

ღივიღენღები

ჯგუფის უნარი გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები საქართველოში მოქმედი წესების და ნორმატიული აქტების საგანს წარმოადგენს. ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება, როგორც გაუნაწილებელი მოგების ფლობა იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდება.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება ან „სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგება-ზარალში ასახულ“ ფინანსურ ვალდებულებებად, ან „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“.

ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახულის“ კატეგორიაში, როდესაც (i) ფინანსური ვალდებულება სავაჭროდ არის გამიზნული ან (ii) მისი დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგება-ზარალში ასახვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ხელახალი შეფასებისას მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში. მოგება-ზარალში აღრიცხული წმინდა შემოსულობა/ზარალი მოიცავს ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილ ნებისმიერ პროცენტს და ის შესულია „წმინდა შემოსავალში სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და აისახება მოგება-ზარალში“, მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, მათ შორის ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული ვალი, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები და სხვა არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება საოპერაციო დანახარჯები.

„სხვა ფინანსური ვალდებულებების“ შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი გადახდების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საწყისი აღიარებისას წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ზემოთ თავში „წმინდა საპროცენტო შემოსავალი“.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ ჯგუფის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

როდესაც ჯგუფი არსებულ კრედიტორთან ერთ სავალო ინსტრუმენტს არსებითად განსხვავებული პირობების ინსტრუმენტში გადაცვლის, ამგვარი გადაცვლა აღირიცხება საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარების სახით. ამის მსგავსად ჯგუფი აღრიცხავს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის არსებით მოდიფიცირებას, საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ვალდებულების აღიარების სახით. ნავარაუდევია, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების საფუძველზე ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი საფასურის გამოკლებით განხორციელებული გადახდა, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური განაკვეთის გამოყენებით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებისგან.

უცხოური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღიარდება გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, იმ კურსებით გადაიყვანება, რომლებიც მოქმედებდა იმ თარიღით, როდესაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით არის შეფასებული უცხოურ ვალუტაში, არ კონვერტირდება.

წლის დასასრულის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა შემდეგი სავალუტო კურსები გამოიყენა:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების

აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას და განკუთვნილია აქტივების ჩამოსაწერად სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო გამოყენების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	30 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	8 წელი
ავეჯი	5/10 წელი
IT აღჭურვილობა	5/7 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	3-დან 5 წლამდე
სხვა	4-დან 10 წლამდე

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაზე. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან ვითარებების ცვლილება იმაზე მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს.

ძირითადი საშუალებების მუხლის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა აქტივის ხანგრძლივი გამოყენებიდან. ძირითადი საშუალებების ნებისმიერი მუხლის გასვლით ან ჩამოწერით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის აღიარება წრფივი მეთოდით ხდება, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადა 5-დან 10 წლამდე მერყეობს.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს მითითება იმისა, რომ არამატერიალური აქტივები შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

დასაკუთრებული აქტივები

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. ჯგუფი დასაკუთრებულ აქტივებს მიიჩნევს დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმად, შეძენილ და ჩვეული საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულ აქტივად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის მუხლებს და პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებას წლის დასაბეგრ შემოსავალზე, საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღში, და საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას წინა წელთან მიმართებით.

2018 წლის 12 ივნისს საფინანსო დაწესებულებების, მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სადამფინანსო კომპანიების, მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებულ მოდელში ცვლილება შევიდა. ცვლილების მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15% იანი საგადასახადო განაკვეთით 2023 წლის 1 იანვრიდან. 2022 წლის 16 დეკემბერს კოდექსში შევიდა ცვლილება მოგების გადასახადის შესახებ, რომლითაც 2023 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა მოსალოდნელი გადასვლა განაწილებული მოგების დაბეგვრაზე. 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ამ ცვლილების საფუძველზე შენარჩუნდება არსებული დაბეგვრის წესები საფინანსო დაწესებულებების, მათ შორის ბანკებისთვის. ამავდროულად არსებული მოგების გადასახადის განაკვეთი საფინანსო დაწესებულებებისთვის 15%-დან 20%-მდე გაიზარდა 2023 წლიდან დაწყებული პერიოდებისთვის. გარდა ამისა, 2023 წლიდან დასაბეგრი საპროცენტო შემოსავალი და მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლის გამოქვითვა შესაძლებელია, განისაზღვრება ფასს (IFRS) სტანდარტების და არა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით.

ცვლილებას პირდაპირი გავლენა ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ბალანსებზე, რომლებიც უკავშირდებოდა წინა პერიოდებიდან წარმოშობილ და ადრე აღიარებულ დროებით სხვაობებს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები ხელახლა შეფასდა, განახლებული კანონმდებლობის შესაბამისად. ცვლილებამ გამოიწვია არსებითი ერთჯერადი გადავადებული დანარიცხი, რადგან ადრე ჯგუფმა აღიარა გადავადებული გადასახადები მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ მათი რეალიზაცია მოსალოდნელი იყო 2023 წლის 1 იანვრამდე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით დაგროვილი დროებითი სხვაობა კონვერტირებისას 20%-ით დაიბეგრებოდა, ხოლო მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გავრცელებული სხვაობები – 15%-ით.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებული თანხების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით სხვაობასთან მიმართებაში.

იგი არ ეხება შემდეგი სახის დროებით სხვაობებს: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში, ფილიალებში და მეკავშირე საწარმოებში, სადაც მშობელ საწარმოს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის შემობრუნების დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა განჭვრეტად მომავალში არ გაუქმდება. გადავადებული გადასახადის ნაშთები ფასდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც იგეგმება პერიოდზე, როდესაც დროებითი სხვაობები გაუქმდება ან გამოყენებული იქნება გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოყენებული საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და მცირდება მაშინ, თუ აღარ არის სავარაუდო შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა სხვა გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შედის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში საოპერაციო ხარჯების კომპონენტში.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა. ვალდებულება აღიარდება იმ თანხაზე, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი პრემიის ან მოგებაში მონაწილეობის გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად. ამგვარი ვალდებულება შესაძლოა საიმედო სიზუსტით შეფასდეს.

იჭარები

ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის ან მოიცავს თუ არა იჯარას, ხელშეკრულების ამოქმედების თარიღში. ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო გარიგებასთან მიმართებაში, რომელშიც ის მოიჯარის როლში გამოდის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა (12 თვის ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებისა (როგორც არის ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ერთეულები და ტელეფონები). ამ იჯარებისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო გადასახდელებს საოპერაციო ხარჯად, წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადაზე, სანამ სხვა სქემა უფრო ზუსტად არ ასახავს საიჯარო აქტივიებიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის დაწყების თარიღში გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი რთულად განსასაზღვრია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულება ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების გაზრდის გზით, საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვის მიზნით, ასევე საბალანსო ღირებულების შემცირების გზით – განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.

ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და ახდენს დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლების შესაბამის კორექტირებას), როდესაც:

- ◀ იჯარის ვადა იცვლება ან არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების ცვლილება, რომელიც იწვევს ცვლილებას არსებული შესყიდვის უფლებით სარგებლობის შეფასებაში, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება განმეორებით ფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირების გზით, გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.
- ◀ საიჯარო გადახდები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების ფარგლებში მოსალოდნელი გადახდის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, უცვლელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (თუ საიჯარო გადახდები იცვლება მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შეცვლილი დისკონტირების განაკვეთი).
- ◀ საიჯარო ხელშეკრულება იცვლება და საიჯარო მოდიფიკაცია არ აღირიცხება ცალკე იჯარად, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი იჯარის საიჯარო ვადის საფუძველზე, შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, ცვლილების თარიღში მოდიფიცირებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

ჯგუფს არ განუხორციელებია ამგვარი ცვლილებები წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოადგენს შესაბამისი საიჯარო ვალდებულებების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების საწყის შეფასებას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების და თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით. ისინი შემდგომ ფასდება დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

როდესაც ჯგუფს წარმოექმნება საიჯარო აქტივის დემონტაჟის და მოხსნის, ასევე მათი განთავსების ადგილის აღდგენის ან საიჯარო აქტივის იჯარის პირობებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება, ბასს (IAS) 37-ის საფუძველზე აღიარდება და შეფასდება შესაბამისი ანარიცხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი აქტივის გამოყენების უფლებას უკავშირდება, ხარჯები შევა აქტივის გამოყენების შესაბამის უფლებაში, თუ ამგვარი ხარჯების გაწევა არ მოხდა მარაგების საწარმოებლად.

აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე. თუ იჯარა გადასცემს საიჯარო აქტივის საკუთრების უფლებას ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის უფლებით სარგებლობას, შესაბამის აქტივის გამოყენების უფლებაზე ირიცხება ცვეთა საბაზისო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის ვადის დაწყების თარიღში.

აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე ხაზის სახით არის წარმოდგენილი.

იმის განსასაზღვრად, აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებულია თუ არა, ჯგუფი ბასს (IAS) 36-ს იყენებს და აღრიცხავს ნებისმიერ გამოვლენილ გაუფასურების ზარალს, „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი ფორმით.

პრაქტიკული მიდგომის სახით, ფასს (IFRS) 16 მოიჯარეს საშუალებას აძლევს ცალკე არ გამოჰყოს არასაიჯარო კომპონენტები და სანაცვლად აღრიცხოს ნებისმიერი იჯარა და დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტები, ინდივიდუალური გარიგების სახით. ჯგუფმა ეს პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა.

2020 წლიდან ჯგუფი მეიჯარის სახით იყო წარმოდგენილი, რადგან ის ყიდულობს სხვადასხვა აღჭურვილობას, მანქანა-დანადგარებს და სხვ. პერსპექტიული კლიენტების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, მათ იჯარით გასცემს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების და დაფარვის გრაფიკის საფუძველზე და გადასცემს უფლებას შესაბამის ქონებაზე სახელშეკრულებო გადახდების წარმატებით დასრულების შემდეგ.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სანდოობით განსაზღვრა.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

უზრუნველყოფის საგანი

მომხმარებლის ვალდებულებასთან მიმართებაში ჯგუფი ისეთ უზრუნველყოფის საგანს იღებს, რომელსაც ის შესაბამისად მიიჩნევს. უზრუნველყოფის საგანი, ჩვეულებრივ, იღებს მომხმარებლის აქტივებზე გირაოს ფორმას და ჯგუფს ანიჭებს ამგვარი აქტივების მოთხოვნის უფლებას მომხმარებლის არსებულ და მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

3. კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხ- ვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელო- ბასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფის ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა საპროგნოზო ინფორმაციას, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ ამ უკანასკნელს გავლენა აქვს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ მოცემულია მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებსა ხელმძღვანელობამ მიმართა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებზე:

< **საპროგნოზო სცენარების განსაზღვრა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ეკონომიკური დრაივერების მომავალ მოძრაობასთან დაკავშირებულ დაშვებებს და ამ დრაივერების ერთმანეთზე მოქმედების წესს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძნობელობის ანალიზის ჩათვლით.

< **საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა:** როგორც მე-2 შენიშვნაში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება, 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობით 1-ლი სტადიის აქტივებისთვის, ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – მე-2 ან მე-3 სტადიის აქტივებისთვის. აქტივი მე-2 სტადიაში გადადის, როდესაც მისი საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმის შეფასებისას, აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ, გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას.

< **დეფოლტის ალბათობა (PD):** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან ამოსავალ ინფორმაციას. დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება, რომლის დაანგარიშება მოიცავს განვლილ მონაცემებს, დაშვებებსა და მომავალი ვითარებების მოლოდინებს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის ალბათობაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძნობელობის ანალიზთან ერთად.

< **დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD):** LGD არის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც სესხის გამცემი მოელის, უზრუნველყოფის საგნიდან და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძნობელობის ანალიზთან ერთად.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

როგორც 28-ე შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მოიცავს ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, თავის მხრივ არ ეფუძნება ემპირიულ საბაზრო მონაცემებს, კონკრეტული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. 28-ე შენიშვნაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ, ასევე ამ დაშვებებისთვის მგრძნობელობის დეტალური ანალიზი. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შერჩეული შეფასების მეთოდები და გამოყენებული დაშვებები შესაბამისია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის.

4. წინა წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების რეკლასიფიკაცია

2022 წლის ბალანსებში განხორციელდა შემდეგი სახის რეკლასიფიკაციები და ცვლილებები:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ადრე გაცხადებული რაოდენობით	ხარვეზების გამოსწორება		რეკლასიფიკაცია	კორექტირებული/რეკლასიფიცირებული
		შეფასება	წარდგენა		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები (ა) (ბ)	388,795	(564)	(479)	—	387,752
სხვა აქტივები (ა)	6,336	—	479	—	6,815
სულ აქტივები	453,256	(564)	—	—	452,692
ნასესხები სახსრები (f)	356,499	—	—	(13,576)	342,923
სუბორდინირებული ვალი (ვ)	—	—	—	13,576	13,576
სულ ვალდებულებები	386,183	—	—	—	386,183
სულ საკუთარი კაპიტალი	67,073	(564)	—	—	66,509

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ადრე გაცხადებული რაოდენობით	ხარვეზების გამოსწორება		რეკლასიფიკაცია	კორექტირებული/რეკლასიფიცირებული
		შეფასება	წარდგენა		
საპროცენტო შემოსავალი (ა) (ბ) (გ) (დ)	107,853	—	—	(107,853)	—
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი (ა) (ბ) (გ) (დ)	—	(693)	(1,250)	107,853	105,910
სხვა საპროცენტო შემოსავალი (დ)	—	—	3,626	—	3,626
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის გაწევამდე	71,565	(693)	2,376	—	73,248
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე (ბ) (გ) (დ)	(6,606)	129	(1,496)	274	(7,699)
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე (ვ)	—	—	—	(274)	(274)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ადრე გაცხადებული რაოდენობით	ხარვეზების გამოსწორება		რეკლასიფიკაცია	კორექტირებული/რეკლასიფიცირებული
		შეფასება	წარდგენა		
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	64,959	(564)	879	—	65,274
საკომისიო შემოსავალი (ა) (ე)	1,436	—	(506)	—	930
საკომისიო ხარჯი (ე)	—	—	(374)	—	(374)
წმინდა ხარჯები პროცენტის გათვალისწინების გარეშე	(10,051)	—	(879)	—	(10,930)
საოპერაციო შემოსავალი	54,909	(564)	—	—	54,345
მოგება დაბეგვრამდე	7,643	(564)	—	—	7,079
პერიოდის წმინდა შემოსავალი	7,875	(564)	—	—	7,311

ა) 2022 წელს ჯგუფმა არასათანადოდ წარადგინა კონკრეტული საფასურები საკომისიო შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან საფასურები ფასს (IFRS) 15-ის ნაცვლად ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში ხვდებოდა (წარმოადგენს ზღვრულ და პირდაპირ მიკუთვნებად საფასურებს, რომლებიც ცვლიან სესხების საწყის საბალანსო ღირებულებას და შესულია მათ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში). შედეგად საპროცენტო შემოსავალი 879 ათასი ლარით ნაკლები, ხოლო საკომისიო შემოსავალი – ამავე თანხით მეტი რაოდენობით აღირიცხა 2022 წლისთვის. ამასთან, შესაბამისი გადავადებული საფასურის ნაშთი 479 ათასი ლარის ოდენობით შეუსაბამოდ იყო წარდგენილი სხვა აქტივებში, რამაც გამოიწვია მომხმარებლებზე გაცემული სესხების ნაშთის ზედმეტი რაოდენობით, ხოლო სხვა აქტივების ნაშთის ნაკლები ოდენობით განსაზღვრა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბ) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა არასათანადოდ შეაფასა ამორტიზებული ღირებულების ნაშთები 2022 წლის განმავლობაში მომხმარებლებზე გაცემული მოდიფიცირებული სესხებისთვის. მომხმარებლებზე გაცემული სესხების ამორტიზებული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ჯგუფის მიერ 2022 წელს აღიარებული საპროცენტო შემოსავალი და გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე 564 ათასი ლარით, 693 ათასი ლარით და 129 ათასი ლარით მეტი ოდენობით განისაზღვრა, შესაბამისად.

გ) ჯგუფმა არასწორად წარადგინა 2,288 ლარის გაუფასურების ზარალი 2022 წლის განმავლობაში ჩამოწერილ სესხებზე დარიცხულ პროცენტთან მიმართებით, როგორც პერიოდის საპროცენტო შემოსავლის დაქვითვა, რამაც გამოიწვია 2022 წლის საპროცენტო შემოსავლის და გაუფასურების ზარალის ნაკლები ოდენობით აღრიცხვა. ამასთან, 792 ათასი ლარის ოდენობით სესხების აღდგენა წარდგენილი იყო საპროცენტო შემოსავალში, გაუფასურების ზარალის შემცირების ნაცვლად, რამაც გამოიწვია 2022 წლის საპროცენტო შემოსავლის და გაუფასურების ზარალის ზედმეტი ოდენობით წარდგენა.

დ) ჯგუფმა შეუსაბამოდ წარადგინა საპროცენტო შემოსავალი იჯარებში წმინდა ინვესტიციებზე, საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე საპროცენტო შემოსავლის მუხლში, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებსა და სხვა აქტივებზე საპროცენტო შემოსავალთან ერთად, რომლისთვისაც საპროცენტო ამონაგები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, 3,626 ათასი ლარი გადაკლასიფიცირდა სხვა საპროცენტო შემოსავალში 2022 წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში, ხოლო ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი ცალკე ანგარიშგების მუხლის სახით აღირიცხა.

2) ჯგუფმა არასწორად, წმინდა საფუძველზე, ასახა საკომისიო შემოსავალი და ხარჯები 2022 წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუმცა სწორად განახორციელა მათი ჩაშლა განმარტებით შენიშვნებში. შედეგად, ნაკლები ოდენობით განსაზღვრული საკომისიო შემოსავალი და ხარჯები 374 ათასი ლარის ოდენობით 2022 წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩასწორდა მათი მთლიან საფუძველზე ჩვენების გზით.

3) ჯგუფმა ცალკე წარადგინა გარკვეული ნაშთები და ოპერაციები 2023 წელს და შეცვალა შესადარისი ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. რეკლასიფიკაციის მიზანი იყო მომხმარებლებისთვის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე ოპერაციების ეფექტების შესახებ მეტად საიმედო და რელევანტური ინფორმაციის მიწოდება.

ზემოთ აღწერილ ცვლილებებს და რეკლასიფიკაციებს არსებითი ეფექტი არ ჰქონიათ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მოგების გადასახადის ხარჯზე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

კომპანიის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში განხორციელდა იდენტური ცვლილებები, რადგან გადაანგარიშება არ ეხებოდა შვილობილ საწარმოს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შესაბამისად შეიცვალა:

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	ადრე გაცხადებული რაოდენობით	ხარვეზების გამოსწორება		რეკლასიფიკაცია	კორექტირებული/რეკლასიფიცირებული
		შეფასება	წარდგენა		
მოგება დაბეგვრამდე	7,643	(564)	—	—	7,079
კორექტირებები:					
საპროცენტო შემოსავალი	(107,853)	693	1,250	—	(105,910)
სხვა საპროცენტო შემოსავალი	—	—	(3,626)	—	(3,626)
გაუფასურების ზარალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	6,606	(129)	1,496	(274)	7,699
გაუფასურების ზარალი სხვა აქტივებზე	—	—	—	274	274
საოპერაციო საქმიანობებიდან ფულადი სახსრების გასვლა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე	(53,911)	—	(880)	—	(54,791)
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:					
ზრდა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში	(44,894)	129	(1,017)	—	(45,782)
(ზრდა) / შემცირება სხვა აქტივებშიაქტივები	(2,241)	—	(479)	—	(2,720)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	ადრე გაცხადებული რაოდენობით	ხარვეზების გამოსწორება		რეკლასიფიკაცია	კორექტირებული/რეკლასიფიცირებული
		შეფასება	წარდგენა		
წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში	(58,201)	129	(1,496)	—	(59,568)
მიღებული პროცენტი	105,616	(129)	(1,250)	—	104,237
სხვა მიღებული პროცენტი	—	—	3,626	—	3,626
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(44,516)	—	—	—	(44,516)

განმარტებითი შენიშვნები ზემოთ აღწერილი ცვლილებების შესაბამისად შეიცვალა.

5. ფასს (IFRS) სტანდარტების ცვლილებები, რომლებსაც გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაცხადებულ თანხებზე

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

ჯგუფის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში 2023 წელს შევიდა, არსებითი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე:

- ა) „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები“ – ბასს (IAS) 12-ის ცვლილება
- ბ) „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ – ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ
- გ) ფასს (IFRS) 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- დ) სააღრიცხვო შეფასების განმარტება – ბასს (IAS) 8-ის ცვლილება
- ე) ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ბასს (IAS) 12-ის ცვლილება

ბასს (IAS) 12-ის ცვლილება, რომელიც 2023 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში, ზღუდავს საწესის აღიარების გამონაკლისის მასშტაბს ბასს (IAS) 12-ის საფუძველზე, რათა ის აღარ გავრცელდეს ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს თანაბრად დასაბეგრ და დასაქვით დროებით სხვაობებს. ცვლილება ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც წარმოიშობა წარდგენილ შესადარის პერიოდებს შორის უადრესში ან მის შემდეგ. ამასთან, წარდგენილი უადრესი შედარებადი პერიოდების დაწყებისას, გადავადებული საგადასახადო აქტივი (შესაბამისი დასაბეგრი მოგების არსებობის შემთხვევაში) და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ასევე აღიარებული უნდა იყოს ყველა დასაქვითი და დასაბეგრი დროებითი სხვაობისთვის, რომელიც აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს უკავშირდება.

ჯგუფს ადრე აღიარებული აქვს აქტივის გამოყენების უფლებასთან და საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. შესაბამისად ამას გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 იანვრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ან კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

„სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ – ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ

ცვლილების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ჯგუფმა შეაფასა ცვლილების გავლენა, რომელსაც გავლენა ჰქონდა სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებზე, თუმცა არ უმოქმედია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შეფასებაზე, აღიარებასა და წარდგენაზე.

ჯგუფმა შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული თავისი განმარტებითი შენიშვნები, როგორც ეს ნაჩვენებია წინამდებარე შენიშვნაში. გადასინჯული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენა ჯგუფმა ფასს სტანდარტების მოთხოვნები საკუთარ გარემოებებთან მიმართებაში და ის მეტწილად მოიცავს ისეთ საკითხებს, სადაც ჯგუფი ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებებს ექვემდებარება და გამორიცხავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკას არამატერიალური საკითხების შესახებ.

ფასს (IFRS) 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

ფასს (IFRS) 17 ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ფასს (IFRS) 17 ვრცელდება ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებაზე (მაგ. სიცოცხლის, არა სიცოცხლის, პირდაპირ დაზღვევის და გადაზღვევის), მიუხედავად მათი გამცემი საწარმოების ტიპისა, ასევე კონკრეტული გარანტიებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა დისკრეციული მონაწილეობის პირობით. გამოიყენება რამდენიმე გამონაკლისი.

ჯგუფმა შეაფასა თავის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დაზღვევის რისკები, კონკრეტული პროდუქტების გამონაკლისების გათვალისწინებით და დაასკვნა, რომ ფასს (IFRS) 17-ს არ აქვს არსებითი გავლენა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ცვლილებებსა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

ბუღალტრული აღრიცხვის ახალი დებულებები

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალ და გადასინჯულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ◀ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში;
- ◀ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება;
- ◀ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღებას არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე მომავალ პერიოდებში.

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2023	2022
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი:		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	120,387	105,818
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	114	92
სხვა საპროცენტო შემოსავალი:		
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	5,021	3,626
	125,522	109,536
საპროცენტო ხარჯები		
ნასესხები სახსრები	(36,735)	(34,451)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(3,860)	—
სუბორდინირებული ვალი	(1,302)	(1,226)
საიჯარო ვალდებულება	(639)	(611)
თამასუქები	(22)	—
	(42,558)	(36,288)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	82,964	73,248

7. საკურსო სხვაობით განპირობებული

წმინდა შემოსულობა

	2023	2022
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	3,814	20,846
წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	1,370	(15,299)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	5,184	5,547

8. საკომისიო შემოსავალი

	2023	2022
საკომისიო შემოსავალი		
ფულადი გზავნილები	547	649
სესხთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები	219	178
გადახდები კომუნალურ მომსახურებებზე	44	42
სხვა საკომისიო შემოსავალი	372	61
	1,182	930

9. სხვა შემოსავალი

	2023	2022
შემოსულობა ტექნიკური მხარდაჭერიდან	500	—
საკონსულტაციო მომსახურებიდან		
მიღებული შემოსავალი – მმართველობითი	387	—
საკონსულტაციო პროექტი		
საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი – მიკრო, მცირე და საშუალო ზომის	80	65
საწარმოების კომპეტენციების პროექტი		
საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი – მენარმე ქალების პროექტი	70	170
სხვა შემოსავალი	55	121
	1,092	356

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
კომუნალური მომსახურება და		
კავშირგაბმულობა	1,869	1,828
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	1,619	802
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური		
მხარდაჭერა და ტექნომსახურება	1,285	1,309
სახარჯო მასალები და საოფისე აღჭურვილობა	906	870
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	857	318
ბანკის საკომისიო გადახდები	792	741
დაზღვევა	742	685
საწევრო შენატანი	734	659
საწვავი და ტრანსპორტირება	543	453
მარკეტინგი და რეკლამა	533	415
მივლინებები	414	280
რემონტი და ტექნომსახურება	254	210
დაცვა	245	180
მოკლევადიან იჯარებსა და დაბალფასიან		
მუხლებთან დაკავშირებული ხარჯი	190	483
პერსონალის გადამზადება და დასაქმება	176	145
ზარალი სხვა არამოღებად აქტივებზე	97	194
ქველმოქმედება	8	80
სხვა	1,037	984
	12,301	10,636

კუდიტორის ანაზღაურება

იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორის ანაზღაურებას. ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2023 და 2022 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგებების		
აუდიტის საფასური 31 დეკემბრით	180	143
დასრულებული წლისთვის		
სხვა პროფესიული მომსახურებების	4	8
დანახარჯები		
	184	151

სხვა აუდიტორებსა და აუდიტორულ ფირმებზე გადახდილმა საზღაურმა და დანახარჯებმა სხვა პროფესიულ მომსახურებებთან მიმართებით 159 ათასი ლარი (2022 წ.: 62 ათასი ლარი) შეადგინა.

11. დაბეგვრა

	2023	2022
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	1,894	1,374
	1,894	1,374
მოძრაობა დროებითი სხვაობების		
წარმოშობასთან ან/და გაუქმებასთან		
დაკავშირებულ გადავადებულ საგადასახადო	2,141	(1,606)
აქტივებსა და ვალდებულებებში		
სულ მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	4,035	(232)

მოქმედი მოგების გადასახადის განაკვეთი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შესაბამისად იყო 20% და 15%.

31 დეკემბრით დასრულებული წლის ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჭერება

	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	17,278	7,643
მოგების გადასახადი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით (2023 წ.: 20%; 2022 წ.: 15%)	3,456	1,146
საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების ეფექტი	—	(1,528)
სხვა ცვლილებები	675	—
(დაუბეგრავი შემოსავალი) / დაუბეგრავი ხარჯები	(96)	150
სულ მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	4,035	(232)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

დროებითი სხვაობები ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დაბეგვრის მიზნით გამოყენებულ თანხებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოძრაობები დროებით სხვაობებში 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023 წლის 1 იანვარი	მოგება-ზარალში აღიარებული	2023 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	2,652	(2,652)	—
ძირითადი საშუალებები	59	(55)	4
აქტივების გამოყენების უფლება	(1,630)	(266)	(1,896)
არამატერიალური აქტივები	255	126	381
სესხები და ნასესხები სახსრები	(21)	340	319
საიჯარო ვალდებულება	1,624	314	1,938
სხვა ვალდებულებები	366	52	418
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	3,305	(2,141)	1,164

	2022 წლის 1 იანვარი	მოგება-ზარალში აღიარებული	საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების ეფექტი	2022 წლის 31 დეკემბერი
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,544	(256)	1,364	2,652
ძირითადი საშუალებები	63	(19)	15	59
აქტივების გამოყენების უფლება	—	(1,222)	(408)	(1,630)
არამატერიალური აქტივები	119	72	64	255
სესხები და ნასესხები სახსრები	(312)	296	(5)	(21)
საიჯარო ვალდებულება	125	1,093	406	1,624
სხვა ვალდებულებები	160	114	92	366
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	1,699	78	1,528	3,305

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	6,811	14,212
ნაშთები ბანკში	1,442	13,600
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,253	27,812

ჯგუფის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ზარალის რეზერვი არ არის აღიარებული ბანკებში არსებულ ბალანსებში მოკლევადიანი ხასიათის გამო. ჯგუფის ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში და გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საოპერაციო მიზნებისათვის.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ნაღდი ფული განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც „Fitch Ratings“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ B (მოკლევადიანი) და BB (გრძელვადიანი) რეიტინგები.

13. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	816	—

წარმოქმნილი ფინანსური აქტივები		
სავალუტო სვოპის ხელშეკრულებები	816	—
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	816	—

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	—	8,032

წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		
სავალუტო სვოპის ხელშეკრულებები	—	8,032

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	—	8,032
---	----------	--------------

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით სავალუტო ხელშეკრულებებს მოიცავს.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელიც სამართლიანი ღირებულებით არის აღიარებული მოგება-ზარალში 10,030 ათასი ლარის და 17,389 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, წარმოადგენს ამ გარიგებების წმინდა გავლენას ჯგუფის შემოსავლებზე. ეს თანხები მოიცავს საოპერაციო დანახარჯებს, ე.ი. ნებისმიერ საზღაურს ან პროცენტს, რომელიც ამ ჰეჯირების ინსტრუმენტს ერიცხება, ასევე კორექტირების ეფექტს მათი სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად.

საკვალუტო სვოპები

ჯგუფი ბანკებისგან მიღებული უცხოურ ვალუტაში განთავსებული ანაბრებით უზრუნველყოფილი კომპენსაციური სესხების არანარმოებულ გარიგებებს და იმავე ბანკებში განთავსებულ ანაბრებს აერთიანებს წარმოებულ გარიგებებში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გარიგებები (ანაბრის განთავსება და სესხის აღება) არსებითად იწვევს წარმოებული ინსტრუმენტის წარმოქმნას. დასკვნა შემდეგ ინდიკატორებს ეფუძნება:

- < ისინი ფორმდება ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით;
- < მათ ერთი და იგივე კონტრაჟენტი ჰყავთ;
- < ისინი ერთსა და იმავე რისკთან არიან დაკავშირებული;
- < არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი საქმიანი მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურიზაციისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;
- < არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

	პირობითი თანხა	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	33,698	—
2-დან 12 თვემდე	110,266	134,830
	143,964	134,830
აშშ დოლარის გაყიდვა ევროს ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	1,275	2,162
	1,275	2,162
აშშ დოლარის გაყიდვა შვეიცა-რიული ფრანკის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	1,296	—
	1,296	—
აშშ დოლარის გაყიდვა დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	342	—
	342	—
ლარის გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა		
3 თვეზე ნაკლები	7,409	—
	7,409	—

14. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი თანხა	443,352	400,845
დარიცხული პროცენტი	1,115	669
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(13,269)	(13,762)
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	431,198	387,752

მომხმარებლებზე გაცემული ყველა სესხი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. მომხმარებლებზე გაცემული სესხები ჯამდება ერთგვაროვანი პროდუქტის ჯგუფების მიხედვით, როდესაც თითოეულ ჯგუფში სესხები მსგავსი მახასიათებლებით ხასიათდება, მათი მაჩვენებლების, დაკავშირებული რისკების და საბაზისო ბიზნეს პროცესების გათვალისწინებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით
საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:			
მიკრო ბიზნეს-სესხები	120,499	(2,519)	117,980
სასოფლო-სამეურნეო სესხები	101,590	(4,770)	96,820
სამომხმარებლო სესხები	91,643	(2,656)	88,987
განვადება	52,429	(594)	51,835
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	42,925	(2,349)	40,576
სალომბარდო სესხები	18,933	(78)	18,855
იპოთეკური სესხები	16,448	(303)	16,145
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	444,467	(13,269)	431,198

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით
საცალო მომხმარებლებზე გაცემული სესხები:			
მიკრო ბიზნეს-სესხები	94,253	(2,699)	91,554
სასოფლო-სამეურნეო სესხები	81,679	(6,091)	75,588
სამომხმარებლო სესხები	74,887	(1,648)	73,239
განვადება	47,569	(371)	47,198
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	44,654	(2,473)	42,181
სალომბარდო სესხები	36,006	(139)	35,867
იპოთეკური სესხები	22,466	(341)	22,125
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	401,514	(13,762)	387,752

მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2023			სულ
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	
ნაშთი წლის დასაწყისში	12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	
ახალი სესხები	4,372	2,603	6,787	13,762
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	5,480	—	—	5,480
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(4,604)	4,604	—	—
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(2,012)	(2,939)	4,951	—
დაფარული სესხები	—	(7,271)	7,271	—
გაყიდული სესხები	(2,413)	(531)	(3,610)	(6,554)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	—	—	(14,832)	(14,832)
წინა ჩამოწერების აღდგენა	130	67	5,000	5,197
ცვლილებები საკრედიტო რისკში	3,311	5,039	2,779	11,129
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	—	—	863	863
ნაშთი წლის ბოლოს	4,264	1,572	7,433	13,269

შესაბამისი მოძრაობა მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	
ნაშთი წლის დასაწყისში	321,265	65,695	14,554	401,514
ახალი სესხები	325,729	—	—	325,729
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	2,829	(2,829)	—	—
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(27,606)	27,788	(182)	—
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	—	(16,081)	16,081	—
რეკლასიფიკაცია (იხილეთ ქვემოთ)	15,568	(15,516)	(52)	—
დაფარული სესხები	(232,737)	(35,763)	(6,590)	(275,090)
გაყიდული სესხები	—	—	(1,776)	(1,776)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	—	—	(14,832)	(14,832)
წინა ჩამოწერების აღდგენა	130	67	5,000	5,197
სხვა ცვლილებები	402	(222)	3,545	3,725
ნაშთი წლის ბოლოს	405,580	23,139	15,748	444,467

ჯგუფმა განახორციელა სალომბარდო სესხების მე-2 სტადიიდან 1-ლში რეკლასიფიკაცია, ამ სესხების საწყისი კლასიფიკაციის მეთოდში ცვლილების შედეგად. რეკლასიფიკაცია არ იყო გამოწვეული ამ სესხების რისკის ცვლილებით და არ ჰქონია გავლენა შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. მოძრაობა სესხის გაუფასურების რეზერვში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2022			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	
ნაშთი წლის დასაწყისში	3,090	3,306	7,604	14,000
ახალი სესხები	6,525	—	—	6,525
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	53	(53)	—	—
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(4,790)	5,153	(363)	—
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	—	(7,655)	7,655	—
დაფარული სესხები	(1,712)	(652)	(4,807)	(7,171)
გაყიდული სესხები	—	—	(1,257)	(1,257)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	—	—	(13,203)	(13,203)
წინა ჩამოწერების აღდგენა	27	98	5,271	5,396
ცვლილებები საკრედიტო რისკში	1,179	2,406	5,176	8,761
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	—	—	711	711
ნაშთი წლის ბოლოს	4,372	2,603	6,787	13,762

შესაბამისი მოძრაობა მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	288,704	61,406	11,831	361,941
ახალი სესხები	286,112	—	—	286,112
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	1,055	(1,055)	—	—
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(46,039)	46,639	(600)	—
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	—	(18,409)	18,409	—
დაფარული სესხები	(209,240)	(25,760)	(6,471)	(241,471)
გაყიდული სესხები	—	—	(1,257)	(1,257)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	—	—	(13,203)	(13,203)
წინა ჩამოწერების აღდგენა	27	98	5,271	5,396
სხვა ცვლილებები	646	2,776	574	3,996
ნაშთი წლის ბოლოს	321,265	65,695	14,554	401,514

15. წმინდა ინვესტიცია იჯარებში

საიჯარო გადახდების მოთხოვნა და მათი დღევანდელი ღირებულება – ინვესტიციები იჯარებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	დასაფარი 1 წლის ვადაში	დასაფარი 1-დან 5 წლამდე ვადაში	სულ
საიჯარო გადახდების მოთხოვნა	10,363	10,137	20,500
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(649)	(6,991)	(7,640)
ინვესტიცია იჯარებში	9,714	3,146	12,860
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(331)	(110)	(441)
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	9,383	3,036	12,419

საიჯარო გადახდების მოთხოვნა და მათი დღევანდელი ღირებულება – ინვესტიციები იჯარებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	დასაფარი 1 წლის ვადაში	დასაფარი 1-დან 5 წლამდე ვადაში	სულ
საიჯარო გადახდების მოთხოვნა	8,109	8,366	16,475
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(618)	(5,803)	(6,421)
ინვესტიცია იჯარებში	7,491	2,563	10,054
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(155)	(58)	(213)
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	7,336	2,505	9,841

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	106	9	98	213
ახალი წარმოშობილი აქტივები	110	—	—	110
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	—	—	—	—
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(242)	242	—	—
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	—	(306)	306	—
გადატანა გაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(69)	(2)	(13)	(84)
გადახდილი აქტივები	—	—	(18)	(18)
ცვლილებები საკრედიტო რისკში	143	63	14	220
ნაშთი წლის ბოლოს	48	6	387	441

ინტეგრირებული ანგარიში 2023

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგამის განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

112

შესაბამისი მოძრაობა მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2023			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
	12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მან-ძილზე მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი – არა გა-უფასურებული	არსებობის მან-ძილზე მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი – გაუფა-სურებული	
ნაშთი წლის დასაწყისში	9,033	782	239	10,054
ახალი წარმოშობილი აქტივები	7,960	—	—	7,960
12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე გადატანა	(2,599)	2,599	—	—
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზა-რალზე	—	(1,781)	1,781	—
გადატანა გაუფასურებულ არსე-ბობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	6	—	(6)	—
გადატანა გაუფასურებულ არსე-ბობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(3,596)	(221)	(40)	(3,857)
გადახდილი აქტივები	(777)	(309)	(130)	(1,216)
სხვა ცვლილებები	(81)	—	—	(81)
ნაშთი წლის ბოლოს	9,946	1,070	1,844	12,860

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2022			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
	12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მან-ძილზე მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი – არა გა-უფასურებული	არსებობის მან-ძილზე მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი – გაუფა-სურებული	
ნაშთი წლის დასაწყისში	39	11	54	104
ახალი წარმოშობილი აქტივები	138	—	—	138
12-თვიან მოსალოდნელ საკრე-დიტო ზარალზე გადატანა	—	—	—	—
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(49)	49	—	—
გადატანა გაუფასურებულ არსე-ბობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	—	(42)	42	—
გადატანა გაუფასურებულ არსე-ბობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(24)	(10)	—	(34)
გადახდილი აქტივები	—	—	(60)	(60)
ცვლილებები საკრედიტო რისკში	2	1	23	26
სხვა ცვლილებები	—	—	39	39
ნაშთი წლის ბოლოს	106	9	98	213

ინტეგრირებული ანგარიში 2023

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგამის განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

113

შესაბამისი მოძრაობა მთლიან საბალანსო ღირებულებაში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2022			
	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
	12- თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – არა გაუფასურებული	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – გაუფასურებული	
ნაშთი წლის დასაწყისში	4,898	598	270	5,766
ახალი წარმოშობილი აქტივები	7,307	—	—	7,307
12-თვიან მოსალოდნელ საკრე-დიტო ზარალზე გადატანა	—	—	—	—
გადატანა არგაუფასურებულ არსებობის მანძილზე მოსალოდ-ნელ საკრედიტო ზარალზე	(970)	970	—	—
გადატანა გაუფასურებულ არსე-ბობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	—	(513)	513	—
გადატანა გაუფასურებულ არსე-ბობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(2,202)	(290)	(12)	(2,504)
გადახდილი აქტივები	—	—	(1,026)	(1,026)
სხვა ცვლილებები	—	17	494	511
ნაშთი წლის ბოლოს	9,033	782	239	10,054

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საინვესტიციო სექტორების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
მშენებლობა	4,183	(142)	4,041
ვაჭრობა	2,063	(38)	2,025
ტრანსპორტირება და ლოგისტიკა	1,835	(51)	1,784
სამომხმარებლო მომსახურება	1,811	(78)	1,733
წარმოება	983	(28)	955
სილამაზე და ჯანდაცვა	814	(21)	793
სოფლის მეურნეობა	510	(12)	498
ტურიზმი	566	(71)	495
ტურიზმი	43	—	43
სასტუმრო, სარესტორნო და კვების ინდუსტრია	15	—	15
უძრავი ქონების განვითარება	12	—	12
მეცნიერება და განათლება	12	—	12
ტელეკომუნიკაციები	8	—	8
სხვა	5	—	5
ნმინდა ინვესტიცია იჯარებში	12,860	(441)	12,419

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საინვესტიციო სექტორების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	საბალანსო ღირებულება
მშენებლობა	3,215	(94)	3,121
ვაჭრობა	1,364	(12)	1,352
სამომხმარებლო	1,312	(19)	1,293
ტრანსპორტირება და ლოგის- ტიკა	1,054	(21)	1,033
მომსახურება	1,026	(13)	1,013
სოფლის მეურნეობა	708	(39)	669
წარმოება	654	(6)	648
სილამაზე და ჯანდაცვა	546	(7)	539
უძრავი ქონების განვითარება	117	(1)	116
ტურიზმი	27	(1)	26
მეცნიერება და განათლება	11	—	11
სასტუმრო, სარესტორნო და კვე- ბის ინდუსტრია	4	—	4
სხვა	16	—	16
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	10,054	(213)	9,841

16. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

შენობა-ნაგებობები და საოფისე ფართები წარმოდგენილია ჯგუფის საფილიალო ქსელით, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არის დაქირავებული; ავტოსატრანსპორტო საშუალებები მოიცავს ტრანსპორტირების მომსახურებებს, რომლებსაც ქირაობს ჯგუფი ავტომობილების მძღოლებთან ხელშეკრულების გაფორმების გზით. საშუალო შეწონილი იჯარის ვადა აქტივების გამოყენების უფლებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.2 და 4.4 წელს შეადგენს, შესაბამისად.

	შენობა- ნაგებობები და საოფისე ფართები	ავტოსატრანს- პორტო საშუ- ალებები	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	17,571	1,442	19,013
შესყიდვები	3,068	567	3,635
გაუქმება	(67)	—	(67)
იჯარების მოდიფიცირება	1,495	—	1,495
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	22,067	2,009	24,076
ცვეთა			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(9,646)	(1,215)	(10,861)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,507)	(227)	(3,734)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(13,153)	(1,442)	(14,595)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8,914	567	9,481

	შენობა- ნაგებობები და საოფისე ფართები	ავტოსატრანს- პორტო საშუ- ალებები	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14,010	1,483	15,493
შესყიდვები	2,564	65	2,629
გაუქმება	—	(106)	(106)
იჯარების მოდიფიცირება	997	—	997
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	17,571	1,442	19,013
ცვეთა			
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(6,245)	(953)	(7,198)
ცვეთა წლის განმავლობაში	(3,401)	(262)	(3,663)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(9,646)	(1,215)	(10,861)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	7,925	227	8,152

მოძრაობა საიჯარო ვალდებულებებში 2023 და 2022 წლებში იყო შემდეგი:

	2023	2022
ნაშთი 1 იანვარს	8,121	9,127
შესყიდვები	3,635	2,629
გაუქმება	(67)	(111)
მოდიფიცირებები	1,495	997
საპროცენტო ხარჯი	639	611
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(14)	(897)
იჯარის პროცენტის დაფარვა	(728)	(675)
იჯარის ძირითადი თანხის დაფარვა	(3,392)	(3,560)
სულ	9,689	8,121

საშუალო შეწონილი იჯარის ვადა აქტივების გამოყენების უფლებაზე 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.2 და 4.4 წელს შეადგენს, შესაბამისად, ხოლო მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც საიჯარო ვალდებულებებზე ვრცელდება 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9.1% და 8.1% შეადგენს, შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულება ვადიანობის ანალიზი	2023 წლის 31 დეკემბერი amounts payable under leases	2022 წლის 31 დეკემბერი amounts payable under leases
1-ლი წელი	4,057	3,862
მე-2 წელი	3,304	2,612
მე-3 წელი	2,460	1,799
მე-4 წელი	612	330
მე-5 წელი	239	288
მეტი	78	226
გამოკლებული: მომავალი პროცენტი	(1,061)	(996)
სულ საიჯარო ვალდებულება	9,689	8,121

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები	2023	2022
ცვეთის ხარჯი	(3,734)	(3,663)
საპროცენტო ხარჯი	(639)	(611)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა / (ზარალი)	14	897
მოკლევადიან იჯარებსა და დაბალ-ფასიან მუხლებთან დაკავშირებული ხარჯები	(190)	(483)
შემოსულობა იჯარის გაუქმებიდან	—	5
სულ	(4,549)	(3,855)

ფულადი სახსრების მთლიანმა გასვლამ იჯარებზე 4,323 ათასი ლარი შეადგინა (2022 წ.: 4,372 ათასი ლარი). არ არსებობს საიჯარო გადახდები, რომ შეწყვეტის ოფციის მქონე საიჯარო გადახდებმა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია და რომლებთან დაკავშირებითაც საიჯარო ვალდებულება არ აღიარებულია 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

17. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	ავტო- სატრანს- პორტო სა- შუალებები	ავეჯი	it აღჭურ- ვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯო- ბესება	სხვა	სულ
თვითღირებულება							
2023 წლის 1 იანვარს	105	1,194	1,378	6,088	6,561	4,262	19,588
შესყიდვები	—	30	132	873	423	180	1,638
გასვლები	—	(38)	(2)	(91)	(82)	(3)	(216)
2023 წლის 31 დეკემბერს	105	1,186	1,508	6,870	6,902	4,439	21,010
დაგროვილი ცვეთა							
2023 წლის 1 იანვარს	(53)	(1,019)	(1,232)	(3,678)	(5,835)	(3,799)	(15,616)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4)	(90)	(76)	(722)	(531)	(198)	(1,621)
გასვლისას ელიმინირებული	—	38	1	91	81	3	214
2023 წლის 31 დეკემბერს	(57)	(1,071)	(1,307)	(4,309)	(6,285)	(3,994)	(17,023)
საბალანსო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერს	48	115	201	2,561	617	445	3,987

	შენობა- ნაგებობები	ავტო- სატრანს- პორტო სა- შუალებები	ავეჯი	it აღჭურ- ვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯო- ბესება	სხვა	სულ
თვითღირებულება							
2022 წლის 1 იანვარს	105	1,189	1,340	5,116	6,577	4,166	18,493
შესყიდვები	—	5	58	1,223	263	190	1,739
გასვლები	—	—	(20)	(251)	(279)	(94)	(644)
2022 წლის 31 დეკემბერს	105	1,194	1,378	6,088	6,561	4,262	19,588
დაგროვილი ცვეთა							
2022 წლის 1 იანვარს	(49)	(904)	(1,134)	(3,001)	(5,559)	(3,569)	(14,216)
ცვეთა წლის განმავლობაში	(4)	(115)	(118)	(777)	(549)	(322)	(1,885)
გასვლისას ელიმინირებული	—	—	20	100	273	92	485
2022 წლის 31 დეკემბერს	(53)	(1,019)	(1,232)	(3,678)	(5,835)	(3,799)	(15,616)

საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერს	52	175	146	2,410	726	463	3,972

სხვა ძირითადი საშუალებები უმეტესად მოიცავს უსაფრთხოების სისტემებს და გენერატორებს. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ამორტიზებულმა ერთეულებმა, რომლებიც კვლავ გამოყენებულია შესაბამისად შეადგინა 10,671 ათასი და 11,364 ათასი ლარი.

18. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	
2022 წლის 1 იანვარს	7,934
შესყიდვები	955
2022 წლის 31 დეკემბერს	8,889
შესყიდვები	1,563
2023 წლის 31 დეკემბერს	10,452

დაგროვილი ამორტიზაცია	
2022 წლის 1 იანვარს	(3,440)
წლის ამორტიზაცია	(1,302)
2022 წლის 31 დეკემბერს	(4,742)
წლის ამორტიზაცია	(1,447)
2023 წლის 31 დეკემბერს	(6,189)

საბალანსო ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერს	4,147
2023 წლის 31 დეკემბერს	4,263

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს, მათ შორის ადგილობრივად შემუშავებულ პროგრამულ უზრუნველყოფას 407 ათასი ლარის (2022 წ.: 757 ათასი ლარი) ოდენობით.

19. სხვა აქტივები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სხვა მოთხოვნები	3,517	3,545
სხვა მოთხოვნები ლიზინგზე	1,684	1,020
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(165)	(142)
სულ სხვა ფინანსური აქტივები	5,036	4,423
დასაკუთრებული აქტივები	2,315	1,277
გადახდილი ავანსები	887	830
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	351	—
იჯარით გასაცემი წმინდა აქტივები	232	136
მარაგები	108	149
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	3,893	2,392
სულ სხვა აქტივები	8,929	6,815

ჯგუფი ფლობს დასაკუთრებულ ქონებას, რომელიც გადაუხდელი სესხების დაფარვის სახით ჯგუფის მფლობელობაში გადასული მიწისა და შენობა-ნაგებობისგან შედგება. ჯგუფი გეგმავს ამ აქტივების გაყიდვას ჩვეული საქმიანობის პროცესში.

2023 წელს ბანკი დაესაკუთრა 898 ათასი ლარის ოდენობით ქონებას (წარმოდგენილი უძრავი ქონებით) გაცემული სესხების არაფულადი დაფარვის სახით (2022 წ.: 443 ათასი ლარი). ჯგუფი რეგულარულად იქირავებს გარე შემფასებლებს დასაკუთრებული ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასების და ჩამოწერის საჭიროების გამოვლენის მიზნით.

20. თამასუქები

მოცემულ განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია პროცენტიანი თამასუქების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდობის რისკის ზომის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი თამასუქების პირობები:

		ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	2023 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება
თამასუქები უზრუნველყოფის გარეშე	ვალუტა აშშ დოლარი	5.75%–7.20%	2024	1,107	—
თამასუქები უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	13.50%–14.00%	2024	223	—
სულ promissory შენიშვნა				1,330	—

საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ცვლილებების შეჯამება

	2023 წლის 1 იანვარი	თამასუქების გამოშვება 2023 წლის განმავლობაში	თამასუქების დაფარვა 2023 წლის განმავლობაში	პროცენტის დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	2023 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა 2023 წლის განმავლობაში	2023 წლის 31 დეკემბერი
თამასუქები	—	1,313	—	22	(3)	(2)	1,330

თამასუქი

2023 წლის იანვარში ჯგუფმა დაწერა ფიზიკური პირებისგან, ინდივიდუალური მესაკუთრებისა და სხვა არასაფინანსო იურიდიული პირებისგან სახსრების მოზიდვის გზა, თამასუქის პროდუქტის ფორმით, სახელწოდებით „მონეტა“, რა შემთხვევაშიც მონეტის მყიდველს შეუძლია არჩევანი გააკეთოს ორ შემდეგ შესაძლებლობას შორის: ა) ღია და დახურული თამასუქი, და ბ) პროცენტის გამოთხოვის სიხშირე, სახელშეკრულებო პირობებით.

დახურულ თამასუქს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ერიცხება, რადგან სესხის გამცემი იღებს ძირითად თანხას ერთჯერადი გადახდის გზით, ვადის ბოლოს. რაც შეეხება ღია თამასუქს, ინვესტირებული სახსრების განკარგვა ხდება კლიენტის გადაწყვეტილებით და მისი გატანა შესაძლებელია მოკლე შეტყობინების გზით. ამასთან, სესხის გამცემს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მიიღოს საპროცენტო შემოსავალი მითითებული სიხშირით ან მთლიანი თანხის სახით, ვადის ბოლოს.

თამასუქის ვადა შესაძლოა 3-დან 12 თვემდე მერყეობდეს; ღია თამასუქის შემთხვევაში მინიმალური ოდენობით 100 ათასი ლარი (ან ეკვივალენტი) 1,000 ათას ლარამდე (ან ეკვივალენტი) ან დახურული თამასუქის შემთხვევაში – მაქსიმალური ოდენობით 3,000 ათასი ლარი (ან ეკვივალენტი).

კოვენანტების მოთხოვნები

თამასუქებზე კოვენანტების მოთხოვნები არ ვრცელდება.

21. გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

მოცემულ განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია პროცენტიანი სავალო ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდობის რისკის ზომის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,406	—
სულ გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,406	—

ჯგუფის ნასესხები სახსრების მოკლე და გრძელვადიანი კლასიფიკაცია არის შემდეგი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	24,848	—
მოკლევადიანი ვალდებულებები		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,558	—
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,406	—

ვადები და ვალის დაფარვა

დაუფარავი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების პირობები შემდეგია:

				2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
გამოშვებული სავალო ფასი- ანი ქაღალდები უზრუნველ- ყოფის გარეშე	ლარი	4.75% + 6-თვე თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი (tibr)	2025	26,406	—
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები				26,406	—

საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ცვლილებების შეჯამება

	2023 წლის 1 იანვარი	თამასუქების გამოშვება 2023 წლის განმავლობაში	თამასუქების დაფარვა 2023 წლის განმავლობაში	პროცენტის დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	2023 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა 2023 წლის განმავლობაში	2023 წლის 31 დეკემბერი
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	—	25,000	—	3,860	(2,454)	—	26,406

კორპორაციული ობლიგაციები

2023 წლის თებერვალში ჯგუფმა გამოუშვა 25,000 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების მქონე რეგიონში პირველი სერტიფიცირებული გენდერული ობლიგაცია, რომლის მთავარი ინვესტორი (75%) აზიის განვითარების ბანკი იყო, ხოლო თანა-დამფინანსებელი ადგილობრივი კომერციული ბანკი (25%). ობლიგაციის დაფარვის ვადაა 2 წელი და მის ნომინალურ თანხაზე ირიცხება წლიური სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი თბილისის ნ-თვიან ბანკთაშორის განაკვეთს პლუს 4.75%-ის ოდენობით.

კოვენანტების მოთხოვნები

ჯგუფი ვალდებულია დააკმაყოფილოს ფინანსური კოვენანტების მოთხოვნები გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებთან მიმართებით. ეს კოვენანტები მოიცავს მითითებულ კოეფიციენტებს, ასევე ნასესხები სახსრების დონის, ლიკვიდობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი სრულად აკმაყოფილებს ამ ფინანსურ ვალდებულებებს.

22. ნასესხები სახსრები

მოცემულ განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია პროცენტური სესხებისა და ნასესხები სახსრების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდობის რისკის ზომის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში.

ჯგუფის ნასესხები სახსრების მოკლე და გრძელვადიანი კლასიფიკაცია არის შემდეგი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	143,273	173,873
მოკლევადიანი ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	189,030	169,050
სულ ნასესხები სახსრები	332,303	342,923

ვადები და ვალის დაფარვა

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ნასესხები სახსრების პირობები:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	2023 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება
საფინანსო დაწესებულებებიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	12.50%-16.50%	2023 – 2027	218,764	211,955
საფინანსო დაწესებულებებიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	აშშ დოლარი	2.48%-9.31%	2023 – 2028	113,539	130,968
სულ ნასესხები სახსრები				332,303	342,923

საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ცვლილებების შეჯამება

	2023 წლის 1 იანვარი	2023 წლის მიღებული სესხები	2023 წლის განმავ- ლობაში დაფარული სესხები	პროცენტის დარიცხვა 2023 წლის განმავ- ლობაში	2023 წლის განმავ- ლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვა- ობით განპი- რობებული შემოსულობა 2023 წლის განმავლო- ბაში	2023 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	342,923	166,927	(176,620)	36,735	(36,931)	(731)	332,303
	2022 წლის 1 იანვარი	2022 წლის მიღებული სესხები	2022 წლის განმავ- ლობაში დაფარული სესხები	პროცენტის დარიცხვა 2022 წლის განმავ- ლობაში	2022 წლის განმავ- ლობაში გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვა- ობით განპი- რობებული შემოსულობა 2022 წლის განმავლო- ბაში	2022 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	298,847	238,304	(175,210)	34,451	(32,969)	(20,500)	342,923

აუთვისებელი საკრედიტო ხაზები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა საკრედიტო ხაზი 30,000 ათასი ლარისა და 26,250 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, რომლებსაც მომდევნო წელს გასდიოდა ვადა. ამ ინსტრუმენტებს განახლებადი ხასიათი აქვთ და მოქმედებს დაფარვის ვადამდე. ჯგუფს აქვს შესაძლებლობა საჭიროებიდან გამომდინარე გამოითხოვოს ან დაფაროს სასურველი ოდენობის თანხა, საბაზისო საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში, ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციებისა და ლიკვიდობის მართვის საჭიროებების მიზნით. შესაბამისი პერიოდის ბოლოს მდგომარეობით გამოუყენებელი თანხები 5,000 ათასი ლარი და 21,243 ათასი ლარი იყო, შესაბამისად.

კოვენანტების მოთხოვნები

ჯგუფი ვალდებულია დააკმაყოფილოს ფინანსური კოვენანტების მოთხოვნები ზემოთ აღწერილ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით. ეს კოვენანტები მოიცავს მითითებულ კოეფიციენტებს, ასევე ნასესხები სახსრების დონის, ლიკვიდობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

2023 წელს ადგილი ჰქონდა ვალდებულებების რამდენიმე დარღვევას. ჯგუფმა ყველა კონტრაჰენტს მიაწოდა ინფორმაცია და მიიღო პატიების წერილი და/ან შესძლო მოთხოვნების მეტად მორგებული ლიმიტებით ცვლილება, 2023 წლის 31 დეკემბრამდე. შედეგად, შესაბამისი ვალდებულებები სასწრაფო წესით დასაფარი არ არის.

23. სუბორდინირებული ვალი

მოცემულ განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია პროცენტიანი სუბორდინირებული ვალის სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდობის რისკის ზომის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში.

ჯგუფის სუბორდინირებული ვალის მოკლე და გრძელვადიანი კლასიფიკაცია არის შემდეგი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სუბორდინირებული ვალი	13,892	13,420
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სუბორდინირებული ვალი	2,975	156
მთლიანი სუბორდინირებული ვალი	16,867	13,576

ვადები და ვალის დაფარვა

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი სუბორდინირებული ვალის პირობები:

				2023 წლის	2022 წლის
				31 დეკემბერი	31 დეკემბერი
სესხის გამცემი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
საფინანსო დაწესებულებე- ბიდან მიღებული სესხები	აშშ დოლარი	7.80% – 9.20%	2025 – 2029	16,867	13,576
უმრუნველყოფის გარეშე					
მთლიანი სუბორდინირებული ვალი				16,867	13,576

გაკორტების შემთხვევაში სუბორდინირებული ვალის დაფარვა განხორციელდება ჯგუფის ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილი ცვლილებების შეჯამება

	2023 წლის 1 იანვარი	სუბორდი- ნირებული ვალის მი- ღება 2023 წლის გან- მავლობაში	სუბორდი- ნირებული ვალის და- ფარვა 2023 წლის გან- მავლობაში	პროცენტის დარიცხვა 2023 წლის განმავ- ლობაში	2023 წლის განმავლო- ბაში გადახ- დილი პრო- ცენტი	საკურსო სხვაობით განპირო- ბებული ზა- რალი 2023 წლის გან- მავლობაში	2023 წლის 31 დეკემბერი
სუბორდინირებული ვალი	13,576	3,146	—	1,302	(1,174)	17	16,867
	2022 წლის 1 იანვარი	სუბორდი- ნირებული ვალის მი- ღება 2022 წლის გან- მავლობაში	სუბორდი- ნირებული ვალის და- ფარვა 2022 წლის გან- მავლობაში	პროცენტის დარიცხვა 2022 წლის განმავ- ლობაში	2022 წლის განმავლო- ბაში გადახ- დილი პრო- ცენტი	საკურსო სხვაობით განპირო- ბებული ზა- რალი 2022 წლის გან- მავლობაში	2022 წლის 31 დეკემბერი
სუბორდინირებული ვალი	15,558	—	—	1,226	(1,179)	(2,029)	13,576

კოვენანტების მოთხოვნები

ჯგუფი ვალდებულია დააკმაყოფილოს ფინანსური კოვენანტების მოთხოვნები სუბორ-დინირებულ სესხთან დაკავშირებით, თუმცა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს დეფოლტს, თუ ვალი აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს მარეგულირებელ კაპიტალში მისი ჩართვის შესახებ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი სრულად აკმაყოფილებს ამ ფინანსურ ვალდებულებებს.

24. სხვა ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მომავალი დაფარვისთვის მიღებული გადახდები	8,709	7,300
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	2,576	3,191
დასაქმებულთა ანაზღაურების დარიცხვები	1,790	1,672
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	584	321
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	13,659	12,484
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	—	29
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	23	21
სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები	23	50
სულ სხვა ვალდებულებები	13,682	12,534

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი დაფარვისთვის მიღებული გადახდები 8,709 ათასი ლარისა და 7,300 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისად წარმოადგენს მომხმარებლების მიერ წინასწარ გადახდილ თანხებს, რომლითაც იფარება მათი შესაბამისი მომდევნო სასესხო ვალდებულებები, მათი სახელშეკრულებო გრაფიკების შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ წინსწრებით დაფარვას ინარჩუნებს შუალედურ ანგარიშზე – როგორც ვალდებულებას მომხმარებლების წინაშე – გრაფიკით განსაზღვრული ფაქტობრივი გადახდის თარიღამდე და ის არ მიმართავს სესხის სასწრაფო წესით დაფარვას, და მომხმარებლებს წინსწრებით დაფარვისთვის ჯარიმა არ ერიცხებათ. თანხები ყოველთვის იფარება ერთი თვის ვადაში და შესულია ლიკვიდობის ყველაზე ადრეულ ფულში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე 584 ათასი ლარისა და 321 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად) წარმოადგენს სესხის დაფარვას კლიენტების ფაქტობრივად დასაფარავ თანხებზე მეტი ოდენობით. თანხები მომხმარებლების წინაშე ჯგუფის ვალდებულებად რჩება 3 წლის განმავლობაში სესხის დახურვის შემდეგ, რა დროსაც თანხები შესაძლოა მოთხოვნილ იქნას ნებისმიერ დროს და ისინი სასწრაფო წესით დაფარვის საგანს წარმოადგენს. სამწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ თანხები ჯგუფის მოგებაში აღიარდება.

25. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არა გამოსყიდვადი პრივილე- გირებული	აქცია %	ხმის უფლებები	კაპიტალი ათასი ლარი
AGRIF CO PERATIEF U.A.	1,186,157	Common	38.75%	38.75%	1,185
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	Common	12.37%	12.37%	379
ინდივიდუალური აქციონე- რები	1,496,306	Common	48.88%	48.88%	1,497
	3,061,182		100.00%	100.00%	3,061
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	304,613	Preferred	53.12%	0.00%	305
AGRIF CO PERATIEF U.A.	268,781	Preferred	46.88%	0.00%	269
	573,394		100.00%	0.00%	574

სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არა გამოსყიდვადი პრივილე- გირებული	აქცია %	ხმის უფლებები	კაპიტალი ათასი ლარი
AGRIF CO PERATIEF U.A.	1,186,157	Common	38.75%	38.75%	1,185
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	Common	12.37%	12.37%	379
ფონდი კრისტალი	2,682	Common	0.09%	0.09%	3
ინდივიდუალური აქცი- ონერები	1,493,624	Common	48.79%	48.79%	1,494
	3,061,182		100.00%	100.00%	3,061
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	304,613	Preferred	53.12%	0.00%	305
AGRIF CO PERATIEF U.A.	268,781	Preferred	46.88%	0.00%	269
	573,394		100.00%	0.00%	574

ყველა ჩვეულებრივ აქციას აქვს ნომინალური ღირებულება 1 ლარი და ისინი სრულად არის დაფარული.

ყველა ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქცია თანაბრად ნაწილდება ჯგუფის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში, თუმცა, გაკოტრების შემთხვევაში პრივილეგირებულ აქციებს უპირატესობა აქვთ ჩვეულებრივ აქციებთან მიმართებით. მეორეს მხრივ, პრივილეგირებული აქციების მფლობელებს ხმის უფლებები არ აქვთ.

საემისიო შემოსავალი

საემისიო შემოსავალი წარმოადგენს თანხას, რომელიც მიიღება აქციის სარეგისტრა-ციო ღირებულებაზე დამატებით. შესაბამისად, მისი გამომუშავება შესაძლებელია იგივე წყაროებიდან, როგორც სააქციო კაპიტალი – აქციების ფაქტობრივი გამოშვება.

2023 წლის 31 დეკემბრითა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის საემისიო შემოსავალმა 22,110 ათასი ლარი შეადგინა.

დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე ჯგუფის ყოველწლიურ და საერთო კრებებზე აქვთ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

პრივილეგირებული აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდები წლიური საპროცენტო განაკვეთით 10%. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდის ნებისმიერი დაპირება ბათილია და ეფუძნება წლის მოგებას და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოცხადდა და პრივილეგირებული აქციონერებისთვის გადახდილ იქნა 997 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები, ერთ აქციაზე 1.74 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც ჯგუფის ფასს (IFRS) სტანდარტების მიხედვით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია შესული.

26. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია ჯგუფის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე..

საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მას დარიცხული აქვს ყველა ვადადამდგარი საგადასახადო თანხა და შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში რეზერვი არ გაკეთებულა.

საოპერაციო გარემო

საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები განვითარებულ ბაზრებზე მეტ სხვადასხვა სახის რისკს გასწევს; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, ასევე იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესებზე მოქმედი კანონმდებლობები და ნორმატიული აქტები სწრაფად ვითარდება საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოებით, განსხვავებული ინტერპრეტაციების გამო. საქართველოს ეკონომიკის მომავალ მიმართულებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკები, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენებთან ერთად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად უკავშირდება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. წლების განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები კვლავ ხორციელდება, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო მეტია მოსალოდნელი.

ამასთან, 2023 წელს საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რომელმაც ხელი შეუწყო მომხმარებელთა და ბიზნესების ნდობის ზრდას.

27. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კონტროლი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აქციონერები არიან „AGRIF CO PERATIEF U.A.“ და „DWM Funds S.C.A-SICAV SIF“ 38.75% და 12.37% წილით, შესაბამისად (იხილეთ 1-ლი შენიშვნა).

ოპერაციები სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭო-ების წევრებთან

თანამშრომლებზე გაწეულ ხარჯში ჩართული მთლიანი ანაზღაურება და ხელმძღვანელობის საკონსულტაციო მომსახურების საფასური 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	2023	2022
ხელფასები და პრემიები	1,685	1,458
საკონსულტაციო მომსახურების საფასური	596	539
	2,281	1,997

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოზიდული მთლიანი თანხები იყო შემდეგი:

	ტრანზაქციის ღირებულება 2023 წ.	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წ.	დაუფარავი ნაშთი 2023 წ.	დაუფარავი ნაშთი 2022 წ.
თამასუქი	217	—	215	—
საპროცენტო ხარჯი	2	—	2	—

სხვა საოპერაციო ხარჯებში შესულია 7 ათასი ლარის ოდენობით სამივლინებო ხარჯები (2022 წ.: ნული ლარი).

28. ფინანსური ინსტრუმენტების

სამართლიანი ღირებულება

ფასს (IFRS) სტანდარტები სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც ფასს, რომლის მიღებაც მოხდებოდა აქტივის გასაყიდად ან ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში ვალდებულების გადასაცემად.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ჯგუფის მიერ განისაზღვრა ბაზრის ხელმისაწვდომი ინფორმაციის და შესაბამისი შეფასების მეთოდების გამოყენებით. თუმცა ბაზრის მონაცემების ინტერპრეტირებისთვის საჭიროა განსჯის გამოყენება, სავარაუდო სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად. საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლების ჩვენებას და ეკონომიკური პირობები განაგრძობს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობის შემლუდვას. საბაზრო კოტირებები შესაძლოა ვადაგასული იყოს ან ასახავდეს სასწრაფო გაყიდვის გარიგებებს. შესაბამისად ისინი არ მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია.

სამართლიანი ღირებულების იერარქია

ჯგუფი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (გაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე.
- მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს ემპირიულ და არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არაემპირიული კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ).

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) დაფარვის ვადის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული. ეს დაშვება ასევე გამოიყენება მოთხოვნამდე ანაბრებთან და დაფარვის ვადის არმქონე მიმდინარე ანგარიშებთან მიმართებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები – სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები – ფიქსირებულ-პროცენტიანი ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ოდენობით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადასა და კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ნასესხები სახსრები, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები და სუბორდინირებული ვალი – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული შეფასების მოდელით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით ნასესხები სახსრების მიღება შესაძლოა ჩაითვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

საიჯარო ვალდებულება – საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით შემცირებულ მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტების ვალუტასა და ვადიანობაზე. საიჯარო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება მის თვითღირებულებას უახლოვდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია აღიარებული.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	431,198	442,087	387,752	397,757
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	მე-3 დონე	12,419	12,419	9,841	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	მე-3 დონე	5,036	5,036	4,423	4,423
საიჯარო ვალდებულება	მე-3 დონე	9,689	9,689	8,121	8,121
თამასუქები	მე-3 დონე	1,330	1,330	—	—
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	მე-3 დონე	26,406	26,406	—	—
ნასესხები სახსრები	მე-3 დონე	332,303	331,705	342,923	342,135
სუბორდინირებული ვალი	მე-3 დონე	16,867	16,593	13,576	14,527
სხვა ფინანსური ვალდებულებები	მე-3 დონე	13,659	13,659	12,484	12,484

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც კერიოდულად სამართლიანი ღირებულებით ფასდება

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ (კონკრეტულად, შეფასების მეთოდ(ებ)ი და გამოყენებული ამოსავალი მონაცემები).

კაპიტალის მართვა						
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	სამართლიანი ღირებულების იერარქია	შეფასების მეთოდ(ებ)ი და მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემ(ებ)ი	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემ(ებ)ი	არაემპირიული ამოსავალი მონაცემების და სამართლიანი ღირებულების თანაფარდობა
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	816	—	მე-2 დონე	მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება ფორვარდული გაცვლითი კურსის (ემპირიული ფორვარდული გაცვლითი კურსიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში) და სახელმძღვანელო ფორვარდული განაკვეთების საფუძველზე.	n/a	n/a
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	—	8,032	მე-2 დონე			

ჯგუფი იყენებს ფართო დაღირებულ შეფასების მოდელებს იმისათვის, რომ განსაზღვროს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, მაგალითად, როგორც არის უცხოური ვალუტის გაცვლის ხელშეკრულებები და სავალუტო სვოპები, რომელთათვისაც გამოიყენება მხოლოდ ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემები და საჭიროებს ნაკლებ განსჯასა და შეფასებას ხელმძღვანელობის მხრიდან.

29. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფის მიზნებია:

- <

უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან შეძლოს აქციონერებისთვის უკუგების მოტანის გაგრძელება; და
- <

აქციონერებისთვის ადეკვატური უკუგების უზრუნველყოფა რისკის დონის შესაბამისი ფასწარმოქმნის მომსახურებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის რაოდენობას, რომელსაც ის რისკის პროპორციულად მოითხოვს. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციისა და საიჯარო აქტივების რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფი შესაბამისობაშია მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან – საკუთარ კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000 ათას ლარზე ნაკლები.

2018 წლის 1 სექტემბერიდან ჯგუფს ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორც არის: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, დაგირავებული აქტივებისა და ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტები. შესაბამისობა ამ კოეფიციენტებთან ყოველთვიურად კონტროლირდება სებ-ის მიერ.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია იქონიოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მინიმალური დონე სულ მცირე 18%-ის ოდენობით.

ფინანსურ სექტორზე კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით, სებ-მა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მოთხოვნა შეამცირა ცალკეული შემთხვევების საფუძველზე, რაც 2023 წლის მარტიდან დაუბრუნდა საწყის მოთხოვნებს. მთლიანი პერიოდის განმავლობაში, ასევე საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, ჯგუფი აკმაყოფილებდა მოთხოვნებს (2023 წ.: 18%; 2022 წ.: 16%).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დაანგარიშების საფუძველია სებ-ის წესები და სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მარეგულირებლის მიერ არის გაცემული და მის მიერ კონტროლირდება, და არა ფასს (IFRS) სტანდარტები:

	2023	2022
სააქციო კაპიტალი	3,635	3,635
საემისიო შემოსავალი	22,110	22,110
გაუნაწილებელი მოგება	61,445	50,506
უფლებამოსილი სუბორდინირებული ვალი	9,144	8,646
საზედამხედველო კაპიტალი დაქვითვამდე	96,334	84,897
მინუს: არამატერიალური აქტივები	(3,935)	(3,689)
მინუს: ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	(472)	(340)

საზედამხედველო კაპიტალი	91,927	80,868
--------------------------------	---------------	---------------

	2023	2022
მთლიანი აქტივები დაქვითვამდე	478,923	455,036
მინუს: არამატერიალური აქტივები	(3,935)	(3,689)
მინუს: ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	(472)	(340)
მთლიანი აქტივები დაქვითვის შემდეგ	474,516	451,007

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	19.37%	17.93%

ჯგუფი ასევე აკონტროლებს თავისი კაპიტალის ადეკვატურობის დონეს სასესხო კოვენანტებთან შესაბამისობაზე, რომელიც დაანგარიშდება სესხის გამცემების მოთხოვნების შესაბამისად. ვალდებულებასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

30. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკის მართვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბიზნესისთვის და ასევე არსებით ელემენტს წარმოადგენს ჯგუფის ოპერაციებისთვის. ჯგუფის ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრა, გაანალიზება და მართვა, სათანადო საკრედიტო ლიმიტებისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად გადაიხედება, რომ ასახავდეს საბაზრო პირობებსა და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარ ცვლილებებს და ახალ საუკეთესო პრაქტიკას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავის კომიტეტებთან ერთად აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა რისკის მართვის სტრუქტურის მიმოხილვაზე, მნიშვნელოვანი რისკების მართვის მიმოხილვასა და თავისი რისკების მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების გადახედვაზე, ასევე მნიშვნელოვანი მსხვილი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს რისკების მართვის კომიტეტი და ფინანსური დეპარტამენტი პასუხს აგებენ რისკის შემსუბუქების ღონისძიებების გაკონტროლებასა და განხორციელებაზე, ასევე იმის დამტკიცებაზე, რომ ჯგუფი ფუნქციონირებს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. რისკის მართვის განყოფილების უფროსი პასუხისმგებელია რისკის ზოგადი მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების საყოველთაო პრინციპებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაზე. ის პირდაპირ აღმასრულებელი საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები, პორტფელურ და საოპერაციო დონეებზე, იმართება და კონტროლირდება საკრედიტო კომიტეტების და აქტივ-პასივების კომიტეტის სისტემებით. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, ჯგუფი ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკის ანალიზისგან განცალკევებით, რისკების მართვის დეპარტამენტი აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს რეგულარული შეხვედრების ჩატარებით საოპერაციო ერთეულებთან, რათა მიღებულ იქნას ექსპერტის დასკვნები მათი მართვის სფეროში.

* არა აუდიტირებული

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ჯგუფს აქვს შემუშავებული კრედიტის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ჰყავს საკრედიტო კომიტეტი და სხვა ანალიტიკური სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სესხის განაცხადის ანალიზზე, საკრედიტო რისკების შეფასებასა და შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს ფორმით) გადაიხედება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სასესხო განაცხადების შემოწმების და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდებს;
- უზრუნველყოფის საგნის შეფასების მეთოდებს;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო დავალიანებების მიმდინარე მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სესხზე განაცხადების დაფინანსების ან უარყოფის შესახებ. კომიტეტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეყრდნობა საკრედიტო პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებს.

საკრედიტო კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სისწორე არის იმ საკრედიტო ოფიცრის პასუხისმგებლობა, რომელიც ავსებს საკრედიტო განაცხადს მას შემდეგ, რაც განხორციელდება განმცხადებლის ბიზნესის შემოწმება და საკრედიტო რისკების შეფასება, საკრედიტო ქულების მოდულებისა და განცხადების მონაცემების შემოწმების პროცედურების შემოწმების გზით. საბოლოოდ საკრედიტო კომიტეტის წევრები აფასებენ განცხადებას დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტუნარიანობა და ა.შ.).

განმცხადებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ხდება განმცხადებლის ბიზნესის მონიტორინგის გზით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას, დროულად მოახდინოს ფინანსური ზარალის დადგომის საფრთხის იდენტიფიკაცია. მონიტორინგს აწარმოებენ საკრედიტო ოფიცრები, რომლებიც ახორციელებენ შედეგების ხელმძღვანელობისთვის მიწოდებას. სესხების რეგულარულ მონიტორინგს ასევე ახორციელებს მონიტორინგის დეპარტამენტი. პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისთვის უნდა განხორციელდეს რისკების მონიტორინგი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის ყოველთვიურად მიწოდების გზით. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკების მართვას და მათ დროულ შემცირებას.

საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი გარანტიების მიღებით.

გარდა მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზისა, საკრედიტო პორტფელი ფასდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ, საკრედიტო კონცენტრაციისა და საბაზრო რისკების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც წესი, აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს კრედიტორები ან დაკავშირებული კრედიტორების ჯგუფები, რომელთა მიმართაც საკრედიტო რისკი აქარბებს ჯგუფის კაპიტალის 10%-ს.

პორტფელის სემგმენტებად დაყოფა

პორტფელის სემგმენტებად დაყოფის მიზნისათვის, პორტფელის ჯგუფების რისკების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, პორტფელი იყოფა ჯგუფებად პროდუქტის ტიპების მიხედვით: მიკრო ბიზნესი, მცირე და საშუალო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო, იპოთეკური, სამომხმარებლო, განვადება და სალომბარდო სესხები. ვინტაჟ-ანალიზი და დეფოლტის განაკვეთის ანალიზი ტარდება იდენტიფიცირებული სემგმენტების ერთ-გვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით. დეფოლტის ალბათობა დაანგარიშდება განცალკევებით, ზემოთ ხსენებული თითოეული ჯგუფისთვის.

კლიენტის დაქვემდებარება დამატებით იყოფა უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ სესხებად, რადგან ეს ორი სხვადასხვა მახასიათებლებით ხასიათდება და განსხვავებული რისკის მატარებლები არიან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირებული დეფოლტის რისკი ფინანსურ ინსტრუმენტზე, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისობაშია და ხელმისაწვდომია დამატებითი მნიშვნელოვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, ასევე საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის უპირატესი ინდიკატორია და ის არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას ეფუძნება შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- ანგარიშგების თარიღში დარჩენილი ვადის დეფოლტის ალბათობა; დროის კონკრეტული მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა დაქვემდებარების საწყისი აღიარების დროს არსებული ფაქტებისა და ვითარებების საფუძველზე.
- საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არის მომენტი, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული.

ჯგუფი ახორციელებს იმ კრიტერიუმის ეფექტურობის მონიტორინგს, რომელიც გამოიყენება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიკაციისთვის რეგულარული შემოწმების გზით იმის დასადასტურებლად, რომ:

- კრიტერიუმი არის სწორად შემუშავებული მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენისთვის საკრედიტო რისკის განსაზღვრის მიმართულებით, სანამ დაფიქსირდება დეფოლტის შემთხვევა;
- კრიტერიუმი არ განიხილავს იმ მომენტს, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ვადაგადაცილებულა; და
- არ ფიქსირდება რეზერვში არასასურველი მერყეობა 12-თვიან და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობებს შორის.

დეფოლტის განმარტება

ჯგუფი დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში აღიარებს:

- ვადაგადაცილებული სესხები, რომლებიც რესტრუქტურიზებულია >90 დღე
- კლიენტის გარდაცვალება
- ფორს-მაჟორული ვითარება, როდესაც კლიენტი ხდება გადახდისუუნარო გარე ფაქტორების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კონტროლს
- სალომბარდო დეფოლტის ზღვარია >30 დღის ვადაგადაცილება

დეფოლტის განმარტება შეესაბამება სათანადო რეგულაციებს, ზღვრული 90-დღიანი ვადაგადაცილების გათვალისწინებით ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად.

ის სესხები, რომლებზეც ჯგუფმა აღიარა დეფოლტი, ითვლება გაუფასურებულ სესხებად.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს შემდეგში: შეფასება იმისა, ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ და ასევე თავისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

ჯგუფმა მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი დრაივერების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება პორტფელისთვის განვლილი მონაცემების ანალიზის გამოყენებით. მან შეაფასა მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა დეფოლტის ალბათობაზე და ანაზღაურების განაკვეთზე. ანალიზში გამოყენებული იყო შემდეგი მაკრო-ეკონომიკური ცვლადი მონაცემები:

- < საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდის განაკვეთი;
- < ინფლაციის ტემპი;
- < მონეტარული პოლიტიკის საპროგნოზო განაკვეთი;
- < ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რომლებიც გამოყენებულია 2023 წლის 31 დეკემბერს, 2024-დან 2026 წლამდე პერიოდისთვის საქართველოში:

	2023	2024	2025
მშპ-ის ზრდა			
საბაზისო სცენარი	5.0	4.5	5.0
ოპტიმისტური სცენარი	6.5	5.5	5.0
პესიმისტური სცენარი	3.0	4.0	5.0
ინფლაციის ტემპი			
საბაზისო სცენარი	3.6	3.1	3.0
ოპტიმისტური სცენარი	3.25	3.0	3.0
პესიმისტური სცენარი	5.0	4.0	3.0
მონეტარული პოლიტიკის საპროგნოზო განაკვეთი			
საბაზისო სცენარი	8.75	7.75	7.0
ოპტიმისტური სცენარი	7.75	7.0	7.0
პესიმისტური სცენარი	9.25	8.5	7.5
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი			
საბაზისო სცენარი	409.3	409.3	409.3
ოპტიმისტური სცენარი	417.5	423.8	423.8
პესიმისტური სცენარი	368.4	368.4	379.4

მოსალოდნელი საპროექტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- < დეფოლტის ალბათობა (PD);
- < დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- < დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

ეს პარამეტრები ჩვეულებრივ მომდინარეობს ადგილობრივად შემუშავებული სტატისტიკური მოდელებიდან და სხვა განვლილი მონაცემებიდან. ისინი კორექტირდება ზემოთ აღწერილი საპროგნოზო ინფორმაციის ასახვის მიზნით.

დეფოლტის ალბათობა (PD)

კოქსის მოდელი ცნობილი სტატისტიკური კონცეფციაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება გადარჩენის ანალიზში და წარმოადგენს არსებობის მანძილზე მონაცემების სტატისტიკის სფეროს. პროცენტის ცვლადი მონაცემი წარმოადგენს მოვლენის წარმოშობის დროს. ის ჩვეულებრივ გამოიყენება სამედიცინო მედიკამენტების კვლევისა და საინჟინრო საქმეში საიმედოობის შესწავლისას. საკრედიტო რისკის შემთხვევაში, სადავო მოვლენა არის დეფოლტი.

როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პარაგრაფში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში გამოიყენება PD (დეფოლტის ალბათობა), CPD-ის (დეფოლტის ერთობლივი ალბათობა) გამოყენებით. ორივე პარამეტრის მიღება მარტივად შეიძლება თითოეული დაქვემდებარებისთვის დაანგარიშებული საფრთხეების ფუნქციებიდან.

გადარჩენის მოდელის გამოყენების შედეგად, ადგილი აქვს ძველი მოდელიდან გადასვლას, მხოლოდ ვადაგადაცილების ახალ მოდელში ინდივიდუალურ შეფასებაზე მიგრაციის საფუძველზე. გამოყენებით ფაქტორებთან ერთად, ქცევითი ფაქტორები ემატება ახალ მოდელს, რომელიც ახდენს ამ მიდგომის განვითარების პოტენციალის გამოვლინებას დეფოლტის ალბათობის შეფასებაში.

დეფოლტის ალბათობის მოდელის სრული პროცედურის შეფასება ხუთ ძირითად ეტაპს მოიცავდა:

- < მონაცემების მომზადება და კანდიდატების შერჩევა განმარტებითი ცვლადი მონაცემებისთვის.
- < ერთჯერადი ანალიზი.
- < მრავალფაქტორიანი ანალიზი.
- < თანხვედრების შეფასება კოქსის პროპორციული რისკის მოდელში.
- < ხარისხის და ისტორიული მონაცემების შეფასება.

ძირითადი დაშვებები და სემპლტაჟი

მოდელირების მიზნებისთვის გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- < მოქმედად ჩაითვალა თითოეული დავალიანების მხოლოდ პირველი დეფოლტი (ე.ი. დანარჩენი მონაცემები დეფოლტის დადგენის შემდეგ ჩამოიჭრა)
- < პირველი დაკვირვების თარიღში ყველა ვადაგადაცილებული დავალიანება გამორიცხულია ნიმუშიდან
- < დეფოლტი განისაზღვრა ორი კრიტერიუმის მიხედვით: ვადაგადაცილებული დღეები და ჩამოწერის სტატუსი
- < ვადებში მყოფი სესხის ყოველი წარმოშობა მიიჩნეოდა ცალკე დაკვირვების საგნად

მოდელირება დაეფუძნა პროდუქტის ჯგუფის სეგმენტაციას, რომელიც სესხებს მიჯნავს სტანდარტული მახასიათებლების მიხედვით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10%-იანი ზრდა/(კლება) საშუალო დეფოლტის ალბათობაში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 4.7%-ით, რაც შეადგენს 579/(579) ათას ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10%-იანი ზრდა/(კლება) საშუალო დეფოლტის ალბათობაში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 6.2%-ით, რაც შეადგენს 763/(763) ათას ლარს.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევაში სავარაუდო ზარალის სიმძლავრეს. ჯგუფი აფასებს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტირებული კონტრაქტების მოთხოვნების საპირწონედ. LGD მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ ფულადი სახსრების დაბრუნებას. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგები დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10%-იანი ზრდა/(კლება) საშუალო დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10.0%-ით, რაც შეადგენს 1,226/(1,226) ათას ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10%-იანი ზრდა/(კლება) საშუალო დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10.0%-ით, რაც შეადგენს 1,236/(1,236) ათას ლარს.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD)

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ჯგუფი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას ანგარიშობს კონტრაქტის მიმდინარე დაქვემდებარებიდან და ხელშეკრულებით დაშვებული მიმდინარე თანხის პოტენციური ცვლილებიდან, ამორტიზაციის ჩათვლით. ფინანსური აქტივის დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება.

მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი	მთლიანი სესხები მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი – არა გაუფასუ- რებული	მთლიანი სესხები მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი – გაუფასუ- რებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ზარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
--	---	--	--	--	-------------------	--

ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით:

მიკრო ბიზნეს-სესხები

ვადაგადაცილების გარეშე	111,634	3,339	2,007	(1,571)	115,409	1%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	218	648	291	(158)	999	14%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	396	73	(69)	400	15%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	392	103	(115)	380	23%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	1,398	(606)	792	43%
180 დღეზე მეტი	—	—	—	—	—	0%
ვადაგადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ მიკრო ბიზნეს- სესხები	111,852	4,775	3,872	(2,519)	117,980	2%

	მთლიანი სესხები 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი	მთლიანი სესხები მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი – არა გაუფასუ- რებული	მთლიანი სესხები მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი – გაუფასუ- რებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ზარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
--	---	--	--	--	-------------------	--

სასოფლო-სამეურნეო სესხები

ვადაგადაცილების გარეშე	92,626	3,419	2,784	(3,889)	94,940	4%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	179	421	173	(128)	645	17%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	361	46	(68)	339	17%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	331	183	(165)	349	32%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	1,067	(520)	547	49%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სასოფლო- სამეურნეო სესხები	92,805	4,532	4,253	(4,770)	96,820	5%

სამომხმარებლო სესხები

ვადაგადაცილების გარეშე	84,268	3,580	1,436	(1,955)	87,329	2%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	204	517	146	(129)	738	15%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	264	86	(102)	248	29%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	223	153	(144)	232	38%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	766	(326)	440	43%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სამომხმარებლო სესხები	84,472	4,584	2,587	(2,656)	88,987	3%

განვადება

ვადაგადაცილების გარეშე	50,510	457	76	(406)	50,637	1%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	154	201	13	(10)	358	3%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	192	11	(16)	187	8%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	152	31	(23)	160	13%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	632	(139)	493	22%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ განვადება	50,664	1,002	763	(594)	51,835	1%

	მთლიანი სესხები 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	მთლიანი სესხები მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – არა გაუფასუ- რებული	მთლიანი სესხები მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – გაუფასუ- რებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	წმინდა სესხები	მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ბარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის						
ვადაგადაცილების გარეშე	35,372	3,755	3,192	(2,058)	40,261	5%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	—	44	183	(99)	128	44%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	57	—	(8)	49	14%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	12	23	(11)	24	31%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	287	(173)	114	60%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	35,372	3,868	3,685	(2,349)	40,576	5%
სალომბარდო სესხები						
ვადაგადაცილების გარეშე	15,529	2,969	206	(68)	18,636	0%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	39	153	12	(3)	201	1%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	—	21	(6)	15	29%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	—	4	(1)	3	25%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	—	—	—	0%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სალომბარდო სესხები	15,568	3,122	243	(78)	18,855	0%
იპოთეკური სესხები						
ვადაგადაცილების გარეშე	14,846	1,195	306	(264)	16,083	2%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	—	34	26	(17)	43	28%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	—	3	(2)	1	67%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	27	1	(14)	14	50%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	10	(6)	4	60%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ იპოთეკური სესხები	14,846	1,256	346	(303)	16,145	2%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	405,579	23,139	15,749	(13,269)	431,198	3%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი სესხები 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	მთლიანი სესხები მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – არა გაუფასუ- რებული	მთლიანი სესხები მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – გაუფასუ- რებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	წმინდა სესხები	მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ბარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
ანალიზი პროდუქტების ჯგუფების მიხედვით:						
მიკრო ბიზნეს-სესხები						
ვადაგადაცილების გარეშე	84,603	5,485	1,158	(1,556)	89,690	2%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	32	451	117	(97)	503	16%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	364	61	(83)	342	20%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	415	45	(134)	326	29%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	1,522	(829)	693	54%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ მიკრო ბიზნეს- სესხები	84,635	6,715	2,903	(2,699)	91,554	3%
სასოფლო-სამეურნეო სესხები						
ვადაგადაცილების გარეშე	71,488	5,303	2,270	(4,905)	74,156	6%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	25	445	80	(130)	420	24%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	307	97	(151)	253	37%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	345	105	(165)	285	37%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	1,214	(740)	474	61%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სასოფლო- სამეურნეო სესხები	71,513	6,400	3,766	(6,091)	75,588	7%
სამომხმარებლო სესხები						
ვადაგადაცილების გარეშე	66,475	5,327	723	(849)	71,676	1%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	32	554	139	(97)	628	13%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	362	45	(88)	319	22%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	278	38	(114)	202	36%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	914	(500)	414	55%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სამომხმარებლო სესხები	66,507	6,521	1,859	(1,648)	73,239	2%

ინტეგრირებული ანგარიში 2023

კონსტრუქციული და ინვესტიციური ფინანსური ანგარიშების განმარტებითი მენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	მთლიანი სესხები 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	მთლიანი სესხები მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – არა გაუფასუ- რებული	მთლიანი სესხები მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – გაუფასუ- რებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	წმინდა სესხები	მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ბარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
განვადება						
ვადგადაცილების გარეშე	45,429	628	26	(145)	45,938	0%
ვადგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	41	222	10	(6)	267	2%
ვადგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	161	9	(11)	159	6%
ვადგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	206	24	(29)	201	13%
ვადგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	813	(180)	633	22%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ განვადება	45,470	1,217	882	(371)	47,198	1%
სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის						
ვადგადაცილების გარეშე	33,397	6,660	3,241	(1,914)	41,384	4%
ვადგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	—	180	113	(71)	222	24%
ვადგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	93	55	(41)	107	28%
ვადგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	112	121	(66)	167	28%
ვადგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	682	(381)	301	56%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	33,397	7,045	4,212	(2,473)	42,181	6%
სალომბარდო სესხები						
ვადგადაცილების გარეშე	—	35,193	312	(91)	35,414	0%
ვადგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	—	332	92	(26)	398	6%
ვადგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	—	77	(22)	55	29%
ვადგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	—	—	—	—	0%
ვადგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	—	—	—	0%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ სალომბარდო სესხები	—	35,525	481	(139)	35,867	0%

ინტეგრირებული ანგარიში 2023

კონსტრუქციული და ინვესტიციური ფინანსური ანგარიშების განმარტებითი მენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ლარში)

	მთლიანი სესხები 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	მთლიანი სესხები მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – არა გაუფასუ- რებული	მთლიანი სესხები მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – გაუფასუ- რებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	წმინდა სესხები	მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ბარალის რეზერვი მთლიან სესხებზე %
იპოთეკური სესხები						
ვადგადაცილების გარეშე	19,743	2,200	422	(316)	22,049	1%
ვადგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	—	54	5	(2)	57	3%
ვადგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	5	—	(2)	3	40%
ვადგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	13	—	(7)	6	54%
ვადგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	24	(14)	10	58%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ იპოთეკური სესხები	19,743	2,272	451	(341)	22,125	2%
სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები	321,265	65,695	14,554	(13,762)	387,752	3%
2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფ- მა შეცვალა მომხმარებლებზე გაცემულ კონკრეტულ სესხებზე სახელშეკრულებო ფუ- ლადი ნაკადები. ყველა ამგვარი სესხი სულ მცირე მე-2 ეტაპზე გადავიდა, რომლის ბარა- ლის რეზერვი შეფასდა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის ოდენობით. შესაბამისად, მე-2 ან მე-3 სტადიიდან 1-ლზე გადასული შეცვლილი სახელ- შეკრულებო ფულადი ნაკადების მქონე სესხები არ არსებობს.						
იჯარებში წმინდა ინვესტიციების საკრედიტო ხარისხი						
ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია იჯარეებში წმინდა ინვესტი- ციების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:						
	ინვესტიცია იჯარეებში 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ბარალი	ინვესტიცია იჯარეებში მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი – არა გაუფასუ- რებული	ინვესტიცია იჯარეებში მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოს- ლოდნელი საკრედიტო ბა- რალი - გაუფა- სურებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ბარალი	წმინდა ინვესტიცია იჯარეებში	მოსალოდ- ნელი სა- კრედიტო ბარალის რეზერვი იჯარეებში ინვესტიციებზე %
ვადგადაცილების გარეშე	9,308	216	277	(95)	9,706	1%
ვადგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	638	73	38	(5)	744	1%
ვადგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	595	64	(7)	652	1%
ვადგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	186	—	(1)	185	1%
ვადგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	1,273	(293)	980	23%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	192	(40)	152	21%
სულ ინვესტიცია იჯარეებში	9,946	1,070	1,844	(441)	12,419	3%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია იჯარებში წმინდა ინვესტიციების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ინვესტიცია იჯარებში 1-ლი სტადია 12- თვიანი მოსალოდ- ნელი საკრედი- ტო ზარალი	ინვესტიცია იჯარებში მე-2 სტადია არსებობის მანძილზე მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი - არა გაუფასუ- რებული	ინვესტიცია იჯარებში მე-3 სტადია არსებობის მანძილზე მოს- ლოდნელი საკრედიტო ზა- რალი - გაუფასუ- რებული	მოსალოდ- ნელი საკრე- დიტო ზარალი	წმინდა ინვესტიცია იჯარებში	მოსალოდ- ნელი სა- კრედიტო ზარალის რეზერვი იჯარებში ინვესტიციებზე %
ვადაგადაცილების გარეშე	8,578	308	—	(105)	8,781	1%
ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღემდე	455	—	—	(6)	449	1%
ვადაგადაცილებული 31-დან 60 დღემდე	—	304	—	(3)	301	1%
ვადაგადაცილებული 61-დან 90 დღემდე	—	170	—	(2)	168	1%
ვადაგადაცილებული 91-დან 180 დღემდე	—	—	239	(97)	142	41%
180 დღეზე მეტი ვადა- გადაცილება	—	—	—	—	—	0%
სულ ინვესტიცია იჯარებში	9,033	782	239	(213)	9,841	2%

უზრუნველყოფის საგნისა და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუ-
ალებების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის ანალიზი, გაუფასურების გამოკლებით:

	2023 წლის 31 დეკემბერი	სასესხო პორტფელის %	2022 წლის 31 დეკემბერი	სასესხო პორტფელის %
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	320,736	74%	290,886	75%
უზრუნველყოფილი სესხები	110,462	26%	96,866	25%
სულ	431,198	100%	387,752	100%

უზრუნველყოფის საგნის ტიპი	2023 წლის 31 დეკემბერი მთლიანი საბალანსო ღირებულება	2023 წლის 31 დეკემბერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2023 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2023 წლის 31 დეკემბერი სამართლიანი ღირებულება
უძრავი ქონება	60,554	(3,196)	57,358	244,510
ძვირფასი ლითონები	18,930	(78)	18,852	21,902
მოძრავი ქონება	35,118	(866)	34,252	73,306
უზრუნველყოფის გარეშე	329,865	(9,129)	320,736	—
სულ	444,467	(13,269)	431,198	339,718

უზრუნველყოფის საგნის ტიპი	2022 წლის 31 დეკემბერი მთლიანი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2022 წლის 31 დეკემბერი საბალანსო ღირებულება	2022 წლის 31 დეკემბერი სამართლიანი ღირებულება
უძრავი ქონება	66,153	(3,377)	62,776	219,936
ძვირფასი ლითონები	16,711	(22)	16,689	19,668
მოძრავი ქონება	17,696	(295)	17,401	32,945
უზრუნველყოფის გარეშე	300,954	(10,068)	290,886	—
სულ	401,514	(13,762)	387,752	272,549

სესხების უზრუნველყოფას მეტწილად უძრავი ქონება, მოძრავი ქონება და ძვირფასი ლი-
თონები წარმოადგენს. ამასთან სესხების უმრავლესობა თავდებობით არის უზრუნველ-
ყოფილი. უზრუნველყოფილი სესხები უმეტესად მოიცავს სალომბარდო, მომსახურების,
სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სესხებს.

მე-3 სტადიის სესხები მეტწილად უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი, თუმცა
პორტფელის გარკვეული ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი.

ხელმძღვანელობის შეფასებით, უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება,
რომელიც სესხის გაცემის თარიღში ფასდება, სულ მცირე შესაბამისი უზრუნველყოფილი
სესხების საბალანსო ღირებულებას უტოლდება, 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბ-
რის მდგომარეობით, ზედმეტი თავდებობის ეფექტის გამოკლებით. დაბალი სესხის უზ-
რუნველყოფის კოეფიციენტის გამო, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ შესაძლო ნე-
გატიურ მოძრაობას საბაზრო ფასებში მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სესხების ანაზ-
ღაურებაზე.

ფიზიკური პირებისგან მიღებული თავდებობები არ გათვალისწინდება გაუფასურების
შეფასების მიზნებისთვის. შესაბამისად, ასეთი სესხები და ნაწილობრივ უზრუნველ-
ყოფილი დავალიანებების არაუზრუნველყოფილი ნაწილი წარმოდგენილია, როგორც
სესხები უზრუნველყოფის გარეშე.

დასაკუთრებული აქტივები სხვა აქტივებშია წარმოდგენილი. იხილეთ მე-19 შენიშვნა.

უზრუნველყოფის საგნის და სხვა კრედიტის ზრდის არარსებობის პირობებში, მოსალოდ-
ნელი საკრედიტო ზარალი მე-3 სტადიის იჯარებში წმინდა ინვესტიციებთან მიმართე-
ბით, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,483 ათასი
ლარითა და 178 ათასი ლარით მაღალი იქნებოდა, შესაბამისად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი
ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის
გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და
სხვა საფასო რისკებს. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების
ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის
ცვლილების დინამიკები და ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების დონეში.

საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღე-
ბი პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, რისკზე უკუგების ოპტიმიზაციის გზით.

საბაზრო რისკზე მთლიანი უფლებამოსილება ვრცელდება აქტივ-პასივების კომიტეტზე.

ჯგუფი თავის საბაზრო რისკს მართავს ღია პოზიციის ლიმიტების დაწესებით ფინანსური
ინსტრუმენტებისთვის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო პოზიციებისთვის. ისი-
ნი რეგულარულად გაკონტროლდება და გადაიხედება აღმასრულებელი საბჭოს მიერ,
რაც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სა-
მომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება ბაზრის
საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და
ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების
დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გა-
იზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი
მერყეობის შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთების გეპ-ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ძირითადად ხდება საპროცენტო განაკვეთების გეპების მონიტორინგით. საპროცენტო ინტერვალის პოზიციის მიმოხილვა წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთის მიღების თარიღსა და ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადას შორის უმცირესით:

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 თვე	5 წელზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებუ- ლება
2023 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	305	—	—	—	—	7,948	8,253
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	123	221	472	—	—	—	816
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	90,811	56,046	100,658	181,287	2,396	—	431,198
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	2,345	2,346	4,692	3,036	—	—	12,419
სხვა ფინანსური აქტივები	—	—	—	—	—	5,036	5,036
	93,584	58,613	105,822	184,323	2,396	12,984	457,722

ვალდებულებები

გადასახდელი დივიდენდები	—	997	—	—	—	—	997
თამასუქები	473	540	317	—	—	—	1,330
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,406	—	—	—	—	—	26,406
ნასესხები სახსრები	222,228	15,032	24,430	70,613	—	—	332,303
სუბორდინირებული ვალი	149	154	2,671	10,687	3,206	—	16,867
საიჯარო ვალდებულება	1,157	856	1,658	5,952	66	—	9,689
სხვა ფინანსური ვალდებულებები	—	—	—	—	—	13,659	13,659
	250,413	17,579	29,076	87,252	3,272	13,659	401,251

საპროცენტო მგრძნობელობის გეპი **(156,829)** **41,034** **76,746** **97,071** **(876)** **(675)**

კუმულაციური საპროცენტო მგრძნობელობის გეპი **(156,829)** **(115,795)** **(39,049)** **58,022** **57,146** **56,471**

	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 თვე	5 წელზე მეტი	უპროცენტო	საბალანსო ღირებუ- ლება
2022 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,051	—	—	—	—	21,761	27,812
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	97,298	46,808	83,835	157,477	2,334	—	387,752
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	68	142	747	8,804	80	—	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	—	—	—	—	—	4,423	4,423
	103,417	46,950	84,582	166,281	2,414	26,184	429,828

ვალდებულებები

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	—	—	8,032	—	—	—	8,032
გადასახდელი დივიდენდები	—	—	997	—	—	—	997
ნასესხები სახსრები	73,146	29,974	65,930	173,873	—	—	342,576
სუბორდინირებული ვალი	—	156	—	13,420	—	—	13,576
საიჯარო ვალდებულება	863	879	1,611	4,565	203	—	8,121
სხვა ფინანსური ვალდებულებები	—	—	—	—	—	12,484	12,484
	74,009	31,009	76,570	191,858	203	12,484	386,133

საპროცენტო მგრძნობელობის გეპი **29,408** **15,941** **8,012** **(25,577)** **2,211** **13,700**

კუმულაციური საპროცენტო მგრძნობელობის გეპი **29,408** **45,349** **53,361** **27,784** **29,995** **43,695**

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები მიახლოებულია ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადამდე მიღებულ შემოსავალთან.

	2023		2022	
	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %		ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვი-ვალენტები	5.69%	1.00%	5.53%	1.00%
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	35.54%	18.73%	34.89%	18.80%
წმინდა ინვესტიცია იჯარებში	38.63%	—	37.97%	—
საპროცენტო სარგებლის მქონე ვალდებულებები				
თამასუქები	13.75%	6.37%	—	—
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15.57%	—	—	—
ნასესხები სახსრები	13.46%	6.61%	15.59%	5.89%
სუბორდინირებული ვალი	—	8.83%	—	8.53%

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვას შიდა განაკვეთის გეპ-ანალიზის საფუძველზე ემატება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის მონიტორინგი. წმინდა მოგების საპროცენტო განაკვეთების მერყეობის (გადაფასების რისკი) მიმართ მგრძნობელობის ანალიზი, 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებისა და ვალდებულებების შე-მოსავლიანობის მრუდისა და პოზიციების 100 საბაზისო პუნქტით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარზე დაყრდნობით, ასეთია:

	2023	2022
პარალელური ვარდნა 100 საბაზისო პუნქტით	739	(320)
პარალელური ზრდა 100 საბაზისო პუნქტით	(739)	320

ჯგუფის ნასესხები სახსრების ნაწილს მცოცავი სავალუტო კურსი აქვთ, რომელიც უკავშირდება სებ-ის რეფინანსირების, TIBR და SOFR განაკვეთებს. სესხის განაკვეთები შესაძლოა შეიცვალოს სესხების განახლებისას. შესაბამისად, ჯგუფის მიზანია სასურ-ველი ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხის დაფინანსება მიიღოს დაფინანსების მხრიდან გადაფასების რისკის შესამცირებლად.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა წარმოადგენს საპროცენტო განაკვე-თებში ნავარაუდევო ცვლილებების ეფექტს ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსა-ვალზე, 31 დეკემბერს ფლობილი ფინანსური ვალდებულებების მცოცავი სავალუტო კურ-სის საფუძველზე:

ვალუტა	2023	2022
ლარი (+1%/ 1%)	2,406 / (2,406)	2,039 / (2,039)
აშშ დოლარი (+1/ 1%)	30 / (30)	115 / (115)

სავალუტო რისკი

ჯგუფი ფლობს რამდენიმე სხვადასხვა ვალუტაში გამოხატულ აქტივებს და ვალდე-ბულებებს.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. რადგან ჯგუფი ახდენს თავისი სავალუტო რისკის ზომის ჰეჯირებას კომპენსაციური სესხების გამოყენებით, რომლებიც წარმოებულ ინსტრუმენტებად არის კლასიფიცირებული (იხილეთ მე-13 შენიშვნა), ამგვარი აქტივობები არ წარმოადგენს ჰეჯირების ურთიერთობებს ფასს (IFRS) სტანდარტების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური ვალუტის რისკის ზომის სტრუქტურა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო	აშშ დოლარი	სხვა	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,175	1,566	247	2,988
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	—	83	—	83
სხვა ფინანსური აქტივები	131	170	—	301
სულ აქტივები	1,306	1,819	247	3,372
ვალდებულებები				
თამასუქები	—	1,107	—	1,107
ნასესხები სახსრები	—	113,539	—	113,539
სუბორდინირებული ვალი	—	16,867	—	16,867
საიჯარო ვალდებულება	—	7,497	—	7,497
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1	4	—	5
სულ ვალდებულებები	1	139,014	—	139,015
წმინდა პოზიცია	1,305	(137,195)	247	(135,643)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(1,279)	139,480	(1,626)	136,575
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობი-ლი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	26	2,285	(1,379)	932

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების უცხოური ვალუტის რისკის ზომის სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო	აშშ დოლარი	სხვა	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5,017	8,497	591	14,105
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	—	317	—	317
სხვა ფინანსური აქტივები	11	622	—	633
სულ აქტივები	5,028	9,436	591	15,055

ვალდებულებები

ნასესხები სახსრები	—	130,968	—	130,968
სუბორდინირებული ვალი	—	13,576	—	13,576
საიჯარო ვალდებულება	—	6,783	—	6,783
სხვა ფინანსური ვალდებულებები	—	43	—	43
სულ ვალდებულებები	—	151,370	—	151,370

წმინდა პოზიცია 5,028 (141,934) 591 (136,315)

რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი (2,162) 136,992 — 134,830

წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ 2,866 (4,942) 591 (1,485)

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღის სპოტ-კურსი	
	2023	2022	2023	2022
1 აშშ დოლარი	2.6279	2.9156	2.6894	2.7020
1 ევრო	2.8416	3.0792	2.9753	2.8844

ლარის გაუფასურებას, ქვემოთ მითითებული ფორმით, შემდეგ ვალუტებთან მიმართებით, 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს, მოჰყვებოდა მოგება-ზარალის ზრდა (შემცირება) ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ეს ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გარეშე საფუძვლის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც ჯგუფის აზრით მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

	2023	2022
აშშ დოლარის 10%-იანი აფასება ლართან მიმართებით	183	(420)
ევროს 10%-იანი აფასება ლართან მიმართებით	2	244

ლარის გამყარებას ზემოთ მითითებული ვალუტების მიმართ 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს თანაბარი უკუ-ეფექტი ექნებოდა ზემოთ მითითებულ ვალუტებზე, ზემოთ ნაჩვენები თანხებით, ყველა სხვა ცვლადი მონაცემის უცვლელად შენარჩუნების საფუძველზე.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შესაბამისობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდობის მართვისთვის. სრული შესაბამისობა საფინანსო დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შესაბამის პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ჯგუფი ახორციელებს ლიკვიდობის მართვას ფონდებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერ დროს, რათა მოხდეს ვადადამდგარი ყველა სახის ფულადი ვალდებულების გათვალისწინება. ლიკვიდობის პოლიტიკას გადახედავენ და ამტკიცებენ აღმასრულებელი და სამეთვალყურეო საბჭოები.

ჯგუფი უზრუნველყოფს დივერსიფიცირებული და სტაბილური ფინანსირების აქტიურ მხარდაჭერას სხვა ბანკებიდან და საფინანსო დაწესებულებებიდან მოკლე და გრძელ ვადიანი სესხების მიღების გზით, რასაც თან სდევს მაღალი ლიკვიდობის აქტივების დივერსიფიცირებული პორტფელები, იმისათვის, რომ მოხდეს სწრაფი და შეუფერხებელი რეაგირება ლიკვიდობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე.

ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- მოსალოდნელი ფინანსური ნაკადის პროგნოზირებას ძირითადი ვალუტების შესაბამისად და ლიკვიდური აქტივების საჭირო დონის გათვალისწინებას მასთან ურთიერთობაში;
- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსების შენარჩუნებას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სასესხო კაპიტალის მოზიდვის გეგმის შენარჩუნებას;
- ლიკვიდობის შენარჩუნებასა და გაუთვალისწინებელ ვითარებაში სამოქმედო გეგმის დაფინანსებას.

ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური დეპარტამენტი და აქტივ-პასივების კომიტეტი. ბაზრის ნორმალურ პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდობის პოზიციის შესახებ კვირაში ერთხელ წარედგინება ხელმძღვანელობის რისკების მართვის კომიტეტს. ლიკვიდობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებს აქტივ-პასივების კომიტეტი და ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი.

ჯგუფი თავისი ლიკვიდობის მონიტორინგის მიზნით განსაზღვრავს კონკრეტულ ლიმიტებს და ადრეულ ინდიკატორებს, წინასწარ განსაზღვრავს და დააფიქსირებს პოტენციურ შემთხვევებს და დროულად მოქმედებს მათზე დაყრდნობით. ბანკთაშორისი დამოკიდებულების კოეფიციენტის მონიტორინგი, როდესაც ბანკების წინაშე ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივად დადგენილ ლიმიტს, და სამთვლიანი ლიკვიდობის ჰორიზონტის უზრუნველყოფა, როდესაც ხელმისაწვდომი ლიკვიდური სახსრები საკმარისი უნდა იყოს მომდევნო 3 თვის ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ რამდენიმე მათგანია. ამასთან, ჯგუფი აკმაყოფილებს მარეგულირებლის ლიკვიდობის განაკვეთს, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, როგორც საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო დაქვითვების შემდგომ მთლიან ვალდებულებებთან ფარდობას, რაც, სულ მცირე, 18%-ს უნდა შეადგენდეს.

ქვემოთ მოცემული ცხრილები აჩვენებს ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათი ყველაზე შესაძლო სახელშეკრულებო დაფარვის ვადების საფუძველზე. მთლიანი შემომაგალი და გამავალი ნაკადები, რომლებიც ცხრილებშია მოცემული, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გასვლა	საბალანსო ღირებუ- ლება
ფინანსური ვალდებულებები							
გადასახდელი დივიდენ- დები	—	—	997	—	—	997	997
თამასუქები	473	5	547	323	—	1,348	1,330
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	—	1,560	—	1,990	26,902	30,452	26,406
ნასესხები სახსრები	1,751	32,547	44,340	126,961	163,974	369,573	332,303
სუბორდინირებული ვალი	149	—	154	3,379	17,191	20,873	16,867
საიჯარო ვალდებულება	356	700	1,032	1,969	6,693	10,750	9,689
სხვა ფინანსური ვალდე- ბულებები	11,099	—	—	2,560	—	13,659	13,659
სულ ფინანსური ვალდე- ბულებები	13,828	34,812	47,070	137,182	214,760	447,652	401,251

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გასვლა	საბალანსო ღირებუ- ლება
ფინანსური ვალდებულებები							
სამართლიანი ღირებუ- ლებით შეფასებული ფინანსური ვალდებუ- ლებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	—	—	—	8,032	—	8,032	8,032
გადასახდელი დივიდენ- დები	—	—	—	997	—	997	997
ნასესხები სახსრები	8,339	69,636	36,896	78,087	202,482	395,440	342,923
სუბორდინირებული ვალი	—	—	553	559	16,371	17,483	13,576
საიჯარო ვალდებულება	338	676	1,014	1,834	5,255	9,117	8,121
სხვა ფინანსური ვალდე- ბულებები	9,841	15	—	2,575	53	12,484	12,484
სულ ფინანსური ვალდე- ბულებები	18,518	70,327	38,463	92,084	224,161	443,553	386,133

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	ვადაგადა- ცილება	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,253	—	—	—	—	—	8,253
სამართლიანი ღირე- ბულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	112	693	—	—	—	816
მომხმარებლებზე გაცე- მული სესხები	42,504	40,403	156,704	181,287	2,396	7,904	431,198
წმინდა ინვესტიცია იჯა- რებში	782	1,564	6,478	3,036	—	559	12,419
სხვა ფინანსური აქტივები	3,123	3	70	1,797	9	34	5,036
სულ აქტივები	54,673	42,082	163,945	186,120	2,405	8,497	457,722
პასივობები							
გადასახდელი დივიდენ- დები	—	—	997	—	—	—	997
თამასუქები	473	—	857	—	—	—	1,330
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	—	1,558	—	24,848	—	—	26,406
ნასესხები სახსრები	1,750	32,062	155,218	143,273	—	—	332,303
სუბორდინირებული ვალი	149	—	2,826	10,686	3,206	—	16,867
საიჯარო ვალდებულება	583	574	2,514	5,952	66	—	9,689
სხვა ფინანსური ვალდე- ბულებები	11,099	—	2,560	—	—	—	13,659
სულ ვალდებულებები	14,054	34,194	164,972	184,759	3,272	—	401,251
წმინდა პოზიცია	40,619	7,888	(1,027)	1,361	(867)	8,497	56,471

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	ვადაგადა- ცილება	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27,812	—	—	—	—	—	27,812
მომხმარებლებზე გაცე- მული სესხები	54,742	35,109	130,643	157,477	2,334	7,447	387,752
წმინდა ინვესტიცია იჯა- რებში	611	1,223	4,442	2,505	—	1,060	9,841
სხვა ფინანსური აქტივები	2,234	1	50	1,564	493	81	4,423
სულ აქტივები	85,399	36,333	135,135	161,546	2,827	8,588	429,828

ვალდებულებები

სამართლიანი ღირე- ბელებით შეფასებული ფინანსური ვალდებუ- ლებები მოგებაში ან ზა- რალში ასახვით	—	—	8,032	—	—	—	8,032
გადასახდელი დივიდენ- დები	—	—	997	—	—	—	997
ნასესხები სახსრები	7,402	65,744	95,904	173,873	—	—	342,923
სუბორდინირებული ვალი	—	—	156	13,420	—	—	13,576
საიჯარო ვალდებულება	284	579	2,490	4,565	203	—	8,121
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,841	15	2,575	53	—	—	12,484
სულ ვალდებულებები	17,527	66,338	110,154	191,911	203	—	386,133
წმინდა პოზიცია	67,872	(30,005)	24,981	(30,365)	2,624	8,588	43,695

გეოგრაფიული რისკი

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი საქართველოშია განთავსებული და მისი ბიზნეს-გეგმები მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის სტაბილურობასა და წესს. საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლების ჩვენებას. როგორც ასეთი, ჯგუფი ექვემდებარება ქვეყანაში საქმიანი ან სამართლებრივი გარემოს გაუარესებას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს 210,609 ათასი ლარის, 146,940 ათასი ლარისა და 20,357 ათასი ლარის ოდენობით ნასესხებ სახსრებს (მათ შორის სუბორდინირებულ ვალს, გაცემულ სავალო ფასიან ქაღალდებსა და თამასუქებს), რომლებიც მიღებულია ევროპაში, საქართველოსა და აშშ-ში რეგისტრირებული კონტრაჰენტებისგან (შესაბამისად). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს 228,008 ათასი ლარის, 102,725 ათასი ლარისა და 25,766 ათასი ლარის ოდენობით ნასესხებ სახსრებს (მათ შორის სუბორდინირებულ ვალს), რომლებიც მიღებულია ევროპაში, საქართველოსა და აშშ-ში რეგისტრირებული კონტრაჰენტებისგან (შესაბამისად).

31. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფს მიღებული აქვს შემდეგი დაფინანსება:

- < 25,700 ათასი ლარის, 9,000 ათასი აშშ დოლარისა და 6,000 ათასი ევროს ოდენობით ნასესხები სახსრები სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისა და ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან;
- < 2,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სუბორდინირებული სესხი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებისგან, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს ჯგუფის საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის პოზიციას;
- < თამასუქები ჯამურად 3,600 ათასი ლარის ეკვივალენტის ოდენობით, ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან.

2024 წლის მარტის თვეში, ჯგუფის დირექტორთა საბჭოს ლაშა ყანჩაველი შემოუერთდა, უფროსი საინფორმაციო ოფიცრის სახით.

დანართები



შინაარსი:

თავმჯდომარის განცხადება	3
სოციალური გავლენის კვლევის მიზანი	5
კვლევის მეთოდი	6
კრისტალი – ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშის შეჯამება — 60_Decibels	8
თვისობრივი კვლევა და ძირითადი მიგნებები	13
თემატური ბლოკი 1: ქალი მენარმეების მენტორინგი, RCT კვლევა	19
თემატური ბლოკი 2: გენდერული ობლიგაციები	22
კოპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები	25
გარემოზე ზეგავლენა	26
„კრისტალის“ კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან	27
მომავლის გეგმები	29



ადამიანები
რისხვებს
მიღმა

<https://ir.crystal.ge/>

3

სოციალური გავლენის ანგარიში – 2023



თავმჯდომარის განცხადება

არჩილ ბაკრაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

კრისტალის 25 წლის იუბილის აღნიშვნასთან ერთად, გვაქვს პატივი დაინტერესებულ მხარეებს გავაცნოთ კრისტალის 2022 წლის სოციალური გავლენის ანგარიში.

კრისტალში მტკიცედ გვჯერა, რომ ადამიანებზე ორიენტირებულ ფინანსურ სერვისებს უნარი შესწევთ უკეთესობისკენ შეცვალონ ოჯახებისა და ადგილობრივი თემების ცხოვრება. ჩვენი მისიაა ხელი შევუწყოთ ფინანსურ ჩართულობას, რაც უფრო თანასწორი, სამართლიანი და ინკლუზიური ეკონომიკის შექმნისათვის აუცილებელი პირობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენ მკაფიოდ განვსაზღვრეთ სოციალური მიზნები და დავერგეთ სოციალური გავლენის მართვის ეფექტური სისტემა, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენი გავლენა და ტექნოლოგიები მაქსიმალურად მოვახმაროთ მომხმარებელთა კეთილდღეობას.

ეს ანგარიში ერთობლივი ძალისხმევით შედგება, რომლის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ ჩვენი კოლეგები კრისტალიდან, სამეთვალყურეო საბჭოს გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტი და ჩვენი ძვირფასი პარტნიორები.

პირველად შედგა ჩვენი თანამშრომლობა 60_დეციბელთან (60_Decibels), რომელმაც დამოუკიდებელი რაოდენობრივი კვლევის ჩატარებით, საშუალება მოგვცა შეგვედარებინა კრისტალის შედეგები მსოფლიოს 120+ მიკროსაფინანსო კომპანიასთან. გვსურს მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მრავალწლიან პარტნიორს — პროპარკოს, რომელმაც დააფინანსა თანამშრომლობა 60_Decibels-თან.

60_Decibels-ის რაოდენობრივი კვლევის პარალელურად ჩვენ ჩავატარეთ თვისობრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუებით და ფოკუს ჯგუფებით, იმ ძირითად რეგიონებში, სადაც კრისტალი ოპერირებს. წელს, განსაკუთრებული ყურადღება იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე არსებულ გამოწვევებზე გავამახვილეთ. დაინტერესებული მხარეებისთვის კარგად ცნობილია კრისტალის ისტორიული ჩართულობა იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერისა და პრობლემის მოგვარების საქმეში. ჩვენმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა მყისიერი რეაგირება მოგვეხდინა უკრაინელ დევნილთა პრობლემებზე და შეგვეთავაზებინა მათ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური პროდუქტები, მიკრო და მცირე ბიზნესის დასაწყებად საქართველოში.

სხვა მიღწევებთან ერთად, კრისტალმა რეგიონში პირველი გენდერული ობლიგაცია გამოუშვა, კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) რეკომენდაციების შესაბამისად. აღნიშნული მიღწევა დიდწილად აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით შედგა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დახმარებით ჩვენ შევძელით მიგვეღო საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს Scope-ის შეფასება, რომელმაც ჩვენს სტრატეგიას, სისტემებსა და ბიზნეს პროცესებს უმაღლესი რეიტინგი მიანიჭა და დაადასტურა ჩვენი მზადყოფნა წვლილი შევიტანოთ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში.

ვამაყოფთ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მომსახურებისას, ინოვაციების წინა ხაზზე ვდგავართ. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ქალებისა და ახალგაზრდა მენარმეების მხარდაჭერის პროგრამის — „USAID YES – Georgia“-ს მხარდაჭერით, კრისტალმა დაწერა არაფინანსური სერვისები, როგორიცაა კონსულტაცია, მენტორინგი და ტექნოლოგიური განვითარება დამწყები მენარმე ქალებისთვის, რომლებსაც დიდი პოტენციალი აქვთ, თავიანთი საქმიანობა წარმატებულ მცირე და საშუალო ბიზნესებად

<https://ir.crystal.ge/>

4

სოციალური გავლენის ანგარიში – 2023

აქციონ. ჩვენ წარმოგიდგენთ კრისტალ კონსალტინგის შემთხვევითად შერჩეული ქალი მენარმეების კვლევის (Randomized Control Trial — RCT) შედეგებს, რომლებიც გვაძლევს უფრო სიღრმისეულ სურათს, იმაზე, თუ რა გავლენა აქვს არაფინანსურ სერვისებს მათი საქმიანობის ზრდაზე. აღნიშნულის გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ახლა, როცა საბანკო ლიცენზიის მოპოვებასა და მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტზე შესვლას ვგეგმავთ, რაც საშუალებას მოგვცემს უნიკალური როლი ვითამაშოთ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის გაძლიერებაში.

ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი მომავლის მიმართ და მიგვაჩნია, რომ საბანკო ლიცენზიის მოპოვება საშუალებას მოგვცემს უკეთ შევასრულოთ ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციის როლი და აღმოვფხვრათ წლევანდელ შეფასებაში გამოვლენილი ხარვეზები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ტაქსონომია ბანკებისთვის ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი ხდება.

კრისტალის დიდი გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ და დავხვეწოთ ეკონომიკური განვითარების კლიმატგონივრული მოდელები საყოფაცხოვრებო თუ მცირე და საშუალო ბიზნესის დონეზე, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროექტების საშუალებით.

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს აქციონერებს, ინვესტორებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, ჩვენს მმართველ გუნდსა და კრისტალის მთელ კოლექტივს, ასევე ჩვენს გამორჩეულ პარტნიორებს.

გთხოვთ, თვალყური ადევნოთ შემდგომ სიახლეებს კრისტალისაგან. ჩვენ ვგეგმავთ კიდევ უფრო გავაძლიეროთ გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულება, რათა ღირსეულად დავიმკვიდროთ სტაბილური და მდგრადი ბანკის სახელი.

ეს ანგარიში უმჯობესია ნაიკითხოთ 2022 წლის წლიურ ანგარიშთან და კრისტალის მდგრადი განვითარების პოლიტიკასთან ერთად.

კრისტალის მისიბა გააძლიეროს მენარმეები კაპიტალით, ცოდნითა და უნარებით, რაც მათ შესაძლებლობების კეთილდღეობად გარდაქმნის საშუალებას მისცემს. ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების, ცოდნის, ტექნოლოგიებისა და უნარების გაზრდილი ხელმისაწვდომობის წყალობით, კრისტალი საშუალებას მისცემს ქართველ მენარმეებსა და ფიზიკურ პირებს შექმნან სამუშაო ადგილები ეკონომიკაში, გაზარდონ აქტივები და გააუმჯობესონ ცხოვრების დონე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კრისტალის ხმდვბა გახდეს წამყვანი ბანკი, რომელიც მოემსახურება მიკრო და მცირე მენარმეების სეგმენტებს, კომერციული საქმიანობისა და სოციალური/გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვით.

კრისტალის, როგორც ბრენდის დაპირებას, საქმიანობა წარმართოს როგორც სანდო პარტნიორმა, უზრუნველყოს ბიზნესი თუ ინდივიდუალურ მომხმარებელი შესაძლებლობით დაიწყოს ახალი ან განავითაროს არსებული საქმიანობა, გააუმჯობესოს საარსებო წყარო და ააშენოს უკეთესი მომავალი საკუთარი ოჯახისა და საზოგადოებისათვის.



სოციალური გავლენის კვლევის მიზანი



დამოუკიდებელი კომპანიის 60_Decibels მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა „კრისტალის“ საქმიანობის მის მომხმარებლებზე სოციალური გავლენის შეფასება, კერძოდ იმის დადგენა თუ რა შეიცვალა მას შემდეგ რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მონსახურებით დაიწყო სარგებლობა.

ამისთვის გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევა, რომელმაც შეაფასა გავლენის 6 მხარე:

1. ხელმისაწვდომობა;
2. გავლენა ბიზნესზე;
3. გავლენა შინამეურნეობაზე;
4. მომხმარებლების უფლებების დაცვა;
5. მედეგობა;
6. თავდაჯერებულობა.

შედეგების დეტალური ინტერპრეტაციის მიზნით „კრისტალის“ მარკეტინგის დეპარტამენტმა ჩაატარა თვისებრივი კვლევა, რომელშიც განსაკუთრებული ფოკუსი გაკეთდა იძულებით გადაადგილებულ მომხმარებლებზე, რათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე დაგვეჩვენა მათი სპეციფიკური საჭიროებები და შეგვეფასებინა კომპანიის სოციალური გავლენა აღნიშნულ ჯგუფზე.

კვლევის მეთოდი

კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე შეირჩა თვისებრივი კვლევის როგორც სიღრმისეული ინტერვიუების, ისე ფოკუს ჯგუფის მეთოდი და რაოდენობრივი კვლევის სატელეფონო გამოკითხვის ტექნიკა.

ფოკუს ჯგუფების დიზაინი:

- სამიზნე სეგმენტი:
 - I ჯგუფი- „კრისტალის“ ადგილობრივი მომხმარებლები;
 - II ჯგუფი- „კრისტალის“ დევნილი მომხმარებლები;
- კვლევის არეალი — თბილისი, ქუთაისი, გორი, ზუგდიდი;
- შერჩევის მეთოდი — მიზნობრივი;
- ფოკუსური დისკუსიების რაოდენობა — 4;
- რესპონდენტთა საერთო რაოდენობა — 22;
- ინტერვიუს ფორმატი — ფიზიკური გარემო;
- ხანგრძლივობა — 90 წთ.

სიღრმისეული ინტერვიუების დიზაინი:

- სამიზნე სეგმენტი:
 - „კრისტალის“ ადგილობრივი მომხმარებლები;
 - „კრისტალის“ დევნილი მომხმარებლები;
- კვლევის არეალი — სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში რეგიონებში თითო-თითო ინტერვიუ ჩატარდა;
- შერჩევის მეთოდი — მიზნობრივი;
- ინტერვიუების რაოდენობა — სულ ჩატარდა 10 ინტერვიუ;
- ინტერვიუს ფორმატი — ინდივიდუალური ინტერვიუ ZOOM-ის და TEAMS-ის გამოყენებით;
- ხანგრძლივობა — 30-50 წთ.

რესპონდენტთა დემოგრაფიული პროფილი:

სქესი	
ქალი	19
კაცი	13
ასაკი	
18-30 წლის	5
31-45 წლის	15
46+ წლის	12
სტატუსი	
ადგილობრივი	15
დევნილი	17
დასაქმების ტიპი	
დასაქმებული	9
თვითდასაქმებული	21
სულ	32

<https://ir.crystal.ge/>

6

Sustainability Report 2023

რესპონდენტთა სამომხმარებლო პროფილი:

სქესის მოცულობა	
2000-მდე ლარი	12
2001-20.000 ლარი	16
20.001+ ლარი	4
სქესის ტიპი	
აგრო სესხები	7
განვადება	3
მიკრო ბიზნეს სესხები	9
სამომხმარებლო	9
ჰაუსინგი	4
სულ	32

რაოდენობრივი კვლევის დიზაინი:

- სამიზნე სეგმენტი — „კრისტალის“ აქტიური მომხმარებლები;
- კვლევის ტექნიკა — სატელეფონო გამოკითხვის ტექნიკა;
- ინტერვიუს რაოდენობა — 288 დასრულებული ინტერვიუ;
- კვლევის არეალი — საქართველო;
- შერჩევის მეთოდი — შემთხვევითი შერჩევის მეთოდი;
- ინტერვიუების ხანგრძლივობა — 15 წუთი;
- კვლევის ცდომილება — 5%.

	შერჩევითი ერთობლიობა	გენერალური ერთობლიობა
სქესი		
ქალი	58%	59%
კაცი	42%	41%
ასაკი		
18-30 წლის	15%	9%
31-40 წლის	26%	21%
41-50 წლის	24%	30%
51+ წლის	36%	31%
დაუმზესტებელი		9%

<https://ir.crystal.ge/>

7

სოციალური გავლენის ანგარიში – 2023

კრისტალი – ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშის შეჯამება — 60_Decibels

https://ir.crystal.ge/

8

2023 წლის მფარველობის ანგარიში

შედეგების შეჯამება

კრისტალი

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კომპანიის საქმიანობის შეჯამება ფინანსური ინკლუზიის ექვსი განზომილების მიხედვით: ხელმისაწვდომობა, გავლენა ბიზნესზე, გავლენა შინამეურნეობაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, მედეგობა და თავდაჯერებულობა.

გავლენის განმარტება

60 დეციბელი ზომავს შედეგებს 6 განზომილების მიხედვით, რომელთა შეჯამება წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელმისაწვდომობა	ზომავს, თუ რამდენად ემსახურება კრისტალი სერვისებს მიღმა დარჩენილ მოსახლეობას, როგორ კონკურენტულ გარემოში ოპერირებს, რამდენად ემსახურება ნაკლებად შემოსავლიან მომხმარებლებს.
გავლენა ბიზნესზე	ზომავს კრისტალის გავლენას კლიენტების უნარზე, მიიღონ შემოსავალი თავიანთი ბიზნესიდან და დაასაქმონ სხვები.
გავლენა შინამეურნეობაზე	ზომავს კრისტალის გავლენას კლიენტების ცხოვრების ხარისხსა და მათ უნარზე ინვესტირება გააკეთონ და დაფარონ საყოფაცხოვრებო ხარჯები.
მომხმარებელთა უფლებების დაცვა	ზომავს, თუ რამდენად ხდება სესხის აღებაზე კლიენტების ინფორმირება სესხის პირობების შესახებ. ასევე თუ რა გავლენას ახდენს კრისტალი მათ უნარზე მართონ თავიანთი ფინანსები.
მედეგობა	ზომავს, თუ რამდენად არიან კლიენტები ფინანსურად მზად მოულოდნელი ფინანსური შოკებისთვის და თუ რა გავლენა აქვს კრისტალის ამგვარ მზაობაზე ასევე, თუ რამდენად უხდებათ კლიენტებს მსხვერპლის გაღება სესხთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.
თავდაჯერებულობა	ზომავს კრისტალის გავლენას კლიენტების თავდაჯერებულობაზე, კლიენტების უნარზე მიიღონ ფულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, ასევე მათ უნარზე მიაღწიონ ფინანსურ მიზნებს.

60_decibels

2

კრისტალი – ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშის შეჯამება — 60_Decibels

https://ir.crystal.ge/

9

2023 წლის მფარველობის ანგარიში

შედეგების შეჯამება

კრისტალი

კრისტალი
საქართველო

კლიენტების
58%
არიან ქალები

\$2,957
სესხის საშუალო
მოცულობა


4 წელი
კლიენტთან ურთიერ-
ობის საშუალო პერიოდი

35%-ს
აქვს განვადება




ხელმისაწვდომობა

- კარგ ალტერნატივაზე წვდომის არარსებობა
- სესხზე წვდომა პირველად



ბიზნესზე გავლენა



”

სესხით გაგარემონტე ჩემი სახლი, ასევე შევიძინე საცხოვრებელი ჩემი ქალიშვილისთვის.“
– მამაკაცი, 63 წლის

”

კმაყოფილი ვარ მომსახურებით, ასევე ვახერხებ პროცენტის დაფარვას.“
– მამაკაცი, 23 წლის

60_decibels

2

კრისტალი – ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშის შეჯამება — 60_Decibels

https://ir.crystal.ge/

10

2023 წლის მეგრადობის ანგარიში


შედეგების შეჯამება

კრისტალი




გავლენა საცხოვრებელ პირობებზე

% — ძალიან გაიზარდა/გაუმჯობესდა



მომხმარებელთა დაცვა

■ ამბობს, რომ გადახდა არ წარმოადგენს „ტვირთს“
■ არასოდეს უწევს საკვებზე ხარჯის მოკლება სესხის გადასახდელად



91% „ცალსახად ეთანხმება“, რომ საკომისიოები, განაკვეთები და ჯარიმები მართლაც გასაგები და ნათელია

100% არასოდეს გადაუხდია მისთვის „მოულოდნელი“ საკომისიო

5% მნიშვნელოვნად შემცირდა ფინანსებზე დარდში დახარჯული დრო



მდგრადობა

27%

ამბობს, რომ კრისტალის წყალობით მდგრადობა „მნიშვნელოვნად“ გაიზარდა

2%

ამბობს, რომ მათი დანაზოგი მნიშვნელოვნად გაიზარდა


21%

ამბობს, რომ ფინანსების მართვის კუთხით მათი უნარები „მნიშვნელოვნად“ გაიზარდა



შესაძლებლობები

% მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა/გაიზარდა



”

მომწონს ის ფაქტი, რომ სესხის ოფიცირი მასხენებს გადახდის თარიღს, რათა მხედველობიდან არასოდეს გამომრჩეს სესხის დაფარვა.“

– ქალბატონი, 38 წლის.

კრისტალი – ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშის შეჯამება — 60_Decibels

https://ir.crystal.ge/

11

2023 წლის მეგრადობის ანგარიში

შედეგების შეჯამება

კრისტალი

კრისტალის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია

კრისტალის საქმიანობა შედარებულია 60 დეციბალის საორიენტაციო ნიშნულთან, რომლებიც ყვრდნობა 122 მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და 36,236 კლიენტის მონაცემებს.

●○○○○ შვედა 20%
●●○○○ შვედა 40%
●●●○○ საშუალო
●●●●● ზედა 40%
●●●●● ზედა 20%

ინდიკატორი	აღწერა	კრისტალი	60 ძხ MFO ნიშნული	შედეგები ნიშნულთან მიმართებაში
ხელმისაწვდომობა				
პირველადი წვდომა	% — პირველად წვდომა	45%	57%	●●○○○
ალტერნატივები	% — კარგ ალტერნატივებზე წვდომის არქონა	55%	57%	●●●○○
თანაბარი წვდომა	ინკლუზიურობის კოეფიციენტი	-	0.64	-
გავლენა ბიზნესზე				
შემოსავალი	% — შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა	12%	23%	●●○○○
დასაქმება	% — გაიზარდა ანაზღაურებადი თანამშრომლების რაოდენობა	5%	9%	●●○○○
გავლენა შინამეურნეობაზე				
ცხოვრების ხარისხი	% — მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცხოვრების ხარისხი	26%	32%	●●○○○
სახლის გაუმჯობესება	% — მნიშვნელოვნად გაიზარდა სახლის გაუმჯობესებაზე დანახარჯები	4%	14%	●○○○○
განათლება	% — მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლებაზე გაწეული დანახარჯები	0%	12%	●○○○○
ჯანდაცვა	% — მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები	1%	6%	●○○○○
ხარისხიანი კვება	% — მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კვების ხარისხი	3%	13%	●○○○○
მომხმარებელთა უფლებების დაცვა				
გადახდის ტვირთი	% ამბობს, რომ სესხის გადახდა არ წარმოადგენს პრობლემას	82%	65%	●●●●●
გაღებულ მსხვერპლი	% ამბობს, რომ არასოდეს მოუკლია საკვები, იმისთვის რომ სესხი გადაეხადა	96%	80%	●●●●●
სესხის შესახებ ინფორმირებულობა	% ამბობს, რომ ჯარიმები, საკომისიოები და საპროცენტო განაკვეთები ნათელია	91%	71%	●●●●●
მოულოდნელი საკომისიო	% ამბობს, რომ არასოდეს გადაუხდია მისთვის მოულოდნელი საკომისიო	100%	94%	●●●●●
ფინანსური ნუხილი	% — მნიშვნელოვნად შემცირდა ფინანსებზე დარდში დახარჯული დრო	5%	18%	●○○○○
მედეგობა				
კრისტალის როლი მდგრადობის გაზრდაში	მისოს წყალობით მნიშვნელოვნად გაიზარდა მდგრადობა %	27%	18%	●●●●○
დანაზოგი	%-მა მნიშვნელოვნად გაზარდა დანაზოგი	2%	14%	●○○○○
ფინანსური მართვა	%-მა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ფინანსების მართვის უნარი	21%	24%	●●○○○
თავდაჯერებულობა				
გადაწყვეტილების მიღება	მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების უნარი	18%	28%	●●○○○
თავდაჯერებულობა	% მნიშვნელოვნად აიმაღლა რწმენა საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში	24%	35%	●●○○○
ფინანსური მიზნები	მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ფინანსური მიზნების მიღწევის უნარი	52%	26%	●●●●●

კრისტალი – ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშის შეჯამება — 60_Decibels

შედეგების შეჯამება

კრისტალი

მეთოდოლოგია

60 დეციბელის მეთოდოლოგიის შესახებ

2023 წლის აპრილში, 60 დეციბელის მიერ მომზადებულმა მკვლევართა ჯგუფმა ჩაატარა 188 სატელეფონო ინტერვიუ „კრისტალის“ საკრედიტო კლიენტებთან.

კლიენტები შეირჩნენ შემთხვევითობის პრინციპით, მომხმარებელთა მონაცემთა ბაზიდან.

ჩვენი შედეგები წარმომადგენლობითია კრისტალის იმ კლიენტებისთვის, რომელთა საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია და დასრულებული აქვთ სულ მცირე ერთი საკრედიტო ციკლი. ქვემოთ იხილეთ მოკლე აღწერა, თუ როგორ მოხდა მონაცემების შეგროვება.

ქვეყანა	საქართველო
გაზიარებული კონტაქტები	2,426
ჩატარებული ინტერვიუები	288
გამოხმაურების მაჩვენებელი	52%
ენები	ინგლისური, ქართული
ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა	15 წუთი
ნდობის დონე	95%
ცდომილების ზღვარი	5%

კალკულაციები და განმარტებები

მათთვის, ვისაც დეტალების გაცნობა სურს, წარმოგიდგენთ ამ ანგარიშში გამოყენებული ზოგი კალკულაციის შესახებ ინფორმაციას.

მაჩვენებელი

ინკლუზიურობის კოეფიციენტი

კალკულაცია

ინკლუზიურობის კოეფიციენტი არის საზომი ერთეული, რომელიც შემუშავებულია Decibel 60-ის მიერ, რათა შეაფასოს, თუ რამდენად ემსახურება ორგანიზაცია ნაკლებად შემოსავლიან კლიენტებს. ის გამოითვლება \$1.90, \$3.20 და \$5.50 ხაზზე კომპანიის /ქვეყანის საშუალო მნიშვნელობის ალებით დაბალი შემოსავლის და დაბალი-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის, ან \$3.20, \$5.50 და \$8.00 ხაზზე — საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის. ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$\sum_{x=1}^3 \frac{([კომპანიის] სიღარიბის ზღვარი $x)}{(\text{ქვეყნის სიღარიბის ზღვარი $x})} / 3$$

60_decibels

2

12

2023 წლის მენეჯერების ანგარიში

ინტეგრირებული ანგარიში 2023

დანართი 2: სოციალური გავლენის შეფასება 2023

169

თვისებრივი კვლევა და ძირითადი მიზნებები

სესხის გავლენა ცხოვრების ხარისხზე:

ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

კრისტალის სესხმა მომხმარებლების ცხოვრების ხარისხზე ცალსახად დადებითი ზეგავლენა იქონია. თვისებრივი კვლევის მონაცემით, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მთავარ ინდიკატორად სწორედ საკუთარი მიზნებისა და სურვილების რეალიზებას ასახელებდნენ. ამ პროცესში კი „კრისტალის“ როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს ხსნის იმ ფაქტს თუ რატომ დაადასტურა რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში რესპონდენტების 86%-მა, რომ სესხის ალების შემდეგ მათი ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდა. მათ საკუთარ მიზანს მიაღწიეს, რასაც ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებად აღიქვამენ.

ჩემს ცხოვრებაში, ყველაზე კარგი და საუკეთესო რაც მოხდა ეს არის კრისტალის დამსახურება. რაღაცა შევძელი, ძალიან კარგ ადგილას სახლი ავაშენე, ძალიან ლამაზი რესტორანი მაქვს ეს არის კრისტალის დამსახურება, ეს არის ფაქტი. (ქუთაისი, ქალი)

მშვენიერი ზეგავლენა იქონია, ჩემი საქმე გავაკეთე არც „გამიფანტავს“ ეგ ფული — გამოვიყენე და 80% გავაკეთე რაც მინდოდა. (დუშეთი, კაცი)

ის მომხმარებლები, რომლებმაც კრისტალის სესხი შემოსავლების გაზრდის მიზნით გამოიყენეს, სესხის გავლენას ცხოვრების ხარისხზე გაცილებით უფრო პოზიტიურად აფასებდნენ (45%), ვიდრე ის მომხმარებლები, რომლებმაც სესხი მხოლოდ სამომხმარებლო მიზნით გამოიყენეს (20%).

სამშენებლო სარემონტო ხელსაწყოები შევიძინე. დადებითი ზეგავლენა იქონია, არა მქონდა იმედი რომ მეყიდა და დამიმტკიცეს. შემოსავალი გამიზარდა. ნივთებს ვიყენებ და ვმუშაობ. (გორი, კაცი)

მე რაც მინდოდა, სესხი რისთვისაც მინდოდა იმაში გამოვიყენე ... შემოსავალმა გადააჭარბა, რა თქმა უნდა, იმ თანხას, რასაც ბანკს ვუხდი. (თბილისი, ქალი)

საკმაოდ მცირე ნაწილმა 1%-მა სესხის გავლენა ცხოვრების ხარისხზე უარყოფითად შეაფასა. ეს სეგმენტი აღნიშნავდა რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეკონომიის გაკეთება უწევთ.

ცხოვრების ხარისხი

26% 45% 20%

60% 51% 63%

10% 3% 13%

0% 0% 0%

1% 1% 1%

2% 0% 3%

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

ოდნავ გაუმჯობესდა

არ შეცვლილა

ოდნავ გაუარესდა

მნიშვნელოვნად გაუარესდა

მიჭირს პასუხის გაცემა

ჯამური სურათი

სესხი ბიზნესისთვის

სესხი სამომხმარებლო მიზნით

13

https://ir.crystal.ge/

სესხის გავლენა ბიზნესზე:


კრისტალის სესხმა ბიზნეს-შემოსავლების ზრდა განაპირობა

იმ რესპონდენტების 70%-ს, რომლებმაც სესხი ბიზნეს მიზნისთვის გამოიყენეს, კრისტალთან თანამშრომლობის შემდეგ ბიზნეს-შემოსავლები გაეზარდათ. აღსანიშნავია, რომ ისინი საკუთარ ბიზნესზე საუბრისას კრისტალის როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას საკუთარი წარმატებების ხელშეწყობ ფაქტორად განიხილავენ.

„(ბიზნესმა) შემოსავლები გამიზარდა... მივმართე და თანხა მალე ავიღე რა თქმა უნდა კრისტალს დიდი წვლილი მიუძღვის. (ქობულეთი, კაცი)

„გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, ვიყიდე ხელსაწყოები, რაც იყო შესაკეთებელი შევაკეთე. ამან შემოსავალიც გამიზარდა. (რუსთავი, კაცი)

ბიზნეს შემოსავალი



https://ir.crystal.ge/

სესხის გავლენა თვითაღქმაზე:

განსაკუთრებულად დადებითი ზეგავლენა იქონია ქალების სეგმენტზე

როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი კვლევის მიხედვით, სესხის არსებობა მომხმარებლის პიროვნულ მახასიათებლებზე ახდენს ზეგავლენას:


- მომხმარებლების 57%-მა აღნიშნა, რომ კრისტალიდან სესხის აღების შემდეგ უფრო მეტად თავდაჯერებული გახდა;
- 78%-მა დაადასტურა რომ „კრისტალთან“ თანამშრომლობის შემდეგ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა გაიზარდა.
- რესპონდენტების 40% — ფინანსურ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად უფრო ხშირად იღებს.

სესხი უკავშირდება პასუხისმგებლობას, გარკვეული სირთულეების გადალახვას და ვალდებულების შესრულებას, რადგან ზეგავლენას ახდენს საკუთარი შესაძლებლობების გააზრებაზე. ეს ტენდენცია უფრო მეტად ქალების შემთხვევაში გამოიკვეთა. რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, ქალების 44% (კაცების 34%) ახლა უფრო დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს, 58%-ს (კაცების 55%-ს) თვითშეფასება უფრო გაეზარდა, ხოლო, 40%-მა (კაცების 28%-მა) აღნიშნა, რომ „კრისტალთან“ თანამშრომლობის შემდეგ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა გაუმჯობესდა.

„მე გამეზარდა თვითშეფასება, იმიტომ რომ რაღაცნაირად რომ ვიხდი ამ სესხს ვარ ამაყი... რაღაცნაირად მომწონს ის რომ მე ვახერხებ ამ ყველაფერს ჩემით, მარტო და არავის დახმარების გარეშე. (ქუთაისი, ქალი)

„იმედი მაქვს უკვე საკუთარი თავის. შევიცვალე, პასუხისმგებლობა რომ მეკისრება უნდა გადავიხადო. უფრო აქტიური გავხდი, სიძლიერისკენ წავედი. გადახდა უნდა მაგ ყველაფერს, უფრო მეტი უნდა იმუშავო და გამოიმუშაო. უფრო მეტად დარწმუნებული გავხდი საკუთარ თავში. (გორი, ქალი)

პიროვნული მახასიათებლები



https://ir.crystal.ge/

16

სესხის გავლენა სტრესის დონეზე:

მომხმარებლების 30%-ს სტრესის დონე შეუმცირდა

რესპონდენტების 30%-მა დაადასტურა რომ კრისტალთან თანამშრომლობის შემდეგ ფინანსებზე ნაკლებად ნერვიულობენ. ამის მიზეზად კი შემოსავლებისა და ფინანსების მოძიების შესაძლებლობის ზრდას ასახელებენ.

”

არანაირ სტრესს არ ვგრძნობ და არ განვიცდი. პირიქით, იმიტომ რომ ადრე რასაც ვერ შევიძენდი და ვერ გავაკეთებდი ფინანსების გამო ახლა შემიძლია ყოველწლიურად ვისარგებლო, თუნდაც განვადებით, თუნდაც სხვა ტიპის სესხით. (გორი, ქალი)

მომხმარებელთა 15% კრისტალის სესხს, განიხილავს როგორც ტვირთს, რომელიც თავის-თავად სტრესთან და დაძაბულობასთან არის დაკავშირებული. ეს გამოწვეულია სესხის დაფარვასთან დაკავშირებული დაძაბულობით, ეკონომიური ხარჯვით, ჯანდაცვის ხარჯების დაფარვის სირთულითა და პროცენტში გადახდილი თანხით.

”

არის ხოლმე, რომ არა მაქვს ეს თანხა და ეს მოძიების მომენტი ძალიან სტრესულია ჩემთვის. (თბილისი, ქალი)


”

[სტრესი] გაიზარდა იმის გამო, რომ სამედიცინო სფეროს თითქმის ვერ ვეხებით. ეხლა იძულებული გავხდი რაღაცეებზე მემკურნალა და ისეთი თანხებთან არის დაკავშირებული რომ უბრალოდ ძაან რთულია ფინანსურად. (წყალტუბო, ქალი)

”

სტრესი ის არის, რომ გული მისკდება, მახსენდება ჩემს ამხელა თანხაში ისეთი პატარა მიდის ძირზე და ამხელა თანხა მიაქვს პროცენტს. აი მაგაზე ენერგიულობ და სტრესი მაქვს. (თბილისი, ქალი)


„კრისტალის“ სესხის აღქმა



https://ir.crystal.ge/

17

ფინანსებზე ნერვიულობის დრო



იძულებით გადაადგილებული პირები:

სტრესს უფრო ნაკლებად განიცდიან და უფრო ხშირად აბანდებენ ბიზნესში

თვისებრივი კვლევით დევნილ და ადგილობრივ რესპონდენტების სამომხმარებლო ქცევებს შორის გარკვეული განსხვავებები გამოვლინდა, რაც მათი წარსული გამოცდილებით: 1992-1993 წლებისა და 2008 წლის ომებით არის განპირობებულია.

გამოვლინდა ტენდენცია რომ ადგილობრივ მომხმარებლებთან შედარებით, დევნილები სესხს სტრესის მაპროვოცირებელ ფაქტორად უფრო ნაკლებად მიიჩნევენ. ისინი ძირითადად აღნიშნავენ, რომ სტრესის დონე შემცირდა ან საერთოდ არ შეცვლილა. რადგანაც, ერთი მხრივ, ბევრად უფრო დიდი სიძნელეების წინაშე იდგნენ და გადალახეს, ამიტომ სესხი მათთვის სტრესის განმსაზღვრელ მიზეზს აღარ წარმოადგენს.

მეორე მხრივ, დევნილებმა ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით სესხი ბიზნესში დააბანდეს, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, სტრესს ნაკლებად განიცდიან.

გამოვლინდა ტენდენცია რომ დევნილები უპირატესობას სახლში დაზოგვას ანიჭებენ, ხოლო, ადგილობრივები — ანაბარზე. ამას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ომთან დაკავშირებული გამოცდილება, ხოლო, მეორე მხრივ, დევნილის დახმარების დაკარგვის რისკი, რაც რესპონდენტების აზრით, შესაძლოა ანაბრის გახსნამ გამოიწვიოს.

”

2008-ში ომის დროს ვერ გამოქონდათ თანხა, პირველი, მეორე, მესამე დღე და მერე გაიყინა. მართალია მერე კი ჩვეულებრივად ადგა, მაგრამ რამე, რომ გავრძელებულიყო ეს თანხაც უკვე დაკარგული იყო. მე თუ დანაზოგი გავაკეთე შევინახავ სახლში. (თბილისი, ქალი)

5

<https://ir.crystal.ge/>

18

სოციალური გავლენის ანგარიში – 2023

სოციალური გავლენის კვლევა:

კრისტალთან თანამშრომლობის შემდეგ მომხმარებლების ფინანსური შესაძლებლობები შეიცვალა:

- რესპონდენტების 86%-თვის ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდა;
- მომხმარებლების 30% ფინანსებზე ნაკლებად ნერვიულობს;
- მომხმარებლების 31%-ს აქვს მარტივი წვდომა 15,000 ლარზე;
- რესპონდენტების 61%-თვის დიდ ხარჯებთან გამკლავების შესაძლებლობა გაიზარდა.

კრისტალის სესხმა მნიშვნელოვნად დადებითი ზეგავლენა მოახდინა მომხმარებლების თვითაღქმაზე:

- რესპონდენტები 57% უფრო თავდაჯერებული გახდნენ;
- რესპონდენტების 40% ფინანსურ გადაწყვეტილებებს უფრო მარტივად იღებს;
- რესპონდენტების 78%-ს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა გაეზარდა.

ბიზნეს მქონე მომხმარებლების 70%-ს ბიზნესიდან მოგება გაეზარდა.

რეკომენდაციის გაწევის ქულად 9,1 ქულა (10 ქულიან სკალაზე) იდენტიფიცირდა. რაც მიანიშნებს რომ მომხმარებლებს კრისტალთან საკმაოდ პოზიტიური გამოცდილება აკავშირებთ.

- მომხმარებლების 96%-თვის კრისტალის გადასახადები მარტივად გასაგებია.
- რესპონდენტების 99% გადასახადებთან დაკავშირებით სრულიად ინფორმირებულია და თანხა მოულოდნელად არასდროს ჩამოჭრიათ.
- რესპონდენტების 94%-ს სირთულე მომსახურებასთან დაკავშირებით არასდროს შექმნიათ.

თემატური ბლოკი 1: ქალი მენარმეების მენტორინგი —RANDOMISED CONTROL TRIAL (RCT) კვლევა



შემთხვევითი შერჩევით ჩატარებული ქალი მენარმეების კვლევა, რომელიც ჩატარდა კრისტალისა და მისი შვილობილი კომპანიის კრისტალ კონსალტინგის მიერ, მიზნად ისახავდა კრისტალ კონსალტინგის მიერ ქალი მენარმეებისთვის გაწეული ბიზნეს კონსულტაციების გავლენის შეფასებას მათი ბიზნეს საქმიანობის შედეგებსა და ზრდაზე. კვლევას რამდენიმე ძირითადი მიზანი ჰქონდა:

1. **მენტორინგის ეფექტურობის შეფასება:** კრისტალ კონსალტინგის მიერ გაწეული მენტორინგის ეფექტურობის შეფასება ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის, მათ შორის ბიზნესის შედეგების, დაფინანსებისა და ზრდის პერსპექტივის ჭრილში.
2. **საკონსულტაციო სერვისების როლის შეფასება:** როგორ აღიქმება საკონსულტაციო სერვისების როლი მენტორინგის მიმღები და არამიმღები მენარმეების მიერ, განსაკუთრებით ფინანსური რესურსების მოზიდვის კონტექსტში.
3. **ბიზნესის გაუმჯობესებაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება:** მენტორობის გარდა იმ სხვა ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაზე.
4. **ზრდისკენ სწრაფვა და თავდაჯერებულობა:** მენარმეების სწრაფვა ბიზნესის ზრდისკენ, ასევე რწმენა იმისა, რომ ზრდა შესაძლებელია მომდევნო სამი წლის განმავლობაში.
5. **მენტორობის გავლენის შეფასება ბიზნესის ზრდის რწმენის აღქმაზე:** როგორ მოქმედებს მენტორობა მენარმის აღქმაზე მისი ბიზნესის სწრაფი ზრდის შესაძლებლობის კუთხით-არის თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ზრდის შესაძლებლობის აღქმაში იმ ბიზნესებს შორის, რომლებმაც მიიღეს და რომლებმაც არ მიიღეს მენტორული მხარდაჭერა.

მეთოდოლოგია:

კვლევაში გამოყენებულ იქნა RCT-ის (Randomised Control Trial) მოდელი, რომელიც გამოირჩევა გავლენის ზუსტი შეფასებით. კონსულტაციისა და მენტორობის ბიზნესზე გავლენის შესაფასებლად, მონაწილეები შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილდნენ სხვადასხვა ჯგუფებში. წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად, კვლევის ფარგლებში გულდასმით შეირჩა ის ბიზნესები, რომლებიც არ სარგებლობდნენ მენტორინგის მომსახურებით და რომელთა მახასიათებლები შეესაბამებოდა იმ ჯგუფის მახასიათებლებს, რომლებიც სარგებლობდნენ მენტორინგით.

კვლევისას გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდები კრისტალ კონსალტინგის მენტორობის მიმღები ბიზნესების შესადარებლად იმ ბიზნესებთან, რომლებსაც არ მიუღიათ მენტორობის მომსახურება. ამგვარმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა მსგავსი მახასიათებლების მქონე ბიზნესებისთვის ჩაგვეტარებინა კონსულტაციისა და მენტორობის გავლენის შედარებითი ანალიზი. RCT მეთოდოლოგია და ჯგუფების შედარება გამოყენებულ იქნა გაწეულ მომსახურებას (კონსულტაცია და მენტორობა) და მიღებულ შედეგებს შორის მიზეზობრივი კავშირების დასადგენად.

2023 წლის აპრილ-მაისში ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გამოიკითხა 202 რესპოდენტი: 100 მენტორობის მიმღები ჯგუფიდან, ხოლო 102 მენტორობის იმ ჯგუფიდან, რომელსაც არ მიუღია მენტორობა

შეზღუდვები:

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 202 რესპოდენტი, მათ შორის 100 ბიზნესი, რომელმაც გაიარა მენტორობის პროგრამა და ბიზნესები, რომლებსაც არ უსარგებლიათ კრისტალის საკონსულტაციო მომსახურებით. გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხულთა შედარებით მცირე რაოდენობამ შესაძლოა შეზღუდოს სამიზნე პოპულაციაში ბიზნესების მრავალფეროვნების სრულად ასახვა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს დასკვნების განზოგადებაზე.

ძირითადი მიგნებები

ქვემოთ მოცემულია RCT კვლევის შედეგების შეჯამება, რომელიც აფასებს მენტორობის პროგრამის გავლენას იმ ქალ მენარმეებზე: ა) რომლებმაც გაიარეს მენტორობა და ბ) რომელთაც არ გაუვლიათ მენტორობის პროგრამა.

კომპანიის საქმიანობის ხანგრძლივობა და მენტორინგი

- როგორც მენტორობა გავლილ (35%), ასევე არადამენტორებულ (59%) კომპანიებს შორის, დიდი ნაწილი 5 წელზე მეტია, რაც საქმიანობენ.
- საშუალოვადიანი პერიოდის ჭრილში (3-5 წელი) საქმიანობას ეწევა დამენტორებული კომპანიების 34%, ხოლო იმ კომპანიების მაჩვენებელი, რომლებსაც არ უსარგებლიათ მენტორობით 17%-ია.
- მენტორობა როგორც ჩანს, ხელს უწყობს ბიზნესის მდგრად განვითარებას, რადგან საშუალოვადიან პერსპექტივაში დამენტორებული ბიზნესების რაოდენობა უფრო მაღალია, მაშინ როცა არადამენტორებული ბიზნესების დიდი წილი წარმოდგენილია არარეგისტრირებული ფიზიკური პირებით.

დაკრედიტების წყაროების შერჩევა და სესხის მოცულობა მენტორინგის მიმღებ და არმიმღებ კომპანიებში

- დამენტორებულმა კომპანიებმა სესხი ძირითადად კომერციული ბანკებიდან (45%) და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან (52%) აიღეს.
- არადამენტორებული კომპანიები ნაკლებად მიმართავენ კომერციულ ბანკებს (37%) და მეტწილად იყენებდნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს (63%).
- ორივე ჯგუფმა უპირატესობა მიანიჭა მცირე სესხებს, უმეტესობამ, 5000 ლარამდე სესხით ისარგებლა.

საპროცენტო განაკვეთები და უზრუნველყოფა

- ძირითადად, დამენტორებული კომპანიებისთვის გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთები მერყეობდა 10%-დან 20%-მდე და უმეტესობა არ საჭიროებდა უზრუნველყოფას.

- არადამენტორებული ბიზნესებისთვის, საპროცენტო განაკვეთები ძირითადად 15%-დან 20%-მდე იყო, რაც მიუთითებს მენტორინგის შესაძლო გავლენას სესხების უფრო ხელსაყრელი პირობებით მიღებაზე.

ინვესტიციების მოზიდვა და სალიზინგო მომსახურება

- როგორც, დამენტორებული ისე არადამენტორებული კომპანიების მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ მოიზიდა ინვესტიციები ან ისარგებლა სალიზინგო მომსახურებით ბოლო სამი წლის განმავლობაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მენტორობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ამ ასპექტებზე.

ფინანსების ხელმისაწვდომობა, როგორც დაბრკოლება

- ორივე ჯგუფის რესპოდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა აღიქვამს ფინანსების ხელმისაწვდომობას, როგორც დაბრკოლებას მათი ბიზნესის განვითარებისთვის, მათ შორის დამენტორებულ რესპოდენტთა უფრო დიდი ნაწილი ამას მნიშვნელოვან დაბრკოლებად მიიჩნევს.

შემოსავლის ცვლილება

- დამენტორებული ბიზნესების უფრო დიდმა ნაწილმა (19%) აღნიშნა, რომ მათი წლიური შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა არადამენტორებულ ბიზნესებთან შედარებით (11%), რაც მიუთითებს დადებით კორელაციაზე მენტორობასა და შემოსავლების ზრდას შორის.

სწრაფი ზრდის სურვილი და უნარი

- როგორც დამენტორებულმა, ისე არადამენტორებულმა კომპანიებმა გამოხატეს სწრაფი გადართობის სურვილი მომდევნო სამი წლის განმავლობაში.
- დამენტორებული ჯგუფის მცირედით მეტმა პროცენტმა შეაფასა, რომ ჰქონდა სწრაფად ზრდის უფრო დიდი უნარი, რაც მიუთითებს, რომ მენტორინგმა შესაძლოა გაზარდოს ზრდისადმი თვითრწმენა.

გაუმჯობესების ნიშნები

- ბიზნესის ეფექტურობის გაუმჯობესება მხოლოდ მენტორობაზე არ არის დამოკიდებული: ორივე ჯგუფის კომპანიები პოზიტიურ ცვლილებებს აღნიშნავენ.
- მენტორობა ზრდის საკონსულტაციო სერვისების ღირებულების აღქმას, განსაკუთრებით, ფინანსური რესურსების მოზიდვის კონტექსტში.
- კორელაცია დადებითია მენტორობასა და ბიზნესის უფრო ფორმალურ სტატუსსა და ფინანსურ დაგეგმარებას შორის, რაც ხელს უწყობს ინოვაციას.

რომ შევავსოთ, წინამდებარე ანალიზი ცხადყოფს, რომ მენტორობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნესის ეფექტურობის სხვადასხვა ასპექტზე მიუხედავად იმისა, რომ ზრდის სურვილი ბიზნესის ბუნებრივი მახასიათებელია, მენტორობა ხელს უწყობს ფინანსური ინფორმირებულობის გაუმჯობესებას, დასაქმებას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და უკეთესი ბიზნეს პრაქტიკის დანერგვას. ეს კი ხაზს უსვამს ბიზნესის წარმატების მრავალმხრივ ბუნებას და მენტორობის მნიშვნელობას მენარმეობის ზრდის ხელშეწყობისა და ბიზნეს პრაქტიკის გაძლიერებაში.



თემატური ბლოკი 2: გენდერული ობლიგაციები

2023 წლის თებერვალში კრისტალმა 25 მილიონი ლარის მოცულობის 2-წლიანი სერტიფიცირებული გენდერული ობლიგაციები გამოუშვა. ტრანზაქციის მიზანია:

- მენარმე ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ქალი მენარმეების მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების დაფინანსება;
- საქართველოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა.

აღნიშნული ობლიგაციების ემისია განხორციელდა კაპიტალის ბაზრის მხარდამჭერი პროგრამის მეშვეობით, რომელიც ევროკავშირის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდამჭერით განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში, „კრისტალი შეისწავლა და შეაფასა დამოუკიდებელმა საკრედიტო სარეიტინგო კომპანიამ SCOPE, რომელმაც ორგანიზაციის სოციალური და გარემოსდაცვითი ჩარჩო შეაფასა უმაღლეს დონეზე — Transformative. ამ აღიარებამ კი „კრისტალს“ დამატებით შესაძლებლობა მისცა, ტრანზაქციის ხარჯების დასაფინანსებლად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან მნიშვნელოვანი გრანტი მიეღო.

ემისიის ბროკერი Galt & Taggart იყო, ხოლო ობლიგაციებში ინვესტიცია აზიის განვითარების ბანკმა და საქართველოს ბანკმა განახორციელეს.

სარეიტინგო სააგენტო „Scope“-ის მიერ გაკეთებული შეფასება

კომპანიამ „Scope ESG Analysis“ შეაფასა კრისტალის სოციალური ობლიგაციების ჩარჩოს შესაბამისობა კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის 2021 წლის სოციალური ობლიგაციების პრინციპებთან (SBP). Scope ESG-ის შეფასება ცხადყოფს, რომ „კრისტალის“ ჩარჩო სრულად შეესაბამება აღნიშნულ პრინციპებს. მეორე მხარის ეს მოსაზრება ეფუძნება სოციალური ობლიგაციების პრინციპების ოთხ კომპონენტს:

- შემოსავლების გამოყენება;
- პროექტების შეფასებისა და შერჩევის პროცესი;
- შემოსავლების მართვა;
- ანგარიშგება.

გარდა ამისა, „Scope ESG“-ის მეთოდოლოგია ავსებს შემოსავლების გამოყენების ელემენტს, შემოსავლების გავლენის შეფასებით და ზემოქმედების რისკების მიმოხილვით. ჩარჩომ Scope-ის უმაღლესი შეფასება მიიღო, რაც მიუთითებს ტრანსფორმაციულ ზემოქმედებაზე.



Scope ESG Analysis has assessed the alignment of the Social Bond Framework (Framework) of JSC Microfinance Organization Crystal (Crystal) with the 2021 Social Bond Principles (SBP) of the International Capital Markets Association. Scope ESG's assessment reveals that Crystal's Framework is fully aligned with the SBP.

This second-party opinion is based on the four SBP components: use of proceeds, process for project evaluation and selection, management of proceeds and reporting. In addition, Scope ESG's methodology supplements the use of proceeds element with an impact of proceeds assessment and a review of impact risks. The Framework has received Scope's highest assessment of three green humans, which signals a transformative impact contribution.

Figure 1: Crystal's Social Framework Assessment




Figure 2: Alignment with United Nations Sustainable Development Goals



Framework assessment across Scope's criteria

Scope's criteria	Crystal Framework description	Scope ESG Assessment
Use of proceeds	- Access to essential services - Employment generation through SME finance and microfinance - Socioeconomic advancement and empowerment	ICMA-aligned
Process for project evaluation and selection	- Members of Crystal's business team will analyse the women owned MSMEs on environmental and social factors as well as revenue streams - Detailed exclusion criteria for loans	ICMA-aligned
Management of proceeds	Proceeds documented and updated in a sub-account managed by Crystal and tracked using ALTA software	ICMA-aligned
Reporting	- Annual reporting of allocation of proceeds until full allocation - Impact metrics include reporting on number of WMSME borrowers, number of climate-related loans and borrowers in rural areas	ICMA-aligned
Overall sustainability strategy	Crystal's sustainability strategy focuses on three pillars with quantitative targets for microfinance lending on People, Planet and Profit	Transformative
Impact assessment	- Crystal's projects support MSME financing to reduce Georgia's finance gap - Targeting women shall contribute to employment generation, gender equality and poverty reduction	Transformative
ESG Management risks	Crystal has implemented an environmental and social management system to identify and mitigate risks	Transformative

Head of ESG

Bernhard Bartels
+49 69 6677389-19
b.bartels@scopeesg.com

Analyst

Wendy Fernandez
+33 182 885-557
w.fernandez@scopegroup.com

Scope ESG Analysis GmbH

Lennéstraße 5
10785 Berlin
Phone +49 30 27891 0
Fax +49 30 27891 100
esg@scopegroup.eu
www.scopegroup.com



Bloomberg: RESP SCOP



კრისტალი
— ქალების
ეკონომიკური
გაძლიერების ამაყი
მხარდამჭერი

2022 წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პროექტები:

ქალთა გაძლიერების პროგრამა USAID YES-Georgia (ახალგაზრდებისა და ქალთა მენარმეობის მხარდაჭერა საქართველოში) და მისი კომპონენტები — ბაზ საქართველო და კრისტალ კონსალტინგი, რომელიც 2020 წელს დაიწყო, USAID-ის დაფინანსებით და ბაზ ვიმენ გლობალთან (Buzz Women Global) პარტნიორობით. დღემდე პროგრამამ გააძლიერა 2000-მდე ქალი მენარმე.

- 2,000-მდე მენარმე ქალის პიროვნული და სამენარმეო უნარების გაზრდითა და მოტივირებით გააძლიერეთ 2000-მდე ქართული ოჯახი, 5,000-მდე მათი ოჯახის წევრი, 30-მდე სოფელი და ქალაქი რითაც ხელი შევუწყვეთ ადგილობრივი დოვლათის შექმნასა და ზრდას საქართველოს რეგიონებში.
- მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 200-მდე ტრენინგი როგორც დისტანციურად, ისე ფიზიკურ გარემოში; ტრენინგები ძირითადად მოიცავდა დასავლეთ საქართველოს რეგიონებს: იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა და ლეჩხუმი.
- დეკემბერში, 100-მდე დატრენინგებულმა მენარმე ქალმა მონაწილეობა მიიღო USAID-ის საახალწლო-საშობაო გამოფენა-გაყიდვაში. მათ შეძლეს გაეყიდათ ათიათასობით ლარის პროდუქცია დედაენის ბაღში, თბილისში და ამასთანავე გაეცნოთ იგი ასობით მოსული სტუმრისა თუ დამთვალიერებლისთვის.
- USAID YES-Georgia-ს პროექტის ახალგაზრდა მენარმეთა სკოლაში 5625-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა (მათ შორის, 3,888 გოგონამ და 1,738 ბიჭმა). 1,500-მდე ახალგაზრდამ წარმატებით გაიარა მენარმეობის ტრენინგ-კურსი; კრისტალმა 96 ახალგაზრდა მენარმე დააფინანსა (55 გოგონა და 41 ბიჭი), აღსანიშნავია, რომ 64 სანარმო უწყვეტად განაგრძობს წარმატებით საქმიანობას.

კრისტალის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სისტემის დახვეწა GGF- თან თანამშრომლობით

- 2022 წელს კრისტალის საერთაშორისო პარტნიორის – Finance in Motion/EFSE/GGF-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა კრისტალის გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) სისტემების, პოლიტიკის, ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და პროცედურების GAP-ანალიზი; გადაიხედა მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები; კრისტალის სისუსტეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შემუშავდა სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების სტრატეგია
- სამომავლოდ, სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის განხორციელება საშუალებას მისცემს კრისტალს დანერგოს მდგრადი განვითარების ყოვლისმომცველი სისტემა და დააკმაყოფილოს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის უნივერსალური სტანდარტები.

წარმატებული თანამშრომლობა DWM-თან და MSC MicroSave Consulting-თან

DWM-თან და MSC MicroSave Consulting-თან წარმატებული პარტნიორობის ფარგლებში, განისაზღვრა კლიმატზე ზემოქმედების შეფასებისა და ეკოლოგიური რისკის მართვის მიმართულებით არსებული ხარვეზები, ასევე შემუშავდა ძირითადი რეკომენდაციები.

წარმატებული თანამშრომლობა გერმანულ ფონდ „შპარკასესთან“

კომპანია კრისტალმა დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ერთ-ერთ უცხოელ პარტნიორთან — ფონდ Sparkassenstiftung-თან. თანამშრომლობა მიზნად ისახავდა კრისტალის მწვანე და მდგრადი დაფინანსების კომპასის შესაძლებლობების განხილვას, დანერგვასა და მწვანე დაფინანსების და საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მდგრადი დაფინანსების იმპლემენტაციის შეფასება და სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა.

საგანმანათლებლო ღონისძიებები

2022 წლის ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში, კომპანიამ პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების, სტაჟირების პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდებისა და გაყიდვების გუნდის წევრების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩაატარა ტრენინგები დაზოგვის მნიშვნელობის, ფულის დამცავი ნიშნების, კუპონების შესაძლებლად საჭირო ტექნიკებსა და ხელსაწყოების მოხმარების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ ყალბი ფულის ამოცნობასა და შესაბამისი პრევენციული ზომების მიღებაში.

გარემოზე გავლენა


- 2018 წლიდან დღემდე (2023 წლის სექტემბერი) მწვანე დაფინანსების ფარგლებში გაიცა 50,000 მეტი სესხი/განვადება მწვანე მიზნობრივობით, რამაც თანხაში 80 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.
- მწვანე გაცემების შედეგად შეფასებული გარემოზე დადებითი ზემოქმედება შემდეგია: 2018 წლიდან დღემდე (2023 წლის სექტემბერი), კრისტალის მწვანე გაცემებით, დაიზოგა 18 მილიონ kWh-ზე მეტი ენერგია და არიდებულ იქნა 2,6 მილიონ ტონაზე მეტი CO₂.

2018 წლიდან მოყოლებული დღემდე, მწვანე დაფინანსების პორტფელი ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას:

2022 წლის განმავლობაში:

- 3 136 905 (კვტსთ) ენერგია დაიზოგა;
- თავიდან იქნა აცილებული 464 119 კგ CO₂-ის გარემოში გამოყოფა.

მწვანე პორტფელი წლების მიხედვით



კრისტალის გავლენის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან



სტრატეგიული დაგეგმარების ფარგლებში, კრისტალმა შეამცირა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) რაოდენობა, რომლებზეც ფოკუსირებასაც ის აპირებს. ჩვენ განვსაზღვრეთ მდგრადი განვითარების 3 მიზანი, შესაბამისი ამოცანებითა და ინდიკატორებით, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შევაფასებთ მიღწეულ პროგრესს და შედეგებს ავსახავთ მდგრადობის შემდგომ ანგარიშებში.

SDG 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერება

მიზანი 5.5

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადანაცვითი ლეობათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა

მიზანი 5.4

აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საშინაო შრომის აღიარება და დაფასება საჯარო სერვისების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის მიზნების გზით და ოჯახში საერთო პასუხისმგებლობის ხელშეწყობა ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად.

მიზანი 5.a

რეფორმების განახორციელება, რათა ქალებს მიენიჭოთ თანაბარი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე, აგრეთვე საკუთრებაში მინისა და სხვა ქონების ფლობაზე, ფინანსურ მომსახურებაზე, მემკვიდრეობაზე და ბუნებრივ რესურსებზე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 5.5.2

ქალთა პროცენტული წილი ხელმძღვანელ თანამდებობებზე

ინდიკატორი 5.4.1

აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საშინაო საქმეზე დახარჯული დროის წილი სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და ადგილმდებარეობის მიხედვით

ინდიკატორი 5.a.1

(ა) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის წილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების ან დაცული უფლებით, სეგრეგირებული სქესის ნიშნით; და (ბ) ქალების წილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მფლობელთა ან უფლების მფლობელთა შორის, მფლობელობის ტიპის მიხედვით

<https://ir.crystal.ge/>

28

სოციალური გავლენის ანგარიში – 2023



SDG 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო უზრუნველყოფა

მიზანი 7.1

2030 წლისთვის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგეტიკულ სერვისებზე

ინდიკატორი 7.1.2

მოსახლეობის წილი, რომელიც დიდწილად ეყრდნობა სუფთა საწვავსა და ტექნოლოგიებს

მიზანი 7.2

2030 წლისთვის გლობალურ ენერგეტიკულ ბალანსში განახლებადი ენერგიის წყაროების წილის მნიშვნელოვანი ზრდა

ინდიკატორი 7.2.1

განახლებადი ენერგიის წყაროების წილი ენერგიის მთლიან მოხმარებაში

მიზანი 7.3

2030 წლისთვის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გლობალური მაჩვენებლის გაორმაგება

ინდიკატორი 7.3.1

ენერგიის ინტენსივობა, გაზომილი პირველადი ენერგიისა და მშპ-ის მიხედვით

SDG 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

მიზანი 10.1

2030 წლისთვის მოსახლეობის ქვედა 40%-ის შემოსავლის ზრდის თანდათანობით მიღწევა და შენარჩუნება საშუალო ეროვნულ განაკვეთზე მაღალი განაკვეთით

ინდიკატორი 10.1.1

შინამეურნეობების დანახარჯების ან შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე მოსახლეობის ქვედა 40 პროცენტსა და მთლიან მოსახლეობაში

მიზანი 10.c

2030 წლისთვის მიგრანტთა გადარიცხვების ტრანზაქციის ხარჯების 3 პროცენტზე ნაკლებამდე შემცირება და 5 პროცენტზე მაღალი ხარჯების მქონე გადარიცხვების საკომისიოების აღმოფხვრა

ინდიკატორი 10.c.1

ფულადი გზავნილების ხარჯები გამოგზავნილი თანხის პროპორციულად



სტრატეგიული ჩარჩოს შემდგომი გაუმჯობესება და SDG-ების უკეთ ინტეგრირება

2023 წელს კრისტალი გეგმავს გადახედოს გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიის მიზნებს და დაამყაროს მკაფიო კავშირი ამ მიზნებსა და შერჩეულ SDG-ებს შორის. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენა გათვალისწინებული იქნება მენეჯმენტის საქმიანობის ძირითად ინდიკატორებში (KPIs).

სოციალური გავლენის მართვა

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვამაყობთ მომხმარებელთა დაცვის მიმართულებით ჩვენი მდიდარი გამოცდილებით და ვსარგებლობთ კლიენტების მაღალი ნდობით, 2022 წელს შევნიშნეთ ჩვენი გავლენის შესუსტება, როგორც ბიზნეს კომპანიებზე, ასევე შინამეურნეობებზე. ეს მეტყველებს, რომ საჭიროა კრისტალმა გაზარდოს ინვესტიციები უფრო გავლენიან მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელში. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია საბანკო ლიცენზიის მოპოვება და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ახალი სტრატეგიის დანერგვა, რომელიც ფოკუსირებული იქნება SME კომპანიებისთვის ცოდნის, ტექნოლოგიებისა და ბაზრების წვდომის ზრდაზე. აღნიშნული ინიციატივები უნდა იყოს მიმართული მცირე ბიზნესების უნიკალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც ამჟამად ძირითადი კომერციული ბანკების მომსახურების მიღმა რჩება.

საბანკო ლიცენზია ასევე დაგვებმარება ამავე კვლევაში მოცემული დაზოგვის და ფინანსური მართვის ინდიკატორების გაუმჯობესებაში.

როგორც კომპანია, რომლის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება მიგრაციის, კონფლიქტებისა და იძულებით გადაადგილების შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების გადაჭრას, ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ ფოკუსირება დევნილთა მხარდაჭერაზე, ხელი შევუწყოთ ნდობის აღდგენის ინიციატივებს და გავაფართოოთ ჩვენი სერვისები უკრაინიდან დევნილების და სხვა ქვეყნებიდან მიგრანტების დასახმარებლად.

დანართი 3

შემოკლებების ჩამონათვალი:

AFD	საფრანგეთის განვითარების სააგენტო
ALCO	აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი
AML	ფულის გათეთრების საწინააღმდეგო
BARTA	საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო
CAR	კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი
CO2	ნახშიროჟანგი
DFC	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაცია (ყოფილი OPIC)
DWM	მსოფლიო ბაზრის განვითარება
ECB	ევროპის ცენტრალური ბანკი
EE&RE	ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი
FDI	პირდაპირი უცხოური ინვესტიცია
FED	ფედერალური სარეზერვო სისტემა
HR	ადამიანური რესურსები

დანართი 3: შემოკლებების ჩამონათვალი

KPI	საქმიანობის ძირითადი მაჩვენებელი
MPR	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
NPL	ვადაგადაცილება მთლიან სესხებში
ROA	უკუგება აქტივებზე
ROE	უკუგება საკუთარ კაპიტალზე
SIDA	შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
MSME	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო
SMS	მოკლე ტექსტური შეტყობინება
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
მისო	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
პპ	პროცენტული პუნქტი
სებ	საქართველოს ეროვნული ბანკი
სს	სააქციო საზოგადოება
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია



წლიური ანგარიშის მომდევნო თავი -

„კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში“

არ არის აუდიტირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	
განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ	
Application on submitting Corporate Governance Compliance Report	
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)	/ /

1. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER

ემიტენტის სახელწოდება/Issuer's Name	სს მისო კრისტალი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება
ოფიციალური მისამართი/Legal Address	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. 22
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 118, პავლიონი 10
ტელეფონის ნომერი/Contact Number	032 2 02 20 20
ელ.ფოსტა/E-mail	contact@crystal.ge
ვებ-გვერდი/Web Site	www.crystal.ge

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) / Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):			
შრომის შინაგანაწესი	გვ. 22	რისკების კომიტეტის დებულება	გვ. 8
აუდიტის კომიტეტის დებულება	გვ. 11	ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობები	გვ. 178
ატივებისა და ვალდებულებების კომიტეტის დებულება	გვ. 3	რისკის მართვის ჩარჩო	გვ. 19
ეთიკის კოდექსი	გვ. 12	სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკა და პროცედურები	გვ. 7
მდგრადი განვითარების პოლიტიკა	გვ. 13	სამეთვალყურეო საბჭოს შეფასება	გვ. 5
გარემოსა და სოციალური დაცვის კომიტეტის დებულება	გვ. 4	წესდება	გვ. 22
HR კომიტეტის დებულება	გვ. 5	კორპორაციული მდივნის სამუშაო აღწერილობა	გვ. 3
		უფროსი დამოუკიდებელი დირექტორის სამუშაო აღწერილობა	გვ. 3

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	ილია რეგია	არჩილ ბაკურაძე
დაკავებული პოზიცია/Position Held	უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ელ.ფოსტა/E-mail	contact@crystal.ge	contact@crystal.ge

ხელმოწერა /Signature

	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
	1 6 / 0 7 / 2 0 2 4

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მითითება	საკანონმდებლო მითითების აღწერა	მითითების შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გაწეფილია თუ არა შესაბამისი ინფორმაციაზე (კვლევა/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიმე დამატებითი გამსაზღვრელი კოდექსით გამსაზღვრელი მითითებები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მითითებებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი სამთვალურეო საბჭო, დირექტორია საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამთვალურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სტრატეგია და პოლიტიკის დამტკიცება და განხორციელება.	კი	წლიური ანგარიში - მმართველობითი ანგარიში გვ. 41-45, 50-52	საწარმოს წესდება	მუხლი 9
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამთვალურეო საბჭოსა და დირექტორიის საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება და ეფექტური გადამწყვეტილების მიზნის პრიორიტეტი.	კი	წლიური ანგარიში - მმართველობითი ანგარიში გვ. 41-45	საწარმოს წესდება	წესდების მე-9-10 მუხლები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) საწარმოს უნდა გააჩნდეს ვითვის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	ალტერნატივა		პოლიტიკა/პროცედურები	ორგანიზაციის მონაგანაწილის მე-3 მუხლი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) საწარმოს უნდა გააჩნდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც.	კი	წლიური ანგარიში - კორპორაციული სტრატეგია გვ. 17-18		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) საწარმოს უნდა გააჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:	კი	წლიური ანგარიში - კორპორაციული სტრატეგია გვ. 17-18; 32-33; 53-55		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	და) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შესუშუშება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომითი სიანდარტებსა და ადამიანის უფლებების თავისუფალ გამოხატულებას.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გვ. 33-35 55-56	პოლიტიკა/პროცედურები	ორგანიზაციის მონაგანაწილის მე-3.1 მუხლი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გვ. 33-35 55-56	პოლიტიკა/პროცედურები	ორგანიზაციის მონაგანაწილის მე-3.2, 8.1, 8.5 მუხლები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დგ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფო რეგულაციების შესაბამისად;	კი	წლიური ანგარიში - გვ. 17-18; 53-55		ნინო მჭედველის გვ. 3-5 რამე დოკუმენტი შეიქმნა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ესაწარმოს უნდა გააჩნდეს სამთვალურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტი დირექტორების, რომელიც გაწეფილი იქნება კომიტეტის სამუშაო, საწარმოს მმართველობის და პოლიტიკის, მათ შორის კომიტეტის სამთვალურეო საბჭოსთან ანგარიშების, კომიტეტის წევრებისა და კავშირებში მუშაობის, კომიტეტის წევრთა როლისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კი	წლიური ანგარიში - გვ. 42-45; 53-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ესაწარმოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრატეგია, სადაც არაერთ სარგებლობას შეუძლებელია უფლებამოსილებები და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის განსაზღვრის, რისკების ეფექტური იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშების პროცესებს, შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღ ადმინისტრაციისა და სადირექტო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანგარიშების პოლიტიკასა და პროცედურებს.	კი	წლიური ანგარიში - გვ. 41-60	საწარმოს წესდება	მუხლები 4-10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების მიერ უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებული პირობებზე საკითხებზე მონაშთის სამთვალურეო საბჭოს.	კი	წლიური ანგარიში - გვ. 45	საწარმოს წესდება	მუხლები 10.15-10.21
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ვითვის კოდექსი და კომიტეტი დებულებები პერიოდულად უნდა განსჯილი იქნეს და იქნეს საჭიროდ შეცვლილი.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში - გვ.	პოლიტიკა/პროცედურები	https://ir.crystal.ge/corporate-policies/
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 5)	საწარმოს უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მითითებებთან შესაბამისობა. მის მიერ შეტანილი ნებისმიერი ცვლილება პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მითითებებით.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში - გვ. 42-60	საწარმოს წესდება	მუხლები 4-10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ვითვის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, მალაქების ზორობად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული გაქრობის, ფულის გათავისებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ვითვის კოდექსი უნდა მოიცავდეს:				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მითითება იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 45	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგანაწილის მუხლის 3, მუხლი 10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მითითება იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერებთან/პარტნიორთა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით;	კი	წლიური ანგარიში გვ. 45	საწარმოს წესდება	მუხლი 10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციებისა და მისი გამოვლენის პროცედურები;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 43-45	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგანაწილის მუხლი 3.5
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორპორაციული პრაქტიკის ადგილის პროცედურები, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა ხაზის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 43-45	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგანაწილის მუხლი 3.6, 3.7
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არავითარ ქვეყანაში დაცვირებული ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურები;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 43-45	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგანაწილის მუხლი 10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მონიტორინგი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხები;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 39-40	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგანაწილის მუხლი 3.8-3.10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობისთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხები;	კი	წლიური ანგარიში გვ. 29, 58-60	პოლიტიკა/პროცედურები	შესაბამისობის პოლიტიკა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) ანონიმური მითითების ეფექტური სისტემის, რომლის დანერგვაც უნდა თანამშრომლებსა და დირექტორებზე მართვის შედეგებზე უკანონო/შეუსაბამო/არავითარად დასაბუთებლად ანონიმური ინფორმაციის მიწოდების დაცვას;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 60	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგანაწილის მუხლი 10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 2)	საწარმომ ვითვის კოდექსის შესუშუშებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამთვალურეო საბჭომ.	კი	წლიური ანგარიში გვ.	პოლიტიკა/პროცედურები	https://ir.crystal.ge/corporate-policies/
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 3)	საწარმოს ვითვის კოდექსი ეფუძნება საწარმოს მმართველი ორგანოსა და საწარმომ მიმდევარ პირებს.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 45	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგანაწილის მუხლი 3.4
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობითი გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამთვალურეო საბჭოს წევრები ინფორმაციულად და კრთობილად პასუხისმგებელი არიან:				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვროს საწარმოს დირექტორები და მათთან საწარმოს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ვითვის პრინციპების სრული დაცვა;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყოს საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება და ეფექტური გადამწყვეტილების მიზნის პრიორიტეტი;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9-10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) განსაზღვროს საწარმოს ვითვის პრინციპები და მუდმივად აუხსენებდნენ დირექტორთა საბჭოსთან ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებას, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობას, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ვითვის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9-10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ი" ქვეპუნქტი)	დ) დამატკიცოს საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვროს საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუქმოს დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულება;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9.17.5
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვროს და დამატკიცოს საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის მეშვეობისაა გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 28-31	საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 9)	სამეთვალყურეო სამშო კომიტეტში წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. კომიტეტებში წახალისებული უნდა იყოს ინიციატივა და არსებობდეს ჯენსაილი დისკუსიისთვის საშრო გარემო.	კი	წლიური ანგარიში გვ. 42-49; 53-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 1)	აუდიტის კომიტეტი იკრებინა წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო სამსის ანგარიშებსა წლიური და ნახევარწლიური ანგარიშების დატკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებული პირების შეხვედრა/ზე დასწრება.	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო სამსისთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშების პოლიტიკა;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშების შედეგის პროცესებს;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შეფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოიყვას მოსაზრება გარე აუდიტორთან კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე) შეფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთან სამსის მიერ არსებული საკლავებების	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "თ" ქვეპუნქტი)	თ) განიხილოს და სამეთვალყურეო სამსის დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ი" ქვეპუნქტი)	ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "კ" ქვეპუნქტი)	კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს საადრეოები პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ლ" ქვეპუნქტი)	ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მიზლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს შესაძლ პირთა	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "მ" ქვეპუნქტი)	კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო სამსის დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ, იმედგეროვლად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო სამსის ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.	კი	წლიური ანგარიში გვ. 47; 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 4)	აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანსური გამოცდილება.	კი	წლიური ანგარიში გვ. 46-49; 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5);	აუდიტის კომიტეტის წევრებს შეუძლია უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორთან სამსის, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთან დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ანგვერდებს შენდვის სახის ინფორმაციას;				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ა" ქვეპუნქტი)	ა) გარე აუდიტორებზე მილიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გატეხული ანაზღაურების შესახებ;	კი	წლიური ანგარიში /გვ. 92 - ფინანსური ანგ.	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გატეხული ანაზღაურების კლუბტეტების ან შესაბამის უარყოფითი მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმედგეროვლად უზრუნველყოფენ საწარმოების სხვა სახის მომსახურებებს გაწევს, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა მონარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ინიციატივების შენარჩუნებისა და ინტერესთა კონფლიქტის გამოჩენისას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-58	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6);	საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმარტოვებული ფინანს/აუდიტორის ყოველი პარტიიარი ამ დირექტორი არ შეიძლება იმედგეროვლად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი;				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ა" ქვეპუნქტი)	ა) აუდიტორული ფინანსის პარტიიორის ამ დირექტორის პოზიციის დატეხვიდან 12 თვის განმავლობაში;	კი	წლიური ანგარიში გვ. 46-49	კომიტეტის დებულებები	აუდიტის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფინანსში მონუღადეად პოზიციის დატეხვისას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 46-49	კომიტეტის დებულებები	აუდიტის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1);	საწარმოს საქმიანობის მონარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამეთვალყურეო სამსის წევრებთან შეიქმნას რისკების კომიტეტი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად;				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განიხილავს რისკის სტრატეგიის როგორც აგრეგირებული, ისე იმედგეროვლად რისკის კრიზილი და აწვედს შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო სამსის;	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) აწუხდეს და სამეთვალყურეო სამსის წარუდგენს ანგარიშებს საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სოლი მართვით ყოველწლიურად;	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მონიტორინგი უწევს დირექტორთან სამსის მიხედვით საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო სამსის რისკის სტრატეგიისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკის ანალიზის საფარში ანალიზის შენარჩუნებასა და ანალიზის თაობაზე;	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 2);	რისკების კომიტეტი შედგება უნდა იდებდეს შესაბამის ანგარიშებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევისა და მითიგაციის ეფექტთან დაკავშირებით.	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 3);	რისკისა და აუდიტის კომიტეტებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გატეხვას, ჯეგლი სახის რისკის გათვალისწინებას, მათ შორის, ახლად გამოჩენილი რისკებისა და ასევე წესისმორი სახის საჭირო შექმნარების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.	კი	წლიური ანგარიში გვ. 57-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 4);	ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, რისკების კომიტეტს სრული წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორთან სამსის, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერიოდის, ასევე შიდა შიდა და გარე მართვით;	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო სამსისთან შექმნილი ანაზღაურების კომიტეტი ხელს უნდა უწყობდეს სამეთვალყურეო სამსის საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე, იმის მიღწევაში, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შესაბამისობაში მის კულტურას, გრძელვადიან ხიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს იცავს, როგორც განმარტოვების სახელმძღვანელო მოთხოვნებს.	კი	წლიური ანგარიში გვ. 55-57	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2)	ანაზღაურების კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) რეკომენდაციად განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციები მართვით სამეთვალყურეო სამსის, უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი განმარტოვებით დამტკიცებული მოთხოვნებთან შესაბამისობის შეყვასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინთიკურიზაცია მონარსით;	კი	წლიური ანგარიში გვ. 55-56	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) ყოველწლიურად მომზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებისა და დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 55-56	კომიტეტის დებულებები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12)	სამეთვალყურეო სამსისთან შექმნილი კორპორაციული მართვის კომიტეტი, გარდა სხვა ფუნქციების შესრულებისა;				

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, 'ა' ქვეპუნქტი)	ა) უზრუნველყოს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობა კორპორაციული მართვის საკითხების მოწესრიგებულ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან(დოკუმენტებთან;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, 'ბ' ქვეპუნქტი)	ბ) უზრუნველყოს ორგანიზაციის შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, 'გ' ქვეპუნქტი)	გ) წარუდგენს რეკომენდაციებს სამეთვალყურე საბჭოს ახალ კანდიდატურასა და დირექტორთა საბჭოს კანდიდატურებთან დაკავშირებით. ამასთან, კორპორაციული მართვის ოკონომიკის პოლიტიკის პირობებში უნდა იყოს ჩართული	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, 'დ' ქვეპუნქტი)	დ) რეგულარულად განიხილავს სამეთვალყურე საბჭოს ფუნქციონირების შედეგებსა და ეფექტურობას. კორპორაციული მართვისა და ნაშრომის კომიტეტი რეგულარულად გადახედის რიც პირობაზე დანიშნული პირთა კანდიდატურებს, როგორცაა აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური დირექტორი და სხვა პირთა დანიშნვის საფუძველზე;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, 'ე' ქვეპუნქტი)	ე) უზრუნველყოს, რომ საწარმომ არსებობდეს ადეკვატური პოლიტიკები და პროცედურები დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის კუთხით. კომიტეტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ მმართველობითი საწარმომ მიმდინარე პროცესებში;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, 'ვ' ქვეპუნქტი)	ვ) ჩართული უნდა იყოს სამეთვალყურე საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს/ანგარიშებისა და ეფექტურობის შეფასების პროცესში ისევე, როგორც საწარმოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის მმართველობის პროცესებში;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 42-45	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 1)	სამეთვალყურე საბჭომ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წევრთა უზარმაზისა და გამოცდილების ფართო სპექტრი და აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს სამეთვალყურე საბჭოს ახალი წევრის შერჩევის თითოეულ შემთხვევაში;	კი	წლიური ანგარიში გვ. 42-49	პოლიტიკა/პროცედურები	სამეთვალყურე საბჭოს პოლიტიკა და პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 2)	სამეთვალყურე საბჭოს შირიდან ყოველწლიურ შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურე საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურა და კოორდინაცია, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობის და საწარმოს შიდა წესების მოთხოვნებთან, ასევე, შეფასებული უნდა იქნეს საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკისა და პროცედურების ეფექტურობა;	კი	წლიური ანგარიში გვ. 42	პოლიტიკა/პროცედურები	სამეთვალყურე საბჭოს შეფასების დოკუმენტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 3)	სამეთვალყურე საბჭოს უნდა გააჩნდეს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები;	კი	წლიური ანგარიში გვ. 42	პოლიტიკა/პროცედურები	სამეთვალყურე საბჭოს შეფასების დოკუმენტი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 1)	საწარმოს დირექტორთა საბჭო სხვა ფუნქციებთან ერთად, აღსარულებს საწარმოს ბიზნეს სტრატეგიას, სამეთვალყურე საბჭოსთან ერთად ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მართვის ეფექტურ სისტემებს, რისკის კულტურას, პროცესებსა და კორტოლებს, აწვდის სამეთვალყურე საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა სამეთვალყურე საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებისა და ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის. სამეთვალყურე საბჭოს რეგულარულად უნდა მიწოდებულიყდეს ინფორმაცია საწარმოს მმართველურ საკითხებსა და პრობლემებზე, საწარმოს დირექტორთა საბჭო ასევე ასახელებს/შეაფასებს საწარმოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვლუბების სწორად გადასრულებისა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც საწარმოს შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამკერვლობას უნდა უზრუნველყოფდეს.	კი	წლიური ანგარიში გვ. 45; 50-52	საწარმოს წესდება	მუხ. 10.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 2)	საწარმოს დირექტორთა საბჭოს ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრული უნდა იყოს საწარმოს წესდებით, რათა არ მოხდეს რომელიმე პირის/პირთა აკუფის მიერ განუსაზღვრელი კორტოლის მოპოვება საწარმოს ბიზნეს საქმიანობაზე.	კი	წლიური ანგარიში გვ. 45; 50-52	საწარმოს წესდება	მუხ. 10.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 3)	დირექტორთა საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ თავიანთი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, კომპეტენცია და რესურსები. კომპეტენციებისა და საჭირო მმართველობითი ცოდნის გაღრმავების მიზნით, მათ შესაბამის სწავლებასა და გადამზადების პროგრამები მიანსწავლობს შესაძლებლობა უნდა ეხმარებოდ. დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევა უზრუნველყოფს, წინა საქმიანობისთან დაკავშირებული მოღვაწეობის რეკომენდაციების, საწარმოს სტრატეგიისა და სტრუქტურის შესაბამისად ხედვებს, ამ პროცესებზე ყოველ ბიზნეს შეფასებულ უნდა იქნას კანდიდატების კვალიფიკაცია და უზარმაზი.	კი	წლიური ანგარიში გვ. 45; 50-52	საწარმოს წესდება	მუხ. 10.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 15, პუნქტი 1)	ყველა საწარმოს დირექტორთა საბჭოს სტრუქტურულ წყობით წარმოდგენილი უნდა იყოს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოს შიდა ოპერაციებზე, შესაბამისობას და საქმიანობაზე და ინტეგრირებული მოვლა დასაქმებულთა რიცლის ფუნქციის ასრულებს საწარმოს დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურე საბჭოს შორის, მის დანიშნუზზე გადაწყვეტილების სამეთვალყურე საბჭო იღებს.	კი	წლიური ანგარიში გვ. 45; 50-52	საწარმოს წესდება	მუხ. 10.3-10.4
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 15, პუნქტი 2)	საწარმოს აღმასრულებელ დირექტორს უნდა გააჩნდეს თავისი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია, საქმის და საწარმოს მდგრადი განვითარებისათვის კეთილშინდისიერე დამოკიდებულობა.	კი	წლიური ანგარიში გვ. 45; 50-52	საწარმოს წესდება	მუხ. 10.3-10.4
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 16, პუნქტი 1)	საწარმომ სამეთვალყურე საბჭოს დამოკიდებულ წევრებს საქმიანობის განხორციელებისას უნდა ჰქონდეთ ინიციატორი და დამოკიდებულები ამ სხვა გარე ფაქტორების გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და მათი პროფესიონალიზმის უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი პრაქტიკით ინტეგრირება კონფლიქტის სათანადოდ მომართვის/აღმოფხვრის შესაძლებლობას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 42-49	სხვა (გთხოვს მოვითითო შენიშვნებს სახით)	აქთანწერი საშუაწრე რეცერჩინდ; საწარმოს წესდება; სამეთვალყურე საბჭოს პოლიტიკა და პროცედურა.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1)					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ა' ქვეპუნქტი)	ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მმართველობის გზით, დაგეგმვის საერთო კრების, სამეთვალყურე საბჭოს (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს თვითნაი საქმიანობის განხორციელებას;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ბ' ქვეპუნქტი)	ბ) სამეთვალყურე საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიცეს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევები;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'გ' ქვეპუნქტი)	გ) შეიძლება ითანამშრომლოს სამეთვალყურე საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგეგმვის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგეგმვის საკითხებში;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'დ' ქვეპუნქტი)	დ) დაცემის საჭირო ტრენინგები და მოსამზადებელი სპორტივტაციო შეხვედრები უკვე მოხუშეც თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურე საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ე' ქვეპუნქტი)	ე) აწარმოოს და/ან შეზამოს ყველა კორპორაციული დოკუმენტი, ოქმი თუ სხვა საჭირო საბუთი და ინფორმაცია მინიმუმ 6 წლის ვადით;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ვ' ქვეპუნქტი)	ვ) განახორციელოს დამაკავშირებელი რიცლის ფუნქცია აქტიონერებს/მარტინორებს, სამეთვალყურე საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ზ' ქვეპუნქტი)	ზ) ორგანიზების გავლენის აქტიონერთა/მარტინორთა საერთო კრების ჩატარებას, როგარც კრების მოწვევას და უზრუნველყოს ყველა საჭირო ვადებისა და პროცედურების დაცვა კრების ჩასატარებლად უზრუნველყოს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განხორციელებულ პირს მიეწოდოს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლის დღის წესრიგში შეტანა, კანონმდებლობის და წესდების დაცვით, მოთხოწილ იქნა აქტიონერთა/მარტინორთა, სამეთვალყურე საბჭოს თუ დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'თ' ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყოს მარცელირებელი/უზამაზადებელი ორგანიზების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვისა და დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს აგრ მოხუშული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ი' ქვეპუნქტი)	ი) განახორციელოს სამეთვალყურე საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქტიონერთა/მარტინორთა საერთო კრების მიცემის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები;	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 2)	კორპორაციული მდგენის წარმადგენს უშუალოდ სამეთვალყურე საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქტიონერების/მარტინორებისა და სხვა დანიტრესხებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურე საბჭოს კორპორაციული მდგენის საშუაო აღწერილობა

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 3)	სამეთვალყურეო სამუი უნდა დეტალურად განსაზღვრავდეს კორპორაციული მფლობელის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალი, საჭირო განთავსება და კვალიფიკაციის, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი.	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურეო სამუის კორპორაციული მფლობელის სამუშაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო სამუი ნიშნავს კორპორაციულ მფლობელს და განსაზღვრავს მისი მოვალეობები.	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურეო სამუის კორპორაციული მფლობელის სამუშაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 5)	კორპორაციული მფლობელი ასევე დროს არ უნდა იყოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მინიჭებული ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, ან სხვაგვარად იყოს დაკავშირებული საწარმოსთან ისეთი ფორმით, რასაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას თავისი მოვალეობების მთავრობიდან და დამოუკიდებლად შესრულებას.	კი	წლიური ანგარიში 44; 48-49	საწარმოს წესდება	მუხლები 9.15.7; 9.15.18; სამეთვალყურეო სამუის კორპორაციული მფლობელის სამუშაო აღწერილობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 1)	თუ საწარმო წარმადგენს პოლიტიკურ კომპანია, ასეთი ვალდებულება შეიძლება შეიძლება საწარმოს მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია მმართველი საწარმოს სამეთვალყურეო სამუი. აღნიშნული მმართველობითი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს კვლევისა და მასში შემავალ საწარმოების სტრუქტურის, ბიზნეს-სექსიონისა და რისკებს.	არა			არ ვართ პოლიტიკური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 2)	მმართველი საწარმოს სამეთვალყურეო სამუი უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ არსებითი რისკებისა და საკითხების შესახებ, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მასზე და მათ შეიძლება საწარმოზე, მმართველი საწარმოს სამეთვალყურეო სამუი ადგილებზე მონიტორინგს უნდა უწევდეს შეიძლება საწარმოს, რა პროცესზე შენარჩუნებული უნდა იყოს შეიძლება საწარმოების მმართველი ორგანოს სამართლებრივი და მმართველობითი პასუხისმგებლობა.	არა			არ გვყავს მმართველი საწარმო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 3)	თითოეული შეიძლება საწარმოს სამეთვალყურეო სამუი და დირექტორთა სამუი პასუხისმგებელია საწარმოს მიერ რისკების მართვის ეფექტური პროცესების შესარჩუნებაზე, საწარმომ მათ უნდა შეუწყონ კვლევის დონეზე რისკების მართვის ეფექტურობის.	არა			არ ვართ პოლიტიკური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 4)	მმართველი საწარმოს მმართველი ორგანო უნდა ავსებდეს კვლევის ცალკეული პოლიტიკის შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასა და საზღვარგარეთული მოთხოვნებისა და საკითხების შემთხვევაში, შედეგის აღნიშნული პოლიტიკები და შეტანის მასში გარკვეული შესწორებები, როგორც კვლევის პოლიტიკები ექნა აღმდგენად კანონმდებლობის საზღვარგარეთული მოთხოვნები ან და აღნიშნული ზომის მიმართ იქნება შეიძლება საწარმოს ჯანსაღი და პრევენციული მართვის მიზნებისათვის.	არა			არ გვყავს მმართველი საწარმო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 5)	მმართველი საწარმოს სამეთვალყურეო სამუი ეფექტურობის გაზრდის მიზნით უნდა ითხოვდეს პერიოდულ დამოუკიდებელ მიმოხილვას შეიძლება საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლისა და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაციის მათ მიერ დამტკიცებულ სტრატეგიისა და შესაბამისობის თაობაზე.	არა			არ გვყავს მმართველი საწარმო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 6)	სამეთვალყურეო სამუი მოვალეობა უნდა იმარტყვებდეს მზადყოფნას, განახორციელოს შესაბამისი ანგარიშება ზედამხედველი ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.	კი	წლიური ანგარიში 43-44	საწარმოს წესდება	მუხლი 6.2
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი III - რისკების მართვა და შიდა კონტროლი					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 1)	რისკების მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა სამეთვალყურეო სამუის კისრია. საწარმოს რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მონიტორინგის სისტემები უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს ზომათ კატეგორიას კომპლექსურობასა და რისკის პროფილს.	კი	წლიური ანგარიში 58-60	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო სამუი სრულყოფილად უნდა იყონ მდგომარეობაში საწარმოს ფინანსური მფლობელების ანგარიშების, საწარმოს რისკების, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების, ასევე, რისკების კვლევისა და ბიზნესსაქმიანობის დონეზე, რაც უნდა მოიცავდეს როგორც მომდინარე რისკების შესახებ ანალიზს, ასევე ახალი და მომავალი რისკების იდენტიფიცირების საკითხებს. აღნიშნულზე დარგინებით დოკუმენტრად უნდა იყოს განსაზღვრული საწარმოს რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც შეიძლება უნდა ემყარება საწარმოს სტრატეგიას, კაპიტალს, ფინანსურ გეგმებსა და ანაზღაურების პრაქტიკებს.	კი	წლიური ანგარიში გვ 4; 42-44;	საწარმოს წესდება	მუხლი 9.15; 10.17;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 3)	რისკის მართვის ჩარჩო უნდა იყოს თანმიმდევრული და გასაგებია, გათვლილი საწარმოს მთლიანად, სამუდამოდ და გრძელვადიან პერიოდებში. სამეთვალყურეო სამუი მიზნით უნდა ეფუძნებოდეს უნდა გადახედოს რისკის მართვის ჩარჩოს.	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60; 28-31;	პოლიტიკა/პროცედურები	რისკის მართვის ჩარჩო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 4)	საწარმოს უნდა გააჩნდეს რისკების მართვის სისტემა და დამტკიცებული პროცესები/პროცედურები ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების, ბიზნეს-საზოგადოება და მხარე და კომპლექსური ტრანზაქციების, გამოყენებული ტექნოლოგიებისა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს ან და რთულად განსაზღვრად რისკის აქვს.	კი	წლიური ანგარიში გვ. 58-60; 28-31;	პოლიტიკა/პროცედურები	რისკის მართვის ჩარჩო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 5)	პოლიტიკური კომპანია საწარმოს შემთხვევაში, რისკების იდენტიფიცირება და შეფასების მიდგომები უნდა არსებობდეს შეიძლება საწარმოშივე. საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო უნდა მოიცავდეს არსებითი რისკის მატარებელი შეიძლება საწარმოებისაგან მომავალი რისკების შეფასების და უნდა ითვლებინებდეს მათი რისკების მართვის პროცესებს, შეფასებას და მნიშვნელოვანი წილის შექმნის ტრანზაქციებს და სხვა მსგავსი მნიშვნელოვანი ცვლილებებს, რაც ასევე მოიცავს მნიშვნელოვან გამოწვევებთან.	არა			არ წარმოადგენს პოლიტიკური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 6)	სამეთვალყურეო სამუი რეგულარულად უნდა განიხილავდეს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს დირექტორთა სამუისთან და რისკების კონსილიუმთან, შესაბამისობის და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოავლინოს და მათთან ერთად განიხილოს მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საკითხები.	კი	წლიური ანგარიში გვ. 41-60;	საწარმოს წესდება	მუხლი 9.17.6
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 1)	რისკების ეფექტური მართვის ფუნქციის მოზრდისთვის, მნიშვნელოვანი საწარმოს გაჩნდება ჯანსაღი შიდა კონტროლის სისტემები, რაც მათ შორის, მოიცავს ეფექტიან შიდა აუდიტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო და დირექტორთა სამუისთვის დამოუკიდებელ რწმუნების წარდგენას საწარმოს შიდა კონტროლის, რისკის მართვის, მართვის სისტემებისა და პროცესების რეგულირების თაობაზე.	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო სამუი და დირექტორთა სამუი უნდა უზრუნველყონ შიდა კონტროლის დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, რაც ჩაიკისძევებს:				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) შიდა აუდიტის სრულ წყვილის საწარმოში არსებულ ინფორმაციასთან, ჩანაწერებთან, იქნება და სხვა მონაცემებთან;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შესარჩუნება, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) შიდა აუდიტორებისგან მათი საქმიანობის სრული შესაბამისობის მოთხოვნა შიდა და სუბინსტრუქტურული პროცესული სტანდარტებთან;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შიდა აუდიტის თანამშრომლების საკმარისი ცოდნა, უზარუნება და რესურსების საწარმოს ეფექტურად წარმართვის მიზნით, რაც უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობასა და რისკებს;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა სამუის ს მხრიდან აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და არსებული ნაკლებობების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საწარმოს მთლიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასება, რომელიც ხელს მხარე მოიცავს;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გა" ქვეპუნქტი)	გა) რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ეფექტურობის შეფასება;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გბ" ქვეპუნქტი)	გბ) სამეთვალყურეო სამუისთან და დირექტორთა სამუისთან რისკების შესახებ ანგარიშების პროცესების ხარისხის შეფასება;	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გგ" ქვეპუნქტი)	გგ) საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასება.	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	საწარმოს წესდება	მუხლი 11

კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 3)	შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებული სამეთვალყურეო სამსახურს და მასთან არსებულ აუდიტის კომიტეტთან. სამეთვალყურეო სამსახურს გადამწვედკლებებს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის დანიშნვისა და გათავისუფლების შესახებთან და ანაზღაურების თაობაზე დაუმუშავებია შიდა აუდიტის თანამშრომლების ანაზღაურების დამტკიცებაში სწარმის დირექტორთან სამუშაო მონაწილეობა.	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	სწარმის წესდება	მუხლი 11
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო სამსახურს წინაშე ანგარიშვალდებულების გარდა, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაუყოვნებლივ ანგარიშება უნდა ხდებოდეს დირექტორთან სამსახურის ინტერვიუებზე არაბალანსურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე.	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	სწარმის წესდება	მუხლი 11
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 5)	შიდა აუდიტის სამსახურის ზომა და სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს შიდა აუდიტისთვის განსაზღვრული მოცულობის სიორიულს და სწარმის წინაშე არსებულ რისკებს. სწარმის აუდიტის კომიტეტმა შესაძლებლობა უნდა მიეცეს შიდა აუდიტის სამსახურს, გარე სპეციალისტებისგან მიიღოს სამართლებრივი, ტექნიკური და სხვა სახის კონსულტაციები და მომსახურება.	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	სწარმის წესდება	მუხლი 11
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 6)	აუდიტის კომიტეტმა სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა შეაფასოს სწარმის შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობა და ამის თაობაზე მოახსენოს აქტიურობის/მარტინირობა სწარმო კრებას.	კი	წლიური ანგარიში გვ. 51-58;	სწარმის წესდება	მუხლი 11
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 1 და პუნქტი 2)	სწარმის დოკუმენტრად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა, რაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს საქმიანობის შესაბამის ზომებს, ანაზღაურების ფორმებსა და მათ კომპონენტებს, მათ შორის ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების ფორმებს, ზონტური სისტემის ელემენტებს და ასევე გადახდების გრაფიკებსა და პერიოდულობის საკითხებს.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.2; 9.15.8; 9.15.8
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 3)	ანაზღაურების თაობაზე კომპირაციული მართვის ანგარიშში გაშვდენების მონიშნით უნდა მოქმადდეს ანგარიში, სადაც გამწვდენებული უნდა იყოს მმართველი ორგანოს ანაზღაურების პოლიტიკა, ანაზღაურების ოდენობა და წესისმორი სარგებლო. ასევე, წესისმორი ცვლილება, რაც გამწვდენდება ანაზღაურების პოლიტიკაში საანგარიშებში პერიოდის დასრულების შემდეგ ნაილდ უნდა იყოს ანაზღაური ანაზღაურების ანგარიშში.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.2; 9.15.8; 9.15.8
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 4)	დირექტორთან სამსახურის მიერ ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო სამსახური, რომელიც თადა ან ანაზღაურების კომიტეტის (სტეიის არსებობის შემთხვევაში) შემუშავით სულ მცირე, ყოველწლიურად გადახდის ანაზღაურების გეგმებს, პროექტებსა და შედეგებს.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.2; 9.15.8; 9.15.8
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო სამსახური, ანაზღაურების კომიტეტთან ერთად ამტკიცებს, შიდა აუდიტის, კომპირაციული მდენისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკას, ოდენობას და ამასთან, მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ფიქსირდ ფუნქციონირებას.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.2; 9.15.8; 9.15.8
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 6)	დირექტორთან სამსახურს წევრთა ანაზღაურება უნდა იყოს სკანარის, მაგრამ არა გაუმართლებლად დიდი, იმისათვის რომ მოზოხდის, შემსარქუნის და სათანადო მოტივაცია მიეცეს მათ. დირექტორთან სამსახურს წევრთა ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს, როგორც მთლიანად სწარმის გრძელვადიან შედეგებს, ისე ცალკეული წევრების საქმიანობის შედეგებსაც. თითოეული წევრის ანაზღაურების განსაზღვრვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა. ასრუდე სწარმის ფინანსური, საოპერაციო მარგენებში და კონკურენტების პოზიციები მუხარზე.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.2; 9.15.8; 9.15.8
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 7)	სამეთვალყურეო სამსახურს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ მართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, სწავლ მათისმდებსა და დროის რესურსს. ანაზღაურება რისკის ტველ არ უნდა აყენებდეს მათ დამოუკიდებლობას. სამეთვალყურეო სამსახურს წევრთა ანაზღაურება უნდა მოიცავდეს მთლიან ფიქსირებულ ანაზღაურებას და არ უნდა შეიცავდეს პრემიას ან ცვალებად კომპონენტს, რომელიც სწარმის მიერ გარკვეული ფინანსური თუ საოპერაციო მარგენების მიღწევასთან არის დაკავშირებული.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 8.1.4
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8)					
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, ა) ქვეპუნქტი)	ა) ანაზღაურების ფიქსირებული და ცვალებადი კომპონენტების განსაზღვრებებს;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.7 - 9.15.9; 9.17.5.
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, ბ) ქვეპუნქტი)	ბ) ანაზღაურების თითოეული კომპონენტისთვის დასტუებული მაქსიმალურ ზღვარს;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.7 - 9.15.9; 9.17.5.
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, გ) ქვეპუნქტი)	გ) მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.7 - 9.15.9; 9.17.5.
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, დ) ქვეპუნქტი)	დ) კავშირის ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.7 - 9.15.9; 9.17.5.
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, ე) ქვეპუნქტი)	ე) პრემიების სტეიის პირობებს და პარამეტრებს;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.7 - 9.15.9; 9.17.5.
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, ე) ქვეპუნქტი)	ე) სხვა არაფლად ანაზღაურების (სწარმის აქციები, ოფიონიშის სწარმის მუხარზე, დოხვევა, საბენიო სტესი და ა.შ.).	ალტერნატივა	წლიური ანგარიში 55-56.	სწარმის წესდება	მუხლი 9.15.7 - 9.15.9; 9.17.5.
კომპირაციული მართვის კოდექსი, თავი IV - აქტიურობა/მარტინირობა და დირექტრებულ მარტია უფლებები					
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1); გამწვდენლობის წესის მე-9 მუხლი.	1. სამეთვალყურეო სამსახური და დირექტორთან სამსახურს უნდა უზრუნველდოს სწარმის, გამწვდენლობის წესის მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის:				
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, ა) ქვეპუნქტი); გამწვდენლობის წესის მე-9 მუხლი.	ა) უზრუნველდოს თანამართი მომჭრობა ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანამართი პირობები იმოვლეცნას;	კი	წლიური ანგარიში გვ. 8; 20; 31	სხვა (გთხოვთ მოუთითოთ შემთხვის სახით)	სს მითა "ქრისტალის" ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი გვ. 4 (ობლიგაციების კლასი და სტატუსი)
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, ბ) ქვეპუნქტი); გამწვდენლობის წესის მე-9 მუხლი.	ბ) გასაკავრობის ინფორმაცია ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებების და ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილებების შესახებ (მე-9 მუხლი, პუნქტები 2-3);	კი	წლიური ანგარიში გვ. 8; 20; 31	სხვა (გთხოვთ მოუთითოთ შემთხვის სახით)	სს მითა "ქრისტალის" ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი გვ. 4 (სადაქრად დამტება)
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, გ) ქვეპუნქტი); გამწვდენლობის წესის მე-9 მუხლი.	გ) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსაზღვრულილად სკპრო ინფორმაციის და საშუალებების ხელმისაწვდომობა;	კი	წლიური ანგარიში გვ. 8; 20; 31	სხვა (გთხოვთ მოუთითოთ შემთხვის სახით)	სს მითა "ქრისტალის" ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი.
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 2);	სწარმომ უნდა უზრუნველდოს, რომ აქტიურობის/მარტინირობის კარგად აკონტროლებდეს კომპირაციული მართვის პროცესებს და უნდა მოეცეს მათ შესაბამისი განმარტებები კოდექსიდან გადახდების შემთხვევაში, ასევე, მიეცეს მათ საშუალება გაითქვას თავიანთი დასაბუთებული მოსაზრებები ადინწვლთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო სამსახურს უნდა გასართოს დილიერი აქტიურობის/მარტინირობით, თუ ისინი არ თანამშენებან სწარმის პოზიციას სწარმის ზომითი კატეგორიის კომპლექტურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გაბმწვდენების გათვალისწინებით.	კი	წლიური ანგარიში გვ. 41-60;	სწარმის წესდება	მუხლი 7-10
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 3);	აქტიურობის/მარტინირობას უნდა შეეძლით საკუთარი უფლებების დაცვა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.	კი	წლიური ანგარიში გვ. 41-60;	სწარმის წესდება	მუხლი 7-10
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 4);	სწარმომ უნდა უზრუნველდოს აქტიურობის/მარტინირობით და პოტენციურ აქტიურობის/მარტინირობით კომერციაციისა და ინფორმაციის გაშვდენების პოლიტიკის დანერგვა. აქტიურობის/მარტინირობას უნდა შეეძლით სამეთვალყურეო სამსახურს და დირექტორთან სამსახურს წევრებისგან მათთვის სკპრო ინფორმაციის მიღება, ასევე როგარტუ აქტიურობის/მარტინირობა სკპრო კრების მიწვევა მოუწევი კანმწვდენლობის შესაბამისად.	კი	წლიური ანგარიში გვ. 41-60;	სწარმის წესდება	მუხლი 7-10
კომპირაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 5);	სამეთვალყურეო სამსახური და დირექტორთან სამსახური, აქტიურობის/მარტინირობა სკპრო კრების შემუშავით, უნდა უზრუნველდონ ეფექტური და სასართილი ურთიერთობა აქტიურობის/მარტინირობით და ხელი შეუწყონ აქტიურობის/მარტინირობის აქტიურ მონაწილეობას სკპრო კრების მუხამბში.	კი	წლიური ანგარიში გვ. 41-60;	სწარმის წესდება	მუხლი 7-10

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 6)	საერთო კრების მუშაობას ხელშეწყობის საშუალებად ურთი საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილეს არყოფნისას კი - ერთ-ერთი დირექტორი, მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევენ საერთო კრება, მმართველი ორგანოს ყველა წევრი, შიდა აუდიტის და სხვა კომპიტეტების თავმჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები უნდა ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ხელშეწყობა უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერთა/მარტინიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. დირექტორებს უნდა უპასუხონ აქციონერთა/მარტინიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიაყენებს საწარმოს, მის აქციონერებს/მარტინიორებსა და დასაქმებულებს, ან დარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 41-60;	საწარმოს წესდება	მუხლი 7-10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 7);	საწარმომ უნდა გაასაჯაროს კორპორაციული მართვის კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია და საერთო კრების ოქმი.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში გვ. 41-60;	საწარმოს წესდება	მუხლი 7-10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 1);	საწარმომ უნდა განდგეს შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დირექტორებზე, მართვით ინტერესებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალეობას ადეკვატურ დონეზე.	კი	წლიური ანგარიში გვ. 41	ეთიკის კოდექსი	ეთიკის კოდექსი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 2);	საწარმოს ვებ-გვერდი გამართულად უნდა ფუნქციონირებდეს, რათა ინვესტორებსა და დირექტორებზე პირებს სჭირდეთ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე, მათ შორის კორპორაციულ მართვასთან და გარემოსდაცვით, სოციალურ მმართველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.	კი	წლიური ანგარიში გვ. 5-7	სხვა (გამოხედი მუუთითით მუნიშვნის სახით)	www.crystal.ge
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 3);	მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ დირექტორებზე პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საწარმომ პირებზე არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით და ეს არ უნდა გახდეს მათი უფლებების შელახვის მიზეზი.	კი	წლიური ანგარიში გვ. 60	პოლიტიკა/პროცედურები	მონაგაწევი მუხლი 10
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 4);	საშუალოდ ურთი საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს გაზრეხული უნდა სჭირდეთ დირექტორებზე მართვით უფლებები და ინტერესები და უზრუნველყონ მათთან ეფექტური ურთიერთობა.	კი	წლიური ანგარიში გვ. 5-10	საწარმოს წესდება	მუხლი 1

ი. ხვლე

დანართი 3. დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია	საჯაროდ ხელმისაწვდომია კი/არა	შესაბამისი მისამართი/ ჰიპერლინკი	შენიშვნა
1	2	3	4
საწარმოს წესდება	კი	https://ir.crystal.ge/satutory-documents/	
ეთიკის კოდექსი	კი	https://ir.crystal.ge/corporate-policies/	
სტრატეგიის დოკუმენტი	არა		
კომიტეტის დებულებ(ებ)ი	არა		
საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	არა		
შესაბამისი გადაწყვეტილებები	არა		
საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო	არა		
შეფასების ანგარიშები	არა		
პოლიტიკა/პროცედურები	არა		
სხდომების ოქმები	არა		
წლიური ანგარიში	კი	https://ir.crystal.ge/annual-reports/	
სამეთვალყურეო სამჭოს წევრების რეზიუმე/ბიოგრაფიის ამსახველი ინფორმაცია	კი	https://ir.crystal.ge/annual-reports/	
გადაწყვეტილებები	არა		
სხვა (გთხოვთ მოუთითოთ შენიშვნის სახით)			

ი. ზვ.